

იოსებ ტფილელი
დიდმოურავიანი

გიორგი ლეონიძის
რედაქციით

სახელგამი
1939

იოსებ ტფილელი და „დიდმოურავიანი“

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ ქართული ნაციონალური ეპოსის შესანიშნავი ძეგლია. იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ძველ საქართველოში, განსაკუთრებით დაბალ ფენებში იგი საყვარელ წიგნად ითვლებოდა. „წიგნი ესე სავსე ისტორიულისა მოთხრობითა ქებულ არს მრავალთაგან“ – ამბობს პლ. იოსელიანი. მიზეზი პოემის სახელგანთქმულობისა, – მისი მაღალმხატვრულობა იყო, მისი ხალხურობა, სისადავე, ღრმა ლირიზმი და შემდეგ თვით პოემის საგანი – მსახელოვანი გიორგი სააკაძის ანუ დიდმოურავის პიროვნება, რომლის გამო პოემას ეწოდა „დიდმოურავიანი“¹.

ეჭვი არაა, ამ დიდებული გმირის ხმალსა და სახელს არა ერთი აღტაცებული სიტყვა უნდა გამოეწვია თავის დროშივე, ამიტომ დამაჯერებელია იოსებ ტფილელის ცნობა, რომლის მიხედვითაც გ. სააკაძის სიცოცხლეშივე ხალხში არსებობდა „ქებანი“ მისი გმირობის შესახებ. მაგ. თვით ჩვენს პოემაში ტფილელი ათქმევინებს მოურავს, რომ მაშინდელ მესხეთშიც კი, სადაც მოურავი დროებით იყო ერთხან გადახვეწილი, უკვე არსებობდა „ქება“ მის შესახებ:

„სრულ მესხნი ტკბილად მომეპყრნეს ჩემთანა სადგურობდიან,
რა ამბავს თავი ახსნიან, ხან ჩემს ქებასაც ჰხმობდიან“-ო.

რაც შეეხება მხატვრული მწერლობის ძეგლებს, ჩვენ 1935 წელს გამოვთქვით აზრი, რომ დღემდის ჩვენამდე მოუღწევველ ნაწარმოებთა შორის გიორგი სააკაძეზე, გარდა „დიდმოურავიანისა“ არსებულა მაგ. ერთი პოემა, რომელშიც, სხვათა შორის, დაწვრილებით ყოფილა აწერილი სააკაძის საქართველოდან გადავარდნა ოსმალეთში და იქ მისი ნაქნარი გმირობის ამბები. ეს ცნობა თვით ჩვენს პოემას აქვს შემონახული:

„სხვაგან წერა დამწერელმან ხვანთქართანა წასვლა მისი;

სოხტაების ამოწყვეტა, სისხლთა დენა, ყათლა ვისი,
ბევრი ბრძოლა, ციხის რთმევა, ნებად, არა წართმევისი,
ან მოყვრების გამოჩენა, შესწავლილი ზოგან თვისი;

¹ გიორგი სააკაძე იყო მოურავი ტფილისისა, დვალეთისა, ქრცხინვალისა,
„დიდმოურავობით“ იგი იხსენიება ჯერ კიდევ-XVII ს, ისტორიულ დოკუმენტებში.

III

ხვანთქრისაგან როგორც ცნობა, ანუ დიდად პატივცემა,
მტერთ გავლენის დამდაბლება, წყალობა და კვლავ მიცემა
მის დუმანთა ამოწყვეტა, მისხის მისხად რა მიცემა...

50/356

შესაძლოა, ჩვენი ძველი ხალხური პოეზიის სათანადო შესწავლი-
სას როდისმე აღმოჩნდეს ეს დაკარგული „ქებანიც“, თუ მათ ჩვენამ-
დის მოუღწევიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხალხურ პოეზიაში, დღემდე გამოქვეყნებულსა
და შეგროვილ ლექსებში არსად არა სჩანს გიორგი სააკაძის სახელი. დიდ მოუ-
რავის გმირობის შესახებ არავითარ ძველ ლექსს ჩვენამდის არ მოუღწევია. ხან-
გრძლივი მუშაობის შემდეგ, მე მხოლოდ 1935 წელს ხელთ ჩამივარდა ჯერ ერთი
ფრაგმენტი და შემდეგ ორი ლექსი. ორი უკანასკნელი ჩაწერილია ხევში, სოფ.
ჯ უ თ ა შ ი, შ ო თ ა თ ა თ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. სამივე ლექსი იდეოლოგიური,
არსით და გიორგი სააკაძის პიროვნების შეფასებით ხალხის მიერ, მეტად საყურად-
ღებოა. მოგვყავს ჯერ ფრაგმენტი.

. . . წინ წინ გიორგი ყოფილა
ძ ვ ე ლ თ ა თ ა ვ ა დ თ ა მ ტ ე რ ი ო,
სააკაძის ძახილან, –
ჯერ მეფის ალაგ სჭერიო, –
მემრე ყოფილა თორღვაი
ამთხოხდა ცხვარს რო მგელიო!

და შემდეგ ორი სხვა ლექსიც:

1. გიორგი სააკაძეს.

წმინდა გიორგის სეხნიავ,
რისხვა ხარ თათრის რჯულისა,
ჩვენს მხსნელათ მოვლინებულო,
გამხარევ საწყალთ გულისა!

გებრალვის ქვრივი, ობოლი;
ამშენებელი სოფლისა,
როცა სჭირს, მეფეს პატრონობ,
სახლშიც დამღვრელი ოფლისა!

არას გისვენებს ბარათა,
ვეზირ თავადის შვილნია;
ჩვენი რომა ხარ, ისა ჰკლავთ,
თვალზედ არა აქვთ ძილია.

გაკაჟდი ჩვენო გმირთ გმირო,
მთას გულჩი ჰყავხარ ხატადო,
ღალა შენა ხარ,– ცხონი კი
არ ღირან ჩალის ფასადო!

2. ბარათა ბარათაშვილს.

ბარათავ ბარათაშვილო,
მეფის ხარ ნაზირ ვაზირი,
ვერა გრძნობ ჩვენსა წუხილსა,
მალლიდამ გადმონამზირი.

იცინი, გულში გესლი გაქვს
ტახტს უყევ სამეფოსასა,
მეფე ლუარსაბს დალატობ,
ძლიერსა, მავალ ყმოსანსა!

ჩვენი გივარგიც დანესტრე,
ქართველთ სარდალი დიდია,
შენ ჩაუნგრე მელობით
ჩვენსკენ სავალი ხიდია!

ადარვის ინდობ კანჯარო,
ტურა ხარ პირსისხლიანი
ბევრ დედას შავი ჩააცვი,
დაყარე თვალცრემლიანი!

უებარრი ხარ ბრძოლაში
ყველგან გამტანი ლელოსი.
მ ი ნ დ ი ა მ ც დაგენაცვლების, –
გმირი ხარ საქართველოსი!

სამეფოს ჩანთქმას უპირებ,
დასთრგუნე დედუფალია,
დოვლათს იკრეფავ საცალოთ,
ვერ ძლების შენი თვალია!

IV

ვაჟ, თუ გაგიცვდა ბუმბული,
ველარ იფრინო ლაღადა,
მეფის კარს რისხვა მიიღო,
აღარ ჩაგაგდონ ბალადა!

მაშინ მოგწვდების მ ი ნ დ ი ა ც,
ლაჯაის მოგდებს წვერზედა;
თავს მიგინაყავს გველივით,
გივარგის ნასახლკარზედა!

ორივე ლექსი XIX ს-ნის ნახევარს ან XX ს-ნის დასაწყისს უნდა მივაკუთვნოთ ანუ ჩვენს დროს. სტილური ანალიზით მათი წიგნური წარმოშობა აშკარაა (ა. ფ უ რ ც ე ლ ა მ ი ს მონოგრაფიის გავლენა). ორივე ლექსის ავტორია ვინმე ხევსური მათქვამი მ ი ნ დ ი ა, როგორც ეს ლექსის ბოლო სტროფიდან სჩანს¹.

დასასრულ, საინტერესო ცნობას გვაწვდის თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი (1782 - 1846), თითქოს ჩვენამდე უნდა მოღწეულიყოს ერთი ფრაგმენტი ძველ-ხალხურ ლექსისა დიდ-მოურავზე. მისი ოსმალეთში გადახვეწის შესახებ, „ძ ვ ე ლ ა დ თ ქ მ უ ლ ს ა მ ო უ რ ა ვ ზ ე დ ა ქ ე ბ ი ს ლ ე ქ ს ე ბ შ ი“ არის ლექსად ნათქვამი:

„საკაძეს თან გადაჰყვენენ თავადები ძირძველები“-ო².

მეტად ძვირფასი ცნობაა. მით უმეტეს, რომ მოყვანილი სტრიქონი ხალხური იერისაა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ოფიციალურად ეს ლექსი ა რ ჩ ი ლ ს (1646-1713) ეკუთვნის:

ქაიხოსრო და იესე, კვლავ სხუა ბევრი ქართულები
თან გადაჰყუეს სააკაძეს – თავადები ძირძველები, –
იქაც ბევრი სახელი ჰქმნა, მაგრამ თავს გარდავევლები...³

რასაკვირველია, „მოურავის ქების ლექსებში“ უნდა არჩილის პოემა იგულისხმებოდეს, მაგრამ არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი აქ ჰგულისხმობდეს ძველ ხალხურ ლექსების ციკლს გიორგი სააკაძეზე, საიდანაც შესაძლოა არჩილმა ისარგებლა პოემის წერის დროს.

1. პოემის შინაარსი

ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ შეიცავს XVII ს. გმირის და სახელმწიფო მოღვაწის – გიორგი სააკაძის თავგადასავალს, მის აპოლოგიას, უკეთ მის რეაბილიტაციას შთამომავლობის წინაშე: პოე-

¹ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ 1931 წ. გამოცემულს ხევსურულ პოეზიის ანთოლოგიაში მოხსენებულია რამდენიმე ნათქვამი მ ი ნ დ ი ა ს სახელწოდებით. შესაძლოა, რომელიმე მათგანიც იყოს ჩვენი ლექსების ავტორი, თუ იგი არ ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში

² წ ე რ ა კ ი თ ხ ვ ი ს ე უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი, №213 („სიკუდილი დიდ მოურავ-

ვის გიორგი სააკაძისა“.

³„ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ე ფ ი ს ა თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი ს ა., პლ. იოსელიანის გამოცემა, 1853 წ. გვ. 125.

V

მაში თვით სააკაძის პირით ავტორისგან მოთხრობილია საქართველოს ისტორიული ვითარება 1609-1629 წლების მანძილზე.

ამ გამირული ეპოპეის შინაარსი ასეთია:

ქრცხინვალში დგას თეიმურაზ მეფე პირველი. მას თან დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ახლავს. „იშვებენ და იხარებენ“, რადგან მტრები ყველგან შეაშინეს. მაგრამ „ავი ენა“ მათ გაჰყრის ქვეყნის საზიანოდ. სამნი კაცნი მოვლენ და მოურავს მოახსენებენ, ხვაშიადს გაგიცხადებთო, მაგრამ ფიცსა გთხოვთ, არ გაგვამჟღავნოო.

გაკვირვებული მოურავი მიუგებს: „რა ფიცსა მთხოვთ, კარგს მეტყვით თუ ავს, არაფრისა მეშინიან:

გულში არა ჩამაჩნია, მეფის მტრისა ვარ მომსვრელი-ო!

მოსულები კიდევ ფიცსა სთხოვენ, რომ იგი მათ არ გასცემს. დაღონებული მოურავი გულში ფიქრობს, ნეტარ რად მივცე ფიცის წიგნი „ცუდის სიტყვისა თქმისათვის?“ და გულში გაივლებს, იქნებ მეფე მიწყრება ძმისათვის ან ნათესავებისათვის, იქნებ მე სულ შორს ვიყო და სხვას შეეხებოდეს ეს ამბავი?

დიდხანს იუარა, მაგრამ იძულებულმა მისცა ფიცი. მაშინ უთხრეს: ხვალ შენი სიკვდილი გადაწყვეტილიაო! შენი მოღალატენი ნამდვილ ვიციოთო! მოურავი ძალიან შეწუხდა. ბოლოს ჰკითხა, რისათვის მომკვლენ, ან ჩემგან რა დაშავებულაო? უდანაშაულო მოურავს აგონდება, თუ როგორ დაღუპულან ღალატით მზექაბუკი და გამირი როსტომ. ის ახლა ჰხვდება: კაცს რომ ბევრი კარგი უყო ამაგი მაინც დაკარგულია და თან ავი სიზმარიც ენიშნება.

მოურავი მაშინვე გაენდო ერთგულ ყმებს და მეგობრებს, ზოგთან წერილებით კარისკაცები აფრინა, ხოლო ახლო ამხანაგებს – ქაიხოსრო მუხრან ბატონს და იესე ქსნის ერისთავს შესჩვილა: რისათვის მამკლავს მეფე, თქვენ გასინჯეთ, თქვენგან მაქვს ძალა, განა კარგისათვის კარგი ეს არის? თქვენ ხომ იცით, როგორ ვალდებულია ჩემგან მეფე? მეგობრები უპასუხებენ, ნუ დაიჯერებო; ეს ამბავი მართალს არ ჰგავსო; ალბად ზოგიერთებს გადაკიდება უნდათ და „ქართლის ჩხუბითა ავსება“, შენ რომ არ იყო დღეს, ქართლს ნათელი ჩაუქრებაო.

მოურავი დაწყნარდა, მაგრამ მეხვაშიადენი ისევ მოვლენ მასთან იმავე სიტყვებით: დაიჯერე, ვიდრე შენს სისხლს დაღვრიან: რაკი მოგკლავენ, მერე შენ სიკვდილს ვინ ეძებსო? ახლა კი დაჯერებული მოურავი ეკითხება, თუ რად ჩქარობენ მის სიკვდილს. მას უპასუხებენ: ხელმწიფე ლუარსაბის სიკვდილს გაბრალებსო და თან უჩივის შენს განდიდებას და ურჩობასო:

VI

...მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ ველად,

თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ, წყალობის არ გადამხდელად-ო!

მოურავი ახლა კი გრძნობს, რომ მას ნიშნს მოუგებენ ისინი, ვინც უშლიდა მეფის ერთგულ სამსახურს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან გონიაში გადახვეწილი თეიმურაზ მეფე ჩამოიყვანა და ისევ აიყვანა ქართლ-კახეთის ტახტზე.

მეფემ შეიტყო და მოურავს შეეკითხა. უკანასკნელმა აცნობა ყოველივე და თან დასძინა, თავს ღალატით ვერ მოვიკლავო! მოურავმა მეფეს მოციქულად მიუგზავნა ავალიშვილი დომენტი მროველი (ანუ რუისის ეპისკოპოსი), სახელგანთქმული ჭკვიანი კაცი და მისი პირით შეუთვალა: ნუ გეწყინებათ ჩემი სიტყვა, მაგრამ რა დავაშავე, მე ყოველთვის თქვენს სურვილს ვასრულებდი, თქვენთვის ვაბრძოლებდი ხმალს, ახლა რისთვის გამხადე მტერთგულადო?

მეფემ შემოუთვალა: ეგ საქმე ჩემს გულში არ გავლილა. როგორ მოგაკვლევინებდი ჩემს ერთგულს და თავგანწირვით ნამსახურს? ვინც ეგ ტყუილად გითხრა, უსათუოდ უნდა ხელთ მომცე, რომ ავიკლო და გავანიავო; მე მინდა, რომ შენ ძველებურად მემსახურო, მსურს შენით ვილაშქროო! – ასე იმართლა თავი თეიმურაზმა. მაგრამ მეხვა-შიადენი საიდუმლოდ ისევ მოვიდნენ სააკაძესთან და უთხრეს: „ერთ-ხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და ღალატს! ჩვენ ნუ გავგცემ, თორემ დაგვხოცენ, შენ კი მალე მიხვდები ფიცის დარღვევას; ამიერიდან მეფისაგან დანდობას ნულარ მოელი, იგი ლუარსაბის მეფის სიკვდილს გაბრალებსო“.

მოურავმა კიდევ გაუგზავნა მეფეს მროველი, კიდევ აახლა მოციქულები: ამბის მომტან კაცებს ვერ მოგცემ, რანაირადაც გინდა დამსაჯო, თქვენ თურმე ლუარსაბის სისხლს მადებთო. მეფემ უბრძანა: „ახლა კი გეტყვი სწორ სიტყვას! ქვეყანამ იცის, რომ შენ მისი სისხლის მღვრელი იყავი, მაგრამ მან სამოთხე დაიმკვიდრა თავისი წამებით, ანგელოზი ჰყავს მცველად. მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ შენთვის იჯექიო“.

რა ეს გაიგონა მოურავმა, მაშინ სთქვა: მეფე ჩემზე გამწყრალიაო. მოციქულებს კი შესჩვილა: მაშ მე ცუდათ მშრომელი ვყოფილვარ! – არა მეფეთა ტახტის შემამკობელი, არამედ მისი დამაქცეველიო! და თავის გასამართლებლად, რომ არაფერშია დამნაშავე, იგი მეფეს მოუყვება თავის გამირულ ნამსახურობის ამბებს „თავიდამ“, ე. ი. იმ დროიდან, როცა ის ოცი წლისა მხლებლად მართვეს ცამეტის წლის ლუარსაბს (თუმცა ამაზე ადრეც ის გვერდთ ახლდა ლუარსაბს).

ეს ამბებია: 1609 წი თათარხანის შემოსევა, და მისი სარდლობით მათი დამარცხება და გაწყვეტა ტაშისკარში. ლუარსაბ მეფის

VII

რომანი სააკაძის დასთან, მათი ქორწილი, დიდებულთა უკმაყოფილება ახალი დედოფლის უგვარობის გამო, მათი ქვეგამხედველობა და შეთქმულობა სააკაძის მოსაკლავად. სუსტი ნებისყოფის მქონე მეფის დაყოლიება და მკვლელობის მზადება. მოურავის გადარჩენა და გაქცევა. მეფის მიერ დამსჯელი ჯარის დადევნება. ნოსტეში სააკაძის სახლის დაწვა და აკლება, ცოლშვილით ღამე გავარდნა ტყეში, იქიდან გამოპარვით და დიდი წვალებით ფარულად მტკვარში გასვ-

ლა მცხეთასთან და ცოლშვილის შეხიზნება ნუგზარ არაგვის ერის-
თავთან. იქიდან ერანში წასვლა შაჰაბაზთან, რომელიც მოურავის
ჩასვლას დიდი სიხარულით შეხვდა. შაჰაბაზის მიერ სააკაძის საღამო-
ქროდ წაყვანა ყანდარში, ბაღდადში და იქ მისი სახელოვანი ვაჟკა-
ცობის გამოჩენა. იქვე მოურავის ძმის სიკვდილი. ქართლზე წამოს-
ვლა. მეფეების ლუარსაბის და თეიმურაზის იმერეთში გადაცვივნა,
ლუარსაბის მოტყუებით იმერეთიდან ჩამოყვანა და ყეენისაგან წაყ-
ვანა, კახეთის აოხრება და აყრა, შაჰაბაზისაგან განზრახვა ქართლის
აოხრებისა. მოურავისა და ყორჩიხანის გამოგზავნა დიდი ლაშქრით.
მოურავის და ზურაბ არაგვის ერისთავის ერთმანეთის საიდუმლო
შეთქმულება ერანის წინააღმდეგ. შაჰაბაზისაგან მოურავის მოკვლის
განზრახვა, ყეენის შათირის დაჭერა ლოჭინში მოურავისაგან, ყეენის
საიდუმლო გეგმის ჩაშლა, მოურავისაგან მალვით ჯარების დაბარება
და მუხრანში ერანის ლაშქრის ამოხოცვა. მცხეთის ახალციხის აღება,
ტფილისის იერიში, მარტყოფში ერანელთა ჯარის მოსპობა და ქართ-
ლის განთავისუფლება ერთ დღეს. განძვინება შაჰაბაზისა, მძიმე ლაშ-
ქრის გამოგზავნა საქართველოზე, მარაბდის ომი, ქართველების
დამარცხება. სააკაძის პარტიზანული ომები და ქსანზე ერანელთა
სასტიკი განადგურება. თეიმურაზის აყვანა ტახტზე. შინაურ მოლა-
ლატეთა და ერანის მომხრეთა დასჯა. სააკაძის გადასვლა მესხეთში,
იქ ერანელთა განდევნა სამცხე-საათაბაგოს ციხეებიდან, ერანელთა
ახალი თავდასხმა. სააკაძის მგზავრობა დიპლომატიური მიზნით იმე-
რეთსა და სამეგრელოში, ქართლში გადმოსვლა, უშედეგო ცდა
ტფილისის აღებისა, აჯანყებულ ოსეთის გატეხა, დაღესტანზე მიხ-
დომა. სააკაძის განდიდებით მეფის წყენა:

მეფემან პირად არ ბრძანა, გულშიგან შექნა წყენანი:
„როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი!
მე მეფე – ამას სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანი!"

მაბეზღარ ამხანაგთა ღალატი და მეფის გარდაკიდება; ზურაბის
ჩამოშორება მოურავის მეგობრობის და თეიმურაზის მხარის დაჭერა;

VIII

სააკაძის მიერ იმედის გადაწყვეტა მეფესთან შერიგებისა და მისი
მტკიცე გადაწყვეტილება მეფესთან ხმლით შებრძოლებისა:

შუა ნულარავინ ჩამოვა, აღარ მოჰხდების ზავია!

ამის შემდეგ ბაზალეთის სამოქალაქო ომი, მოურავის დამარცხება
და წასვლა სტამბოლში ხონთქართან, ოსმალეთში სააკაძის გმირული
საქმეები, სოხასტას აღება და იქ ხონთქრის ვეზირისაგან შურის ნი-
ადაგზე ღალატით სიკვდილი სააკაძისა და მისი ამხანაგებისა.

ასეთი მღელვარეა გიორგი სააკაძის ისტორია, რომლის ეპიგრა-
ფად გამოდგება სიტყვები, პოემაში რომ ათქმევინებს ტფილელი:

ამა სოფელმან მაბრძოლა აღმოსავლით დასავლეთამდი,
ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ იყო ხმლისა კვეთამდი:

ჩრდილოთ ლეკთა და ოსეთსა, კიდით სულ ჩერქეზეთამდი.
ლხინიც მამცა და წუხილი, ურვა და სევდა კვნესამდი!

ყანდაარს ბრძოლა და ბაღდადს, მე ვინ მიწურვა მისრისა,
სტამბოლს ხანისა დაყოფა, ნახვა, გაშინჯვა მისრისა.
არაბისტნისა ჭაბუკნი, მაჯამან ჩემან მოსრისა;
აწყა სევდისა ლახვარი გულსა მიწყლულეზს, მისრისა!

დიდმოურავიანი დაწერილია რუსთველური შორით. იგი შეიცავს
21 კარს და 484 ტაეპს.

პოემას შეადგენს:

- ა) პროლოგი – მიმართვა მეფის არჩილისადმი (1-3 ტაეპი)
- ბ) პოემის სიუჟეტი (4-475 ტაეპი)
- გ) ეპილოგი – (475-481 ტაეპი) ერთტაეპოვანი მიმართვა მეფის არჩილისადმი (მე-484-ე ტაეპი).

2. „დიდმოურავიანის“ ხელნაწერისათვის

ჩვენამდის „დიდმოურავიანი“ ორჯერ დაიბეჭდა: 1851 წელს გამოსცა პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა („დიდი მოურავიანი“ თქმული სააკაძის ძის იოსებ ტფილელისაგან, დამატებით სხუათაცა, მისთა თხზულებათა, დაბეჭდილი თფილისს, 1851). გამოცემას წინ უძღვის მცირე წინასიტყვაობა (1-4 გვ.) და ბოლოს დართული აქვს „ანბანთა ქება თქმული ბაბათა-შვილის იოსებ ტფილელის მიერ“ და იოსების ცნობილი გამოცანა იაკობ შემოქმედელისადმი მიმართული.

1897 წელს „დიდმოურავიანი“ გამოსცეს ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ მ ა და სპ. ჭ ე ლ ი ძ ე მ. პოემას დართული აქვს სპ. ჭ ე ლ ი ძ ი ს წინასიტყვაობა (1--18).

ამნაირად, ჩვენი გამოცემა მ ე ს ა მ ე ა.

IX

ნაბეჭდის გარდა, საკმაო რიცხვი ხელნაწერებისა დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, რამდენიმე ცალი კერძო ოჯახებში ინახება. ამ ხელნაწერთა დიდი უმეტესობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და უფრო კი XIX საუკუნისაა. ყველა ხელნაწერიდან გამოსაცემად ჩვენ ავირჩიეთ მხოლოდ ერთი ხელნაწერი, წერაკითხვისეული მუზ. № 15.

პალეოგრაფიულად იგი ყველა არსებულ ხელნაწერზე უძველესია, XVII საუკუნისაა, რომელიც ჩვენის აზრით თვით იოსებ ტფილელის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ ვბეჭდავთ ამ ხელნაწერს უცვლელად.

ზემოთხსენებული „დიდმოურავიანის“ ხელნაწერები ჩვენი ტექსტის გარდა გადამწერლების მიერ საშინლად შერყვნილია, ტექსტში სიტყვები და ფრაზები მრავალგან გადამახინჯებულია, თუმცა სტროფული მოცულობა კი ყველგან ერთი და იგივეა. საინტერესო ხელნაწერია ამ მხრივ ხელნაწერი წ. კ. № 101 (გვ. 65-113), რომელიც ავტოგრაფიდან მომდინარეობს, როგორც თავსათაური გვამცნებს „ქ: წიგნი და ქება დიდის მოურავის გიორგისა, თქმული ლექსად ტფილელის იოსებისაგან. ლ მ ე რ თ ო, წ ა რ მ ა რ თ ე ქ მ უ ლ ი ხ ე ლ თ ა,

ჩ ე მ თ ა ნ ი და ხელი მოუშართე მწერალსა". მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ხელნაწერის დედანი უნაკლო უნდა ყოფილიყო, იგი, სავსეა ასოთა და სიტყვათა შეცდომებით, გადამახინჯებებით (გადაწერილია XIX ს. დამდეგ ნინო ზ ე დ გ ი ნ ი ძ ი ს მიერ)

არც კლ. იო ს ე ლ ი ა ნ ს და არც ი მ ე დ ა შ ვ ი ლ -ჭ ე ლ ი ძ ე ს ჩვენი ხელნაწერი ხელთ არ ჰქონიათ და შერყვნილ ხელნაწერებს დაჰყრდნობიან. თვით პირველი გამომცემელი პ. იო ს ე ლ ი ა ნ ი დასძენს: „ესე დიდმოურავიანი დავბეჭდე უმეტნაკლებოდ იმა დედანზე, რომელიცა ვჰპოვე გადაწერილი კარგისა და გარკვეულის ჴელით თელავის სემინარიის რექტორის დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ი ე ვ ი ს ა გ ა ნ მი-სართმევად თავადის სტატსკის, სოვეტნიკის გ ი ო რ გ ი ე ნ ა ტ ი ს -ძის თ უ მ ა ნ ო ვ ი ს ა, წელსა 1823-სა"-ო. (გვ. 3).

უფრო შერყვნილი ტექსტი ჰქონიათ ხელს იმედაშვილ-ჭელიძეს. ეს იმ რამოდენიმე მაგალითიდანაც კი სჩანს, რომელსაც აქ ავნიშნავთ ჩვენს ტექსტთან შედარებით:

ი მ ე დ ა შ ვ ი ლ - ჭ ე ლ ი ძ ე ს გამომცემ ა:	ჩ ვ ე ნ ი ტ ე ქ ს ტ ი:
იქიდან კაცი ჩავგზავნე დ ი დ ი ს გ ზ ი ს შემტყობარია 130/13	იქიდან კაცი ჩავგზავნე ხ ი დ ი ს გ ზ ი ს შემტყობარია, 129/1.
ბატონის შვილმან გიბრძანა, ვინ არს მ უ ხ ა ნ ა თ თ ა ვ ი ა 152/2	ბატონიშვილმან გიბრძანა, ვინ არის მ უ ხ რ ა ნ თ თ ა ვ ი ა? 152/2.
ბრძანა: ნუ მოჰკლავთ ჯ ა შ უ შ ს ა მის კაცსა მიებარეთა! 174/1.	ბრძანა ნუ მოჰკლავთ ჯ ა მ უ შ ს ა კ მის კაცსა მიებარეთა! 174/1.

X

იარაღს თავსა დავადეგ მ უ ზ ა რ ა დ პირ-აკეცილი. 197/1.	იარაღს თავსა დავადეგ, მ ე ზ ა - რ ა დ პირაკეცილი. 197/1.
ნახშირის გორით მოვიდა ც ხ ე ნ ი ს ა გამომცემელი 248/3.	ნახშირის გორით მოვიდა, ც ი ხ ი - ს ა გამომცემელი, 248/2.
ახლა მგონი მუხრანს გაძლევს შე-იშურვებს მთას და გ ზ ე ბ ს ა. 290/3.	ახლა მგონი მუხრანს გაძლევს შე-იშურვებს მთას და ზ ე გ ს ა! 290/3.
მშვიდობით, თვისნო, მოყვასნო, გამოგესალმოთ ს ა ლ მ ო ბ ი თ 333/1.	მშვიდობით, თვისნო, მოყვრებო, გამოგესალმო ს ა ლ ა მ ი თ! 333/1.
მით მიყვარდა ბევრჯელ შევექენ კ ა - ც ი შუა განაკვეთი! 313/2.	მით მიყვარდა, ბევრჯელ შევექემენ მ ტ ე რ ი შუა განაკვეთი! 313/2.
თავს ვეტყოდი, ქართლისათვის მოვკვ-დი, წი გ ნ ი ც აწამება! 315/1.	თავს ვეტყოდი ქართლისათვის მოკ-ვდი, წინ გ ი ც ა წამება! 315/1.
მმას და შვილსა თვით ხედვიდეს მის-თვის ჰსთმობდეს ორსავ კ ა ც ს ა! 384/2.	მმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მისთვის სთმობდეს ორსავ მ კ ვ დ ა რ -სა! 385/2.
დავით სიტყვა გაუთავე, გულსა ჩ ე მ ს ა „ვაშა“, „ვაშე“! 453/3.	დავის ს ი ტ ყ ვ ა გაუთავე, გულსა ჩ ვ ე ნ ს ა „ვაშა“, „ვაშე“! 435/3.

ასეთი შეცდომები ბევრია, როგორც ნაბეჭდში, ისე ხელნაწერებში; ზოგან სიტყვა-ნაკლებულობაა, ზოგან მთელი სტრიქონებია გამოტოვებული. ცხადია ასეთი დამახინჯებანი აბნელებენ პოემის აზრს და მკვლევარი და მკითხველი ადვილად შეუძლიანთ შეცდომაში შე-

იყვანონ. მაგ. ერთი სიტყვა „ჯ ა მ უ შ ი“ სხვა ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში დღემდე ხმარებულ „ჯაშუშის“ ნაცვლად რამდენად სცვლის აზრს!

რაც შეეხება ჩვენი ტექსტის ხელნაწერს, იგი თავის დროს მოკლედ აღწერა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა (Описание рукописей, т. I в I-4, გვ. 120-121.) ხელნაწერი 28X20 სნტმ. დაწერილია მეჩვიდმეტე საუკუნის კარგი, მგრგლოვანი ხელითი ყოველი ტაეპის დასაწყისი გადაწერილია წითელი სინგურით. გადამწერის ვინაობა არ სჩანს. ხელნაწერი შეიცავს 123 გვერდს ანუ კაბადონს. ყდაზე დარჩენილი წარწერა გვამცნობს, რომ ხელნაწერი თავის დროზე საქართველოდან გაუტანიათ და შემდეგ ასტრახანში შეუძენია ცნობილ ქართველ მთარგმნელს და მოგზაურს გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს (1780-1850). აი ეს მინაწერი:

„კნიაზ ი ა გ ო რ ა ვ ა ლ ი ს - შ ვ ი ლ ი ს ა ვარ. ასტრახანს ნაყიდი ხუთ აბაზად შეუკრავი და შესაკრავათ მისცა სამი აბაზი“.

ცნობილია, რომ ასტრახანში ერთი მთავარი პუნქტი იყო რუსეთში გზად მიმავალ ემიგრანტებისა, რომელთა რიცხვი XVII და XVIII საუკუნეებში მეტად დიდი იყო. ამ გადახვეწილთა შორის არა ერთი მწერალი და მწიგნობარიც ითვლებოდა და ხსენებული

XI

ხელნაწერი ალბათ მათ მიერ იყო საქართველოდან გატანილი. ჩვენ ვიცით, რომ ასტრახანში ცხოვრობდნენ მეფე პოეტები – არჩილი (1682 წლ. 2 სექტემბრიდან 1685 წლ. შემოდგომამდის), ვისდამიც მიმართულია პოემა და ვისი ბრძანებითაც დაიწერა „დიდმოურავიანი“; ვახტანგ VI, რომელიც ასტრახანშივე მიიცვალა 1737 წელს. და შესაძლოა, რომ ჩვენი ხელნაწერი ერთერთ მათგანის ბიბლიოთეკის საკუთრებას შეადგენდა კიდევ. ასეა თუ ისე, ხელნაწერი შემდეგ ისევ დაბრუნებულა საქართველოში და მით დაღუპვას გადარჩენილა. საყურადღებოა ერთი გარემოება, ამ უძველეს ხელნაწერში, ასევე დედანზე გადაწერილი წ. კ. 101-ში პოემა ცალკე თავებად არ არის დაყოფილი, და არც ცალკე სათაურები აქვს, როგორც ეს სხვა ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში გვხვდება. მამასადამე, სათაურები ავტორს – იოსებ ტფილელს – არ ჰკუთვნებია.

ეს მომენტი მით არის საყურადღებო, რომ „დიდმოურავიანის“ ცალკეულ თავების სათაურებს დღემდე ტფილელისათვის მიკუთვნებულს, ემყარებოდნენ, როგორც ტფილელის სარწმუნო ისტორიულ ცნობებს გიორგი სააკაძეზე და მით შეცდომაში შედიოდნენ. ერთს ხელნაწერში (წ. კ. № 1538) დაცულია სათაურების ავტორის სახელიც. იგი ყოფილა ვინმე კალიგრაფი, „მჩხაბავი თ ო მ ა,“ რომელსაც „დიდმოურავიანი“ გადაუწერია მცხეთაში, 1765 წელს, მამასადამე, „დიდმოურავიანის“ ტექსტის თავებად დაყოფა და მათი დასათაურება XVIII სნის მეორე ნახევარს ეკუთვნის.

საყურადღებოა, რომ რედაქტორი თ ო მ ა პოემის ზოგ ამბებში თვითაც ვერ ერკვევა. მაგ. მას შეცდომით ჰგონია, რომ პოემაში დიდი მოურავი ესაუბრება სვიმონ მეფეს და არა თეიმურაზს: „ამას ყუელას მ ე ე ე ს ს ვ ი მ ო ნ ს ე უ ბ ნ ე ბ ა, მოურავს ლუარსაბის სისხლს ადებენ და ამისათვის ეს ყუელა მოახსენა“-ო. ასეა მეორე შემთხვე-

ვაშიც: პოემაში ნათლად სჩანს, რომ 1609 წ. თათარხანთან ბრძოლა „სურამის ბოლოს“ მომხდარა, რომ ომის ასპარეზი სურამის ბოლოსა და კორტანეთს შორის მოქცეული ტერიტორიაა, – ტაშის-კარი, ხოლო მესათაურე კი შენიშნავს: „ეს არ ვიცოდით, სად შეგებულან, შემინდე ვითმამანო“-ო!

ამ გადამწერლებსვე ეკუთვნის მე-9-ე კარის სათაურში ცნობა, თითქოს მოურავმა ყაენს ურჩია ლუარსაბ მეფის სიკვდილი, „სანამ ლუარსაბ მეფე ცოცხალია, ქართლი არ დასწყნარდებაო და „ამაზედ თავი მოსჭრეს ლუარსაბს“, „წინ სუფრაზე თავი დაიდვაო და ასრე ბრძანაო: „მე გთხოვდი დას, მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეცო და ამ საქმეზედ ლუარსაბ მეფის მესისხლობა მოურავს დასწამესო“. ეს ბრალდება სრულიად ეწინააღმდეგება „დიდმოურავიანის“ ტონსა და

XII

შინაარსს. პოემა გიორგი სააკაძის გმირობის და ღვაწლის პროპაგანდას შეიცავს, მისი პიროვნების სრულიად გამართლებას ქვეყნისა და მეფის წინაშე:

მე მეფეთა ორგულეა არა მთქმია არავისაგან!...

ეგრე თქმულა, ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება!...

მესათაურე კი კონკრეტულ ბრალდებას უყენებს, – ლუარსაბ მეფის მესისხლეობას. ანტონ ფურცელაძე ამ ცნობების შესახებ ტყუილად კი არ შენიშნავდა: „ეს არამც თუ ამ თავს და მთელს „დიდმოურავიანს“, მთელს ისტორიულს ფაქტებს ეწინააღმდეგება“-ო და შემდეგ კითხულობდა: მაშ საიდან შესდგა ეს სათაური ამ თავისა, სათაური, რომელიც ვერც ერთს ხელნაწერში ვერ ვიპოვე“-ო და თან დაძინა: „ეს სიტყვები არის მოყვანილი პარიჟის ბიბლიოთეკის ხელნაწერს „ქართლის ცხოვრებაში“ო. ამ წიგნიდამ აქვს აღებული დავით რექტორს, თუ ეხლა რაიმე წიგნიდამ აუღია ან თვით შეუთხზავს, ძნელია სათქმელადო“¹.

ეხლა ჩვენთვის ცხადია, რომ ხსენებულ სათაურებს ჩვენს პოემასთან არავითარი კავშირი არა აქვს; იგი შემდეგ დროში მოუტმანსნებიათ რედაქტორ-გადამწერლებს და აქედან გადასულა პლ. იოსელიანი და ქელიძის ნაბეჭდ გამოცემებშიც.

საყურადღებოა, რომ „დიდმოურავიანის“ მესათაურე-რედაქტორები გიორგი სააკაძის მომხრეთა ბანაკის ხალხია და სათაურებში ისინი სააკაძის ოპოზიციონერთა საგულისხმოდ ხაზგასმით აღნიშნავენ დიდი მოურავის სიმართლეს, სიდიადეს და მის დამსახურებას საქართველოს წინაშე. მოგვყავს ერთი მათგანის ანოტაცია:

„ამბავი გალექსით გარდათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისისა, ქცხინუალისა და კავკასიის მთისა დვალეთისა² მოურავი, – კაცი ძლიერი, სახელოვანი, ჰაეროვანი და ომის ფრიად შემმართებელი, რომელიცა დაშვრადითა შრომითა საქართველოსაზედა ქართლსა და კახეთსა, რომელმანცა მრავალგზის განათავისუფლნასა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა (sic!) შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო

მთავარი ქართლის სამეფოს შინა მდიდარი ფრიად". (იხ. წერ. კ. № 4699 ხელნაწერი, გვ. 1)³.

მოგვყავს სამი ხელნაწერიდან „კარების“ სათაურები:

¹ ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად, ანუ გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე და მისი დრო“. გვ. 48-50, სქოლიო (1911 წ, გამც.).

² სწერია: „მ დ ა ვ ლ ე თ ი ს ა“.

³ ამ წარწერას იმეორებს საისტ. საეთნ. № 612 ხელნაწერიც.

XIII

კარი მეორე. მოურავისაგან თვისის ნამსახურისა და ვალდებულობის შეთვლა ჯელმწიფესთან. ნახეთ სიკეთე და კარ კაცობა მოურავისა (გვ. 182).

კარი მესამე. აქა რჩევა დიდის მოურავისა, ნუგზარ ერისთავისა, დელუმადისა და მათთა სპათა ვეზირობა და გამორჩევა, თ უ რ ა ს გ ზ ი თ მ ი უ ჯ დ ე თ ო. ა ს რ ე უ ნ და გ ა მ ო რ ჩ ე ვ ა. კარი გ: (გვ.186).

კარი მეოთხე. შებმა მოურავისა და თათარხანისა და გამარჯვება მოურავისა. გაქცევა თათარხანისა: კარი დ: ეს არ ვიცოდი, სად შებმულან. შემინდევით მამანო! (გვ. 187).

კარი მეხუთე. მოურავისაგან მეფის დაპატიჟება ნოსტეს და მეჯლიში. მეფისაგან მოურავის დის ნახვა და თხოვნა მოურავისაგან. დაურჩება და მოციქულის მიგზავნა მეფესთან და მეფის დედასთან. მეფისაგან ფიცის მიცემა და შერთვა მოურავის დისა და ქვათახევს ქორწილი. ნახეთ, ავი ენა როგორ გაპყრის ამ საყუარელთა, როგორც რუსთველი ბრძანებს: „ავ სასმენელის მოსმენა არს უმჟავესი წმახისა!“ (გვ. 189).

კარი მეექვსე. მეორედ მოჰყვა მოურავი თავის საჩივარსა. კარი ვ: მობეზღართ ენით, რომ სიკუდილი გაუპირა მოურავსა, როგორც თვითონ ბრძანებს: „ამისთანა კაი ყმა ვითარ არსო პატრონისაგან სასიკუდილოდ ადვილად გამოსამეტო“. მაგრამ ავი ენა ასრეთი არისო, თვისსა ბედსა უჩვენებს: და შეტყობა მოურავისაგან თავისის სიკვდილისა და გამოპარვა და მისში წყალში გასვლა ცოლშვილით. მცხეთას ლოცვა და ნუგზართან მისვლა. მსმენელო, ყური მიუპყარით! (გვ. 192).

კარი: ზ: მოურავისაგან ყაენთან წასულა ცოლშვილითა და ყურყუთას ფონზედ კოლოტაურის მიბნედა. თუ გიჟი არ იყო, მოურავს როგორ დაიჭირებდა? (გვ. 198).

კარი: თ: მონდომა შააბაზისაგან ქართლის აოხრებისა, რომ მოურავი გამოგზავნა და ყარჩიხან და დიდის ჯარით გამოატანა და ზურაბ და მოურავმა ერთმანეთს პირი მისცეს და წამოვიდეს მცირეს საქართველოზედა. ურჩივეს შააბას, მოურავი მოკალიო! დაუჯერა და შათირი გამოგზავნა. და წიგნისა მოურავისაგან ნახვა და დაჭერა მალვით; ქართველთ ჯარისა დაბარება და მოურავისაგან ყარჩიხანისა და მისთა სპათა დაჯოცა და იმავე დღესა, აქ, მცხეთასთან, რომ ახალციხე არის, ისიც თათართა ეჭირა, იმისი დაგდება და ქალაქს იერიში და კახეთს ჯარის დაჯოცა. როგორაც თვითან ბრძანა: ოთხი საქმე ერთს დღეს ვქენიო, თქვენც ნახეთ „იშიაო!“ თუ არ „იშია“ ვითამცა და საქმე არისო და ჯელმწიფის სამსახურიო, თუ არაო?

ამას ყუელას მეფეს სვიმონს ეუბნება. მოურავს ლუარსაბის სისხლს ადებენ და ამისთვის ეს ყველა მოახსენა. და ახლა კიდევ სხვას საჩი-

ვარს და დავის სიმართლეს მოსთულის. მსმენელთ გესმოდესთ. მაგრამ მოურავს ამის მეტი არ დაუშავებია რა, ერთხელ ეს უთხრა ყაენს, დაჭერილი რომ ჰყუნდა ასტარაბადს: მანამდი ლუარსაბ მეფე ცოცხალიაო, მანამდი ქართლი არ დასწყნარდებაო. ზოგმა კიდეც სხვა უთხრა და ამაზედ თავი მოსჭრეს ლუარსაბს, ვითაც ზემოთ დაგვიწერია, წინ სუფრაზედ დაიდვაო და ასრე ბრძანაო: „მე გთხოვდი დას“ მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეციო! და ამ საქმეზედ ლუარსაბ მეფის მესისხლეობა მოურავს დასწამეს (გვ. 222).

კარი ი: წასვლა მოურავისაგან ხვანთქართაგან, რაც ქართველთ ჯელმწიფეთათვის გარდაეკადა, იმ საჩივრებს მოჰყუა და ყველა მეფეს სვიმონს უამბო და რა რომ შერიგება აღარ იქნა, ერთმანეთს ემდუროდენ და ერთმანეთს გული ველარ შეაჯერეს, ვითაც რუსთველი იტყვის: „ვის ძალუც შეკურა გორლითა თივისა მთელისაო. აგრეთვე კაცის გულიაო, თუ კაცი კაცს არას უჯერს და არ მისდევსო, როგორც ის არ შეიკურისო, ისევ ამფერი კაცნი ვერ შერიგდებიანო!“ წავიდა ხვანთქართან და რაც გარდაეკადა, იმისი მოთულა და ხონთქრის სამსახურის ყუელას ანდერძად მბობა. კურთხეულმც არს ცხოვრება მისი.

სათაურები წერ. კ. № 123 ხელნაწერისა
(ხელნაწერი XVII XIX ს.ს. უთავბოლო, მეტად დაზიანებული).

[აქა] მოურავისაგან თვისის ნამსახურისა და ვალდებულობის შეთ[ულა ჯელმწიფესთ]ან. ნახეთ სიკეთე და კარგ კაცობა მოურავისა.

კარი ზ: ყენისაგან ყანდარს წასვლა, და ინდოთ შებმა. მოურავის გამარჯვება და მასუკან ბაღდადის ციხის აღება და მოურავის ძმის სიკვდილი. მასუკან, ქკს ტიჭ წამოსვლა შაჰბაას ყაენის ქართლსა და კახეთსა ზედა. მობეზღართ ენით უწინ კახეთს მივიდა და დიდმან თეიმურაზ თავისი დედა ქეთევან დედოფალი და თჳსი და ელენე და თავისი ორი შვილი ლეონ და ალექსანდრე და სხვა მრავალი ფეშქაში და სახვეწარი წიგნები მიაგება, ყაენმან ერთგულობაში ჩამოართო და უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბევრი მობეზღარი ჰყვანდათ ქართლის მეფეს და კახთ ბატონსა და აღარ დააბრუნეს. ქართლი ინა]დირეო, თუ ვინმე გებრძოლოს, პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყუნეთო.

ქ: ოხრება და წახდენა ქართლისა ლუარსაბ მეფისაგან, იმერეთს გარდასვლა და სარუ ხოჯას და შადიმანის სიტყვით მოტყუვება და ლუარსაბის ჩამოყვანა და ყენისაგან თან წაყვანა. და მასუკან თავი სუფრაზე დაიდვა ურჯულომან შაჰაბაზ: „მე კი ის არ მომეც უმჯობესი დაო და თეიმურაზს მიეციო!“

ქ. კარი მეხუთე. მოურავისაგან მეფის დაპატიჟება ნოსტეს [და მეჯლიში] და მეფისაგან მოურავის დის ნახვა და თხოვნა და მოურავისაგან დაურჩება და მოციქულის მიგზავნა მეფესთან და მეფის დედასთან და მერმე მეფისაგან ფიცის მი]ცემა და შერთვა მოურავის

დისა და ქვათაჯვეს ქორწილი. [ნახეთ ავი ენა რო]გორ გაჰყრის ამ საყვარელთა, როგორც რუსთველი ზმანებს: „ავის სასმენელ(ისა) მოსმენა არს უმჟავესი ჭმახისაო!“

ქ. მეორედ მოჰყვა მოურავი თვისსა საჩივარსა, მობეზღართა ენით რომ სიკუდილი დაუპირა მოურავსა მეფემან, როგორც თვთან ბრძანებს, იმისთანა კაი ყმა ვითარ არსო პატრონისაგან სასიკუდილოდ გამოსამეტო? მაგრა ავი ენა ასეთი არის თვისსა ბედსა უჩვენებს.

ქ. კარი ვ. შეტყობა მოურავისაგან თავისის სიკუდილისა და გამოპარვა და მასში მტკვარს გასვლა ცოლ შვილით. მცხეთას ლოცვა.

სათაურები წ. კ. № 4699 ხელნაწერისა

(გადაწერილია 1854 წს იოანე ბესარიონის ძის ხიმშივეის მიერ. ამ ხელნაწერის გადანაღები პირია № 612 ხელნაწერი):

ამბავი გალექსით გარდათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის ძისა ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისის, ქცხინუალისა და კავკასიის მთისა მდავლეთისა მოურავი კაცი ძლიერი, სახელოვანი, ჰაეროვანი და ომის ფრიად შემმართებელი, რომელიცა დაშვრა დიდითა შრომითა საქართველოს ზედა ქართლსა და კახეთსა, რომელმანცა მრავალ გზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოსა შინა მდიდარი ფრიად (გვ. 1).

აქა მოურავისაგან მეფესთან მოციქულების მიგზავნა, ავალის-შვილი დომენტი და სხუანნი დარბაისელნი. (გვ. 3).

აქა მოურავისაგან მეორედ მოციქულობის წარგზავნა მუნვე, ქცხინუალსა შინა (გვ. 4).

აქა მოურავისაგან თავის ნამსახურობისა და ერთგულობის შეთვლა მეფესთან. ნახეთ სიკეთე და კარგ კაცობა მოურავისა. (გვ. 5).

აქა რჩევა ქართველთ დარბაისელთა და რჩევა დიდის მოურავისა, ნუგზარისა დელუმაჰმადისა და მათთა სპათა ვეზირთა და გამორჩევა თუ რა გზით უნდა მიუხდეთ! (გვ. 8).

აქა განსაკუთრებით გიორგი მოურავისა განრჩევა. (გვ. 9).

აქა მოურავისაგან მეორედ შებმა თათარხანისა და გამარჯვება დიდი სურამის ბოლოს (გვ. 10).

აქა მოურავისაგან ლუარსაბ მეფის დაპატიჟება ნოსტესა შინა. მუნ დიდი განცხრომა, შვება და ლხინი. ლუარსაბ მეფისაგან მოუ-

XVI

რავის დის ნახვა მეფისაგან მოწონება და თხოვნა მოურავის დისა და მოურავისაგან დიდი უარი ყოფა. მეფესთან და დედოფალთან ხვეწნა და მეფისაგან განრისჯება და შემდეგ მოურავისაგან ნების დართუა. და მეფისაგან საფიცრის წიგნის მიცემა. და წასვლა მეფისა ქალითურთ ქუაბათა ხევს ქორწინება და რაიცა მოხდა შემდგომად იცნობების წამკითხველთაგან (გვ. 12).

აქა განმეორებით მოჰყვა მოურავი თავის საჩივარსა. მობეზღართა ენით ღალატით სიკუდილი დაუპირეს, როგორათაც თვთ ბრძანებს. ამისთანა კარგი ყმა ვითარ არსო გასამეტი პატრონისაგან სასიკუ-

დილოდ? შეტყობა მოურავისაგან და წამოსვლა დილისა ოდენ ჟამსა (გვ. 15).

კარი მეშვიდე. მოურავისაგან ყაენთან წარსვლა და ყურყუთას ფონზედ კოლოტაურის მიზნედა (გვ. 19).

აქა კარი მერვე. ყაენისაგან ყანდარს წარსვლა და გიორგი მოურავისაც თან წაყუანა და ინდოთ შებმა და მოურავისაგან დიდი გამოჩენა და გამარჯვება. და შემდგომ ბაღდადს წარსვლა და მოურავის ძმის ქაიხოსროს თან წაყუანა. და ბაღდადის ციხეზედ მისვლა და აღება და ქაიხოსროსაგან ძლიერად გამარჯვება და მუნვე სიკუდილი. და შემდგომ (ტიწ) წამოსვლა შაჰაბაზისაგან ქართლსა და კახეთსა მობეზღართა ენით; პირუჭელ კახეთს მოვიდა და დიდმან თეიმურაზ მეფემან თავის დედა ქეთევან დედოფალი და თავის და ელენე, ძენნი ლევან და ალექსანდრე და სხვანნიცა დიდებულნი და ძვირფასნი ფეშქაშნი და სახვეწარი წიგნი მიაგება და ყაენმა ერთგულობაში ჩამოართვა და უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბევრი მამბეზღარი ჰყუანდა ქართლსა და კახთ ბატონებსა და აღარ დააბრუნეს. ქართლი ინადირე, თუ ვინმე გებრძოლოს, პასუხის მომცემნი ჩუენ ვიყვნეთო. აოხრება და წახდენა ქართლისა და ლუარსაბ მეფის იმერეთს გადასვლა სარუხოჯასაგან და შადიმან ბარათას შვილის სიტყვით მოტყუება და ლუარსაბ მეფის გადმოყვანა და შაჰაბაზისაგან თან წაყვანა და შემდგომ მოკვლა. და თავი წინ დაიდვა: „მე კი არ მომეც შენ დაო და თეიმურაზს მიეციო!“ (გვ. 20-22).

აქა მოურავისა გ. ხოსრო მირზას გამოჩენა შაჰაბაზთანა და რომელიც იყო ეს ხოსრო მირზა მამით ბაგრატიოვანთაგანი და დედით თათრის ქალისაგან, რომელსაც შემდგომად ეწოდა როსტომ-მეფე და დაიპყრა ამანვე ქართლი და კახეთი (გვ. 25).

აქა მონდომა შაჰაბაზისაგან ქართლის აოხრებისა, რომ მოურავი გაგზავნა და ყარჩიხან დიდის ჯარით გამოატანა მოურავმან და ზურაბ ერისთავმან. ერთმანეთს პირი მისცეს, და წამოვიდნენ მცირეს საქართველოსა ზედან და მაშინ ურჩიეს შაჰაბაზსა: მოურავი მოკვალო!

XVII

შაჰაბაზისაგან ფარულად ქართველთა ჯარის დაბარება, ყარჩიხანის ღალატი და სიკუდილი და მისთა სპათა დამარცხება და იმავეს დღესა ცხეთას ზევიდამ რომ ახალციხე არის, თათართ ეჭირათ იმის აღება და მუნ მყოფთ დაჯოცვა და ქალაქში იერიში მარდ ურდოზედ ჯარის აღჯოცხვა და გამარჯვება როგორათც თვითონ ბრძანებს: ოთხი საქმე ერთის დღეს ვჰქმენიო! ამას ყოველს სვიმონ მეფეს მოახსენებს მოურავი, ლუარსაბ მეფის სიძულილს რომ ადებენ ყოველივე მოახსენა და თავის საჩივარსა სიმართლესა და შრომასა და დიდსა ომებსა საქართველოსათვის, გამომეტებასა მოსთქუამს (გვ. 25-26).

აქა გორიდგან წასვლა მოურავისაგან ბირთვისის ციხის მოხდომა, ციხის აღება და ყიზილბაშთ მეციხოვნეების ხუთასის კაცის დაჯოცვა. (გვ. 35).

აქა მოურავისაგან ზურაბ არაგვის ერისთავთან ფარვით კაცის გაგზავნა და გამოლაპარაკება თავის ცოლის ძმასთან (გვ. 38).

აქა ზურაბ ერისთავისაგან პასუხის მოსვლა (გვ. 39).

აქა წასვლა მოურავისაგან ხუანთქართან, რაც ქართველთ ჯელმ-

წიფეთათვის გარდავედო და იმ საჩივრებს მოჰყუა და ყველა მეფე სვიმონ და უამბო და რა რომ შერიგება აღარ მოჰდა, ერთმანეთს უმდუროდნენ და გული ველარ შეაჯერეს, მივიდა ხუანთქართან და ყოველი თვისი გარემოების ანდერძად მოთვლა და ჯვანთქრის სამსახური.

როგორც სათაურების განხილვამ დამარწმუნა, ფაქტიურად ისინი ერთს ავტორს ეკუთვნის (რომელიმე რედაქტორ-გადამწერელს) და შემდეგ სხვა გადამწერლებს – ზოგს იგი პირდაპირ გაუმეორებია, ზოგს შეუქმნა, ზოგს კი უფრო განუვრცია.

რაც შეეხება „დიდმოურავიანის“ ტექსტს, ჩვენ ვბეჭდავთ მას უცვლელად წ. კ. № 15 ხელნაწერიდან. არ ვეხებით აგრეთვე ტფილელის სტილურ სისტემას. ვასწორებთ მხოლოდ კალმის შეცდომებს:

„სიზომის“ – „სიზომის“ (4/10), „თ ა ს ა“ – „თასსა“ (5/13) „ას“ – „ასს“ (11/58), „დამართა“ – „დამართა“ (13/70), „ხლმის“ – „ხმლის“ (16/87), „ხლმით“ (29/180), – „მარშასწინანდელი“ – „მარშანწინანდელი“ (16/87), „გქონდა“ – „გვქონდა“-ს მაგიერ (21/125), „შეიტვეს“ – „შეიტვეს“ (22/135), „წავდე“ – „წავიდეს“ მაგიერ (23/141), „დამართა“ – „დამართა“, „ყანდარს“ „ყანდაარს“ (27/162), „წვს“ – „გწვავს“ (28/170), – „ძვირფას“ – „ძვირფასს“ (30/188), „ლომან“ – „ლომან“ (31/195), „ბევრჯელ“ – „ბევრჯელ“ (36/243, 46/313), „ბირთვისა“ – „ბირთვისა“ (38/260), „ტბის“ – „ტბისს“, „საბროლოდ“ – „საბროლოდ“ (39/269), „გაუცვლდების: – „გაუცვილდების“

XVIII

(40/277), „შემატებელი“ – „შემმატებელი“ (41/286), „ჩემან“ – „ჩემმან“ (43/298; 46/326, 54/393), „მაქეფსა“ – „მაქეფსა“ (45/211), „არიგება“ – „გარიგება“ (47/336), „მფრინველთ“ – „მფრინველით“ (45/345) „ველია“ – „ველია“ (50/361), „ძალუცვ“ – „ძალუც“ (50/352), „დათვერეს“ – „დათვერეს“ (52/380), „მასმა“ – „მასმია“ (53/386), „მართებს“ – „მმართებს“ (54/391, 62/460), „აერი“ – „ჰაერი“ (61/454), „ნილოს“ – „ნილოსს“ (62/459), „გაიწყრობს“ – „გაიწყრომოს“ (63/462), „მართებდა“ – „მმართებდა“ (63/472) „გვართომან“ – „გვართომან“ (63/475) და სხვა.

3. ავტორის ბიოგრაფიისათვის

„დიდმოურავიანის“ ავტორობა, როგორც ძველადვე ცნობილია, იოსებ ტფილელს ს ა ა კ ა ძ ე ს ეკუთვნის. სამწუხაროდ, მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები შემონახულა პოეტის შესახებ.

უპირველესად, დღემდის გაურკვეველია მისი ბიოგრაფიის პირველი ნახევარი, როგორც მშობლების ვინაობა, ყრმობა და სიჭაბუკე და ბოლოს მისი ნათესაური დამოკიდებულების საკითხი დიდი მოურავის გიორგი სააკაძისადმი.

ტფილელის პირველი ბიოგრაფის, პლატონ იოსელიანის (1809-1869) ცნობით, იოსები იყო ძი ს ძ ე დიდის მოურავისა შვილი გიორგის ძის სიაუშისა" (იხ. Жизнь Великого Моурავа, გვ. 84), ამ ცნობას იზიარებენ: დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (ივერია, 1885 წ. № 5; ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე (ბრძოლა საქართველოს მოსასპო-

ბად". გვ. 422); ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი (სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 87; Хроника Эриставского Акафиста, გვ. 8); მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (საქართველოს ისტორია, გვ. 347, 1897 წ.). პროფ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, იოსები ყოფილა „ნათესავი მოურავის გიორგი სააკაძისა" და თან დასძენს: „ამ პოემის ავტორი თავის თავს უწოდებს მოურავის ძის ძედ"-ო. (ქართ. სიტყვიერების ისტორია, გვ. 509) ჩვენის მხრით უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად იოსები არ ასახელებს თავს მოურავის შვილიშვილად და ხახანაშვილის ცნობა გაუგებრობად უჩადა ჩაითვალოს. მეორე ალაგს ხახანაშვილი ჩვენს ავტორს მოურავის „ჩ ა მ ო მ ა ვ ა ლ ს უწოდებს; („გუჯრები“ გვ. 3). პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე აღნიშნავს, „დანამდვილებით არ ვიცით, ვისი ძე თუ ძმის ძე იყო იოსები მოურავისა“-ო. (ქართ. ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 361). დასასრულ, 1854 „დიდმოურავიანის“ წ. კ. № 4699 ხელნაწერის გადამწერი ი ო ა ნ ე ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი იოსებს მოურავის „თვისივე ტომად“ ასახე-

XIX

ლებს („დასასრული დიდის მოურავისა ამბისა, ლექსად თქმული თვისივე ტომის იოსებ ტფილელის მიტროპოლიტისაგან")¹.

ასე გამოურკვეველია ეს საკითხი, მით უმეტეს არც ერთი მკვლევართაგანი არავითარ წყაროს არ გვისახელებს თავისი ცნობის დასამტკიცებლად. ვფიქრობთ, ზემოთხსენებული მკვლევრები (კეკელიძის გარდა) შეუმოწმებლად და გამოუკვლევად მხოლოდ პ. იოსელიანის ცნობას იმეორებენ.

საკითხის გასარკვევად, ისევ ავტორის ბიბლიოგრაფიულ ცნობას უნდა დავუტრიალდეთ.

პოემის ეპილოგში ტფილელს ნათქვამი აქვს:

ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომმან მისმან ეს ვიწყე წერებად-ო 475/2.

მამასადამე, პოემის ავტორი დიდი მოურავის ოჯახის ახლობელი წევრია, „ნათესავ-მოდგამ-გვარ ტომი". მაგრამ რომ უფრო დაწვრილებით გამოვიკვლიოთ პოეტის ვინაობა, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას.

იოსებ ტფილელს ზოგ ხელნაწერში ბ ა ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი² ეწოდება. (ბაბათაშვილი კი განშტოებაა სააკაძის გვარისა, ისევე, რიგორც ამავე გვარში – ს ა ა მ ი შ ვ ი ლ ი, ფ რ ი დ ო ნ ი შ ვ ი ლ ი), ხოლო დიდმოურავის პირდაპირ ჩამომავლები – შვილები და შვილიშვილები მთელ რიგ საბუთებში „მოურავისშვილებად" იწოდებიან: „ხოლო მოურავიშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული... (იხ. ვახუშტი, გეოგრაფია, 24). ამის გამო უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ არც ბაბათაშვილები და კერძოდ არც იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის პირდაპირ ჩამომავლები არ არიან, მამასადამე, საეჭვო უნდა იყოს ცნობა, თითქოს იოსები იყო „ძის ძე დიდის მოურავისა". მაგრამ

¹ სხვათა შორის, იოსებ ტფილელის გარდა სააკაძეების გვარში ჩვენ ვიცნობთ ორ სხვა ეპისკოპოსს იოსების სახელით: 1) „კარისა წინამძღვარი" „დამანელ ეპისკოპოსი ს ა ა კ ა ძ ე ი ო ს ე ბ", იხსენიება სვიმონ მეფის დროს, 1595 წლ. ქვეშ, ქრონიკები, II, 428; 2) მანგლელი ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე, მოხსენე-

ბული 1719-1725 წლებში (Д. Пурцеладзе, Церковные Гуджары, გვ. 11, 12).

² ბ ა ბ ა თ ა შ ვ ი ლ ე ბ ი – სააკაძეებთან ერთად იხსენიებიან 17-18 ს. ს. ისტორიულ საბუთებში. მაგ. 1703 წ. ერთ სიგელს ხელს აწერენ: სააკაძე ზურაბ, სააკაძე მერაბ, ბ ა ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი ე ს ე (საქ. სიმვ. II, 196). საბუთებიდანვე სჩანს, რომ ყმა და მამული მათ ჰქონიათ სოფი ბობნავში („ბ ა ბ ა თ ა ს ი თარხანი ბობნავს“ ს. ს. № 14635; და რუისში ს. ს. № 13659).

სხვათა შორის, როგორც გამოვარკვით, ბაბათაშვილების შტოს ეკუთვნოდა XVIII ს. პირველ ნახევრის პოეტი-ემიგრანტი დ ე მ ე ტ რ ე ს ა ა კ ა ძ ე. იგი სოფ. ბობნავიდან ყოფილა.

XX

იმავე დროს რაკი იოსები გ. სააკაძის „ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომია“, ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს დიდი მოურავის ერთ-ერთი ძმის შვილი ანუ მოურავის ძმისწული¹.

ისტორიულ საბუთებში იხსენიება გიორგი სააკაძის მხოლოდ ერთი ძმა ქაიხოსრო, რომელიც 1614 მოჰკლეს ქ. ბაღდადის ადების დროს, როგორც შაჰბასის მოლაშქრე. შესაძლოა, იოსებ ტფილელი შვილია ამ ქაიხოსროსი, რომელსაც ტფილელი ორჯერ იხსენიებს „დიდმოურავიანში“:

...ერთ კაცად კმარიყო, რაც ვნახე ჩ ე მ ი ს ძ მ ი ს ა ნ ი...
ძ მ ა მ ე ყ ვ ა ნ დ ა გულ სრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა,
მან ერთი კაცი საბრძოლოდ ადვილად არ შეიხისა, –
ის იქ მამიკლეს ომშიგან, კაცება შეჰქმნეს თიხისა!

მაგრამ დიდმოურავიანის მიხედვით, გიორგი სააკაძეს ჰყოლია მეორე ძმა, რომელიც უკვე იხსენიება ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ. ასე, როცა დიდ მოურავთან მოვლენ მეხვაშიადენი საიდუმლოს გასამხელად, გაკვირვებული მოურავი ჰფიქრობს ამის გამო:

მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ძ მ ი ს ა თ ვ ი? 4/8.

ამ მეორე ძმის სახელი არც ერთ საბუთში არა სჩანს, მაგრამ რაკი იოსები ბაბათაშვილობით იხსენიება და ბაბათაშვილი კი იოსებამდე არა ჩანს, ვგონებთ, ბაბათა უნდა ჰრქმეოდა იოსების მამას ანუ

¹ ჩვენი საკითხის გამოსარკვევად ცალკე ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში ნაკლებად ცნობილ სიტყვას „მ ო დ გ ა მ ი“. „მოდგამი“ იგივე „მომდგომია, რაც ჰნიშნავს – მონაწილეს, მოზიარეს: „მოდგამს“ აღმოსავლეთ საქართველოში გუთნის ამხანაგობის მოზიარეს უწოდებდნენ. სულხან-საბასაც ასე აქვს ეს სიტყვა განმარტებული: „მოდგამი-მეკომე. ჯილდის მოზიარე“. საგლეხო მეურნეობის ტერმინს „მოდგამს“ იცნობს XI საუკუნის ძეგლი – ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: „ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწეროთ ოთხთავე პატრიარქთა საყდრის მ ო დ გ ა მ თ ა ჩუენთა“... (გვ. 315). 1844 წელს გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი ზ ა ქ რ ო ბ ი ლ ა ნ ი – შ ვ ი ლ ი თავის წერილში „ჩვენებური გუთნის წესები“ აღნიშნავს, რომ ივრის ხეობაში (გარე კახეთი), „გუთანი ეკუთვნის პატარა ამხანაგობას, შემდგარს გუთნის დედისა, ღამისა და დღისი მეხრეებისა და კიდევ სხვა წევრებისა, ანუ როგორც გლეხები იტყვიან „მ ო დ გ ა მ ე ბ ი ს ა გ ა ნ“–ო („დროება“, № 74). სულ ახლა ხანს, ერთ-პიროვნულ მეურნეობის დროსაც, სოფელში გუთნისდედა ჰმართავდა საგუთნი ამხანაგობას, რომელშიც ამხანაგებად შედიოდნენ დღისი და ღამის მეხრეები. ამხანაგად შესვლა გარეშე კაცსაც შეეძლო, თუ კი ის ამხანაგობაში ხარებს შეიყვანდა,

საგუთნო ამხანაგობის წევრებს „მოდგამებს“ ეძახდნენ. ისინი გუთნის დედის მოდგამები იყვნენ, ხოლო გუთნისდედა ამხანაგობის მოთავე და მეთაური იყო.

მაშასადამე, რაკი ტფილელი თავის თავს დ. მოურავის „მოდგამად“ ასახელებს ნათესავ-გვარ-ტომთან ერთად, ვფიქრობ, რომ იგი ჰგულისხმობს თავს გიორგი სააკაძის ოჯახის მონაწილედ. სწორედ მოდგომით, მომდგამობით და არა პირდაპირი ხაზით – შვილიშვილობით.

XXI

გიორგი სააკაძის მეორე ძმას, რომელიც ისტორიაში არავითარი მოღვაწეობით არ არის ცნობილი.

პ. იოსელიანის ცნობით, იოსების მამას ბაბათა ჰრქმევია; თათრები ბაბათას უწოდებდნენ, როცა იგი მოურავის საქართველოდან გადახვეწის და სიკვდილის შემდეგ არზრუმში ცხოვრობდაო. შესაძლოა ეს ცნობა ჭეშმარიტებას არ იყოს მოკლებული. ბაბა – თურქულად ჰნიშნავს პაპას, მხცოვანს, ღრმა მოხუცებულს და შესაძლოა იოსების მამამ ღრმა მოხუცებამდის მიაღწია.

მაგრამ იოსებისაგან ნაწოდ ბაბათას იოსელიანის ცნობით, სიაოში ჰრქმევია. რადგან სიაოში (სიაუში) იგივე შიოშია, მოურავის ძმას გვარის ტრადიციით თავისი მამის სახელი უტარებია. თუ ნამდვილია პ. იოსელიანის ცნობა, მაშინ შესაძლოა იოსების მამად ვიგულისხმოთ ის ბ ა ბ ა - შ ი ო შ, რომელიც 1656 წ. იხსენიება ერთ საბუთში¹. (ს. ს. № 14657; საქ. სიძვ. II, 83) ეჭვი არაა „ბაბა-შიოშ“ უნდა შეიცავდეს ორივე სახელს „ბაბას და შიოშს“.

ამნაირად, ჩვენი ძიებით იოსებ ტფილელი ძმისწული უნდა ყოფილიყოს დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. 1626 წ. სააკაძე დამარცხდა ბაზალეთში და აქედან მთელი თავისი ოჯახით, ნათესავებით და თანამგრძნობლებით გადაიხვეწა ოსმალეთში, რადგან ბაზალეთის ომის შემდეგ მათ ქართლში აღარ ედგომებოდათ. ცხადია, მასთან იქნებოდა ძმაც შიოშიც ანუ სიაუში თავისი შვილით, დიდმოურავის მომავალი ავტორით, იოსებითურთ, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვს (ტფილელის დაბადებამდე ჩვენ ვდებთ 1620-იან წლებს) დიდებულ ბიძასთან ერთად უნდა გაეზიარებინა ემიგრაციის დღეები.

რამდენი ხანი დაჰყვეს სააკაძეებმა ემიგრაციაში?

საკაძის თარხან იორამისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში მეფე როსტომი ვრცლად გვიამბობს გადახვეწილ სააკაძეების დაბრუნებას ოსმალეთიდან. იგი მიჰმართავს იორამს, გ. სააკაძის შვილიშვილს: „ოდეს პაპა შენი გიორგი მოურავი საქართველოდამ გადავარდნილიყო, მაშინ რაც სამკვიდრო ან მეფეთაგან წყალობა მამული ჰქონებოდათ, სახასოთ დადებულიყო და რომელიმე სხვათათვის ებოძე-

² ამ საბუთს ყურადღება პირველად პროფ. კ. კეკელიძემ მიაქცია (ქართ. ლიტ. ისტ. II, გვ. 361). „ბ ა ბ ა“ „ბ ა ბ ი ა“ კაცის სახელია დღესაც აღმოსავლეთ საქართველოში. საინგილოშიაც ყოფილა სახელი „ი ვ ა ნ - ბ ა ბ ა“ (იხ. მ. ჯანაშვილის წიგნაკი „ი ვ ა ნ ბ ა ბ ა ბულულაშვილისათვის ძეგლის აღმართვის გამოი 1914 წ.).

³ სააკაძე შიოშ იხსენიება აგრეთვე 1643 წელს (საქ. სიძვ. II, 68), 1656 წელს – სააკაძე ზურაბთან (ს. ს. № 5465) და ბეჟანთან (საქ. სიძვ. IN^o, 67); ხოლო 1661 წ. სააკაძესთან პაპუნასთან და დათუნასთან (წ. კ. № 50) და ბოლოს 1671 წ. (საქ. სიძვ. I, 368). თუმცა ძნელია თქმა ამ საბუთებში მოხსენებული შიოში ყველგან ერთი პირია თუ არა. 1656 წ. შიოში იხსენიება შერმაზანის და გოდერძის მამად (საქ. სიძვ. II, 66).

ბინათ და ჟამსა მეფობისა ჩვენისასა მოურავის შვილები მოგიკითხეთ და შევიტყვევით, რომ არზრუმში ხონთქრის წყალობით სცხოვრებდით... ამისათვის ვიგულსმოდგინეთ და დიდის კემწიფის შაჰაბაზის დაკითხვით თქვენავე სამკვიდროს მამულზე მოგიყვანეთ"-ო. (ს. ს. № 13.956) როდის უნდა მომხდარიყო სააკაძეების დაბრუნება? მართალია, ზემოხსენებული სიგელი ბოძებულია 1652 წელს, მაგრამ ამაზე ადრეც, სახელდობრ, 1643 წელს იორამი საქართველოში სჩანს, სადაც როსტომ მეფე წყალობის წიგნს ანიჭებს, როგორც ერთგულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს" (ს. ს. № 14478), და თუ ერთის მხრივ ეს სიგელი ნაბოძებია 1643 წელს, ხოლო მეორეს მხრივ შაჰაბაზ II-ის გამეფება, რომლის თანხმობითაც სააკაძეები დაბრუნდნენ, – ეკუთვნის 1642 წელს, მაშინ ზედმიწევნით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იოსების ოჯახის დაბრუნებაც ამ ხანს ეკუთვნის. მაშასადამე, საქართველოს გარეთ გადახვეწილ სააკაძეებს 13-14 წელიწადი დაუყვიათ.

არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იოსების აღზრდის შესახებ, გარდა იმ ცნობისა, რომელსაც თვითვე გვაწვდის დიდმოურავიანის პროლოგში, – რომ იგი „რიტორთ კაცთა ზრდილი" ყოფილა. ანტონ კათალიკოსი გადმოგვცემს, რომ იოსები დიდად განათლებული პიროვნება იყო: „ა ქ ე ბ დ ე ს მ ი ს ს ა ს ი ბ რ ძ ი ს მ ო ყ უ ა რ ე ბ ა ს ა“-ო.

... გონება მისი ქვემდებარებდა
თავისუფალ ცნობათა, რომელთაცა,
იოსებ კმადლა გამოცდილ იყო,სრულად,
პიტიკოსთა ხელოვნებათა მიმართ“-ო.

ასეთივე აზრისაა იოსებზე მაშინდელი სასულიერო პოეტი ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი, რომელიც იოსებისადმი მიმართულ საპასუხო ლექსში ასე მოკრძალებით მიჰმართავს:

თვით მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი!

პლ. იოსელიანის ცნობით იოსები სიყრმიდან აღიზარდა ქვათახევის მონასტერში, რომელიც სოფ. ნოსტედან 3-4 კილომეტრზე მდებარეობს. თუ ეს ცნობა ნამდვილია, მაშინ შეიძლება იოსების აღზრდელთა შორის ვიგულისხმოთ ქვათახევის წინამძღვარი ნასიძე და „მცოდნე" მღვდელი იოსებ კანდელაკი, რომელთაც თვით პოეტი იხსენიებს „დიდმოურავიანში" (18, 99; 100). იოსელიანის ცნობითვე იოსები ქვათახევიშივე შემდგარა ბერად და შემდეგ იმერეთში წასულა. იქ, ნიკორწმინდის (რაჭაში) ეპისკოპოსად უკურთხეხებიათ. მაგრამ რაჭაში დიდხანს არ დარჩენილა. „და გარდმოვიდა ქართლსა და თხოვითა მეფის როსტომისა და დედოფლისა მარიამისა, რომელ-

თაცა წარგზავნეს საათაბაგოს განზრახვითა მით, რათა ჰსდგეს მღვდელ მთავრად აწყურისა თურქთაგან გაუქმებულისა ეპარხიისა. მისრული ახალციხეს, კეთილად იქმნა შეწყნარებულ მის ჟამის როსტომ

ფაშისაგან ნათესავისავე თვისისა¹. ჰგონებდნენ თვითცა და მეფეცა, რომელ ესრეთისა ნათესაობითისა დამოკიდებისა ძალითა განამტკიცებდა ქრისტიანობისა ნეშტთა სამესხეთოსა ქუეყანასა, გარნა ჰაზრი ესე დაშთა უნაყოფოდ; ფაშამან შერისხულმან მაჰმადიანთაგან დაითხოვა იგი მუნით და უკმოიქცა თფილისსა. მაშინ მეფემან როსტომ უბოძა მას სამიტროპოლიტო კათედრა თფილისისა" (იხ. „დიდმოურავიანი" გვ. 2).

საიდან აქვს აღებული ეს ბიოგრაფიული ცნობები იოსელიანს, არ ვიცით, რადგან არ ასახელებს, მაგრამ ამ ცნობებში ის ისტორიული შეუსაბამობაა, რომ: ა) როსტომ მეფე სრულიადაც არ იყო მზრუნავი ქრისტიანობისა და კერძოდ მისი დაცვის მებრძოლი მესხეთში, პირიქით, ის იყო ენერგიული მაჰმადიანი და სპარსეთში მაჰმადიანობაში აღზრდილი; ბ) თვით როსტომ ფაშაც, ვისაც იგი ვითომ შეეკედლა, მძვინვარე მაჰმადიანი იყო მისი ფაშობის დროს მესხეთში „უმეტესადრე მოიხრდნენ ეკლესიანი დიდშეწიერნი და ივლტოდნი, რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა, ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს... მოისპოდენ ეპისკოპოსნი, თუ სადმე იყო და მონოზანნი და მწყემსნი" (ვახუშტი, 258). მაგრამ მესხეთს რომ იოსები კარგად იცნობს ეს ჩანს მისი პოემიდან. მაგ. „დიდმოურავიანი" ის ასახელებს მესხეთის პუნქტებს (34/227; 35/232, 233; 36/235; 36/240) 36/247) კარგად იცნობს მესხებს, აგვიწერს მათს ზნეობას: („მესხნი კარგ შესაყრელია; მათი სიტკბო და სიამე სევდისა უკუმყრელია, რომელიც გაწვევს სალხინოდ, ხელის ხელ ჩასაყრელია. „35/232; მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჯარია". 35/233). ვფიქრობთ, რომ იოსები მესხეთში მართლაც იყო ნამყოფი იმ მიზეზით, რომ ფარად ფაშა – მესხეთის მმართველი, გიორგი სააკაძის სიძე იყო (მისი ქალი ჰყავს ცოლად) და მისი დიდი ერთგული („ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია" 35/234). დიდ მოურავმა ორჯელ შეაფარა თავი ფარად ფაშას და ბოლოს, ბაზალეთის დამარცხების შემდეგ „სამცხეში წავიდა", სადაც ჰქონდა შენახული სალარო – „საქონელნი, ბარგნი“, აქვე გადასწყდა

¹ „კ ა ლ მ ა ს ო ბ ი ს" ავტორიც გადმოგვცემს, რომ იოსები იყო ს ა ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს თ ა და წ ე რ ი ლ თ ა შ ი ნ ა გ ა მ ო ც დ ი ლ ი" („მცირე უწყება მწერალთათვის", გვ. 7). ეს ცნობა, ისე, როგორც თითქმის მთელი „უწყება" ანტონ I-ლის «წყობილისტიყვაობის" პერიფრაზას წარმოადგენს.

XXIV

მისი წასვლა ოსმალეთში, ალბათ იმავე ფარად ფაშის შუამავლობით და ცოლშვილიც აქ დასტოვა („ცოლშვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევედეს" 57/415). შესაძლოა, ამ დროს ეკუთვნის იოსების (მაშინ ჯერ კიდევ ყრმის) ყოფნა სამცხეში. გადაჭრით მაინც არაფერი ვიცით იოსების ცხოვრების შესახებ, ვიდრე ტფილისის მიტროპოლიტობამდე, მხოლოდ 1655 წელს (ტმდ) ტატისშვილის მურვანის და თუხარელ ჰაპუნას და ლამექის გარიგების ერთ მოწმედ იხსენიება „ს ა ა კ ა ძ ე ი ო ს ე ბ" (წერ. კ. № 19). ცხადია, ამ დროს იგი ქართლში ყოფილა .

როგორც ჩვენ გამოვარკვეით, იოსების დანიშვნა ტფილისის კათედრაზე 1659-1660 წლებს ეკუთვნის.

1659 წლის პირველ იანვრიდან ქართლში გამეფდა ვახტანგ V (შაჰნავაზი), მან სახელმწიფო საპასუხისმგებლო პოსტებზე მოხელეებად თავისი ახლობლები და ნათესავები დანიშნა. ასე, ქართლის საქათალიკოზო ტახტზე აიყვანა თავისი ბიძაშვილი დომენტი. ამავე ხანს ტფილისის დაცლილ კათედრაზე (ცნობილ ელისე საგინაშვილის შემდეგ) თავისი ნათესავი იოსები დაუნიშნავთ.

სიონის კათედრას იოსებ სააკაძე განაგებდა 1660-1688 წლებში.

როგორც ირკვევა, იოსები ქართველ მმართველ წრეების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყოფილა. ის მეტად ახლო მდგარა სახელმწიფო საქმეებთან, როგორც განათლებული და გონიერი ადამიანი.

უპირველესად ის შაჰნავაზის მწიგნობარი ყოფილა დიდ სახელმწიფო საქმეების წარმოების დროს. სხვათა შორის, იოსების მიერ შედგენილია და დაწერილი (1675 წლ. ივლისში) შაჰნავაზის ეპისტოლე პაპის კლემენტე X-ისადმი¹. საყურადღებოა, და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ვახტანგ V – შაჰნავაზმა 1673 ტფილისში გზად მყოფ ფრანგ ნეგოციანტ შარდენს ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის საქმეებზე მოლაპარაკებისთვის მოციქულად თვით იოსებ თბილელი მიუგზავნა. შარდენი გვიამბობს „თბილელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, მეფემ დამავალა გადმოგცეთო, რომ მან უკვე მოიფიქრა თქვენი წინადადება საფრანგეთის კომპანიასთან მიმოწერისა სავაჭრო ურთიერთობისა და საქართველოზედ გზის მიცემის შესახებ, გადასწყვიტა კიდევ მისი შესრულება, მაგრამ თავისი გარდაწყვეტილების განხორციელება ახლა მას არ შეუძლიანო, იგი, რო-

¹ შაჰნავაზის დედა გიორგი სააკაძის ქალი იყო. არჩილიც, – შაჰნავაზის პირმშო შვილი, – სააკაძის შვილისშვილის შვილია.

გორც ყაენის (სპარსეთის მეფის) ვასალი, – შიშობს, ვაი თუ ყაენმა იწყინოს გარეშე მისი შეთანხმებისა და დასტურისა საქმიანი კავშირის დაჭერა უცხოელებთანო; ამ ჟამად იგი გთხოვთ, სრულიად უშიშრად აცნობოთ კომპანიას იმის შესახებ, რომ თუ იგი მოისურვებს ჩემს საბრძანებელში თავის წარმომადგენლების გამოგზავნას, ბევრს საქონელსაც იმოვნის ევროპისათვის გამოსადეგარს და იაფს და რომ მისი წარმომადგენლები კარგად და გულმხურვალედ იქნებიან მიღებულინიო. ასეთი წინადადების საპასუხოდ, – განაგრძობს შარდენი, მე ვთხოვე თბილელს დაერწმუნებინა მეფე, რომ შეუდგები მის დავალებას. პრელატმა დაჰყო ჩემთან საათის მეოთხედი და როცა ის მიდიოდა, მე აქაური ჩვეულების მიხედვით, რომლითაც ცნობილ პირებს დარბაზობისას საჩუქარს მიუძღვნიან ხოლმე, მას მშვენიერი მარჯნის კრიალოსანი მივართვი"-ო.¹ 1662-63 წლ. იოსებს რომის მისიონერები მიუღია. მაღლიერი კაპუცინები რომის პროპაგანდას ატყობინებენ: „ტფილისში მიგვიღო ამ ქალაქის ეპისკოპოსმაო" (იხ. თამარაშვილი, 223, 124, 239).

„ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ყ ო მ ე ფ ე თ ა მ ა შ ი ნ დ ე ლ თ ა"-ო გადმოგცემს ანტონ ქათალიკოსი (წყობილისიტყვაობა, § 678) იოსების შესახებ. რომ იოსები სასახლის ახლო კაცი უნდა ყოფილიყო და საკ-

მაო გავლენაც უნდა ჰქონოდა, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ „ეპისკოპოსი ტფილელი თავის საეპისკოპოსოთ, აზნაურიშვილი მსახურით, მათის მამულით ძველადგანვე სადედოფლო“ ყოფილა, ქართველის დედოფლის ხელქვეითი.² ამიტომ ამბობს ახლად მოყვანილი ქართლის დედოფალი მარიამ (როსტომის მეუღლე): „თფილელი და სათფილელი ყმა პირის სანახავად მოგვართვესო“³.

იოსებ ტფილელი დროს ქართლში დედოფლობდა მარიამი, ცნობილი მეცენატი, მწიგნობრობისა და მწერლობისა, განმახლებელი და შემამკობელი უძველესი ტაძრებისა. ჩვენის აზრით, დედოფლის კულტურულ საქმიანობაში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო მისი მოძღვრის იოსებ ტფილელის როლი.

¹ „რადგან თბილისის ეპისკოპოსს ჯერ არასოდეს არ უდარბაზნია კაპუცინებისათვის, ისინი ამ დარბაზობით და ჩემის პასუხით ძალიან კმაყოფილნი დარჩნენო“, დასძენს შარდენი. (იხ. მისი მოგზაურობა, თბილისის რუსული, 1902 წლ. გამოცემა, გვ. 226-227) შარდენის მოწმობით, ტფილელი ცხოვრობდა სიონის ეზოში – საეპისკოპოსო სახლში (გვ. 200), როგორც ყველა ტფილელი.

² იხ. დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი – მეფის ვატანგ მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, 1886 წ. გვ. 128.

³ იხ. ა. ხახანაშვილი, „გუჯრები“, გვ. 6.

XXVI

მოწინავე, გავლენიან პირს, იოსებს მხურვალე მონაწილეობა მიუღია სახელმწიფო საქმეებში. იმ დროს, საშინელ ფეოდალურ აღრევისა, შგოთისა და განდგომილობის დროს, იოსები დიდ ერთგულებას იჩენს ტახტისადმი – იგი საიმედო და თავდადებული კარისკაცია შაჰნავაზის, არჩილის და შემდეგში გიორგი მეთერთმეტისა, რომლის მეფობასაც ბოლოს თავისი სიცოცხლეც შესწირა.

საერთოდ, იოსებს დიდი გავლენა ჰქონია ფეოდალურ საზოგადოებაში, როგორც იგივე ანტონ ქათალიკოსი გვიმოწმებს: „ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ყ ო ე რ თ ა ც ა ყ ო ვ ე ლ თ ა გ ა ნ“-ო.

ჩვენამდე შენახულა აგრეთვე ერთი საბუთი, საიდანაც სჩანს, რომ ერთგული ლეგიტიმისტი იოსებ ტფილელი ეკლესიურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა ცენტრის ხელისუფლების განსამტკიცებლად¹. ხსენებულ საბუთში, ალავერდელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი იოსებს სთხოვს ქათალიკოსთან შუამდგომლობას და პატიებას მის მიერ გვირგვინის დადგმისათვის კათალიკოსის უნებართვოდ. საქმე იმაშია, რომ კახეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, კახეთის ეკლესიამაც გადადგა სეპარატული ნაბიჯი, იგი შესაფერ მორჩილებას აღარ უწყევდა ქართლის კათალიკოსს, რომელიც იმავე დროს ქართლის მეფეების ინტერესების დამცველი იყო. სიმბოლიური ნიშანი ამ განდგომილებისა იყო ის ფაქტიც, რომ კახეთის მთავარი იერარქი ალავერდელი კათალიკოსის ნებადაურთველად და მცხეთაში მიუსვლელად თითონ იკურთხებდა თავს, საკუთარი ხელით იდგამდა გვირგვინს, რაც რამოდენიმედ ნიშნავდა კახეთის ეკლესიის განდგომას კათალიკოსისაგან. ამ დამოუკიდებლობის მთავარი მიზანი პოლიტიკური შინაარსისა იყო, რაც კახეთის მეფეების ანგარიშში შედიოდა, მათი განზრახვა იყო პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ განცალკევებასთან ერთად ეკლესიური დამოუკიდებულო-

ბის მოპოვებაც

როგორც ზემოთ ნახსენები საბუთიდან სჩანს, იოსებს ინიციატივა გამოუჩენია, „შუამავლად“ ჩარეულა ამ სახელმწიფოებრივ საქმეში და ალავერდელისათვის უთხოვნია დამორჩილება, კათალიკოსთან „ერთად შეყრა და ურთიერთის მშვიდობისა ყოფა“. ამ რიგად იოსებს მონაწილეობა მიუღია კახეთის ეკლესიის სეპარატიზმის ალაგმვაში, რასაც შესაფერი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იოსების „შუამავლობა“ კი დინასტიის და ცენტრის ინტერესებით იყო გამოწვეული.

¹ იხ. თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 205-207.

XXVII

იოსებ ტფილელის მონაწილეობით დაწერილია აგრეთვე გიორგი XI-ის სიგელი, – გილანს, იზმირს, სტამბოლს საქართველოდან აბრეშუმის გატანისა და მის ფასად საზღვარგარეთ საქართველოს მონასტრების დახსნის შესახებ (იხ. ც. არქ. სიგ. № 1283).

სხვათა შორის, იოსები ცნობილი ყოფილა იმ დროს საზოგადოებაში, როგორც განთქმული მწიგნობარი. მას დაუარსებია სიონის ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც დიდძალი ხელნაწერი წიგნები მოუპოვებია¹. იოსები, როგორც ვთქვით, მეფის მდივან მწიგნობრის როლსაც ასრულებდა. ჩვენამდე მოღწეულია არა ერთი სიგელი დიდი ხელოვნებით შედგენილი და დაწერილი „ხელითა ტფილელ იოსებისა კადიოსათა“, როგორც მაგ. 1666 წ. სინას მონასტრის სიგელი (ქრონიკები, II, 493); 1683 წ. თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნი (საქ. სიძველენი II, 97-99); 1685 წ. სიგელი გიორგი XI-ისა შანშეან-მარტეროზის შვილის ბეგთაბეგისადმი მიცემული (საქ. სიძველენი II, 100-102) და სხვა². ერთი სიტყვით, იოსები განთქმულ კალიგრაფადაც ითვლებოდა. ჩვენის აზრით მას უნდა ეკუთვნოდეს „ზაზასეულ“ „ვეფხის ტყაოსნის“ და „ამირან დარეჯანიანის“ (წ. კ. – სეული ხელნაწ. № 457) გადაწერა³.

ტფილელის ცხოვრების დრო, განსაკუთრებით მეორე ხანა, საშინელი მღელვარებით იყო სავსე; ფეოდალურ ანარქიას ბოლო აღარ უჩანდა, „განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად“; ურჩი მთავრები არ ემორჩილებოდნენ ცენტრს, მეფესა და მათ შორის გაჩაღებული იყო მუდმივი ბრძოლა და ამბოხი: ერანის მონობიდან თავის დასაღწევად და განდგომილ მთავართა მორჩილებაში მოსაყვანად გიორგი XI-ემ გადასწყვიტა კახეთის შემოერთება. კახელები დაჰყვნენ მეფის განზრახვას, „რათა შეერთდნენ და ჰყონ ერთ სამეფოდ, მისცეს პირი მტკიცე, ფიცი კახთა“ (ვახუშტი, 89), მაგრამ სპასპეტის თამაზის ღალატით ეს საქმე ჩაიშალა, რადგან გიორგი არაგვის ერისთავი მისი სიძე იყო და უკეთუ

¹ყ. სააკლ. მუზეუმის ფ. დაცულია ხელნაწერი (№ 140,) რომლის 302 გვერდზე იოსების ხელით შესრულებული მინაწერია: „ტფილელის იოსებისა [ა] ეს წიგნი“.

²ს. ჭალის ღვთისმობლის მიძინების „გულანზედ“ დაცულია შემდეგი მინაწერი იოსებ ტფილელისა: „იოანე ნათლისმცემლო, სინანულისა ქადაგო, შეივედრე სუ-

ლი ცოდვილის ტფილელის იოსებისა და შემწე ეყავ ნათლისღებულისა წინაშე. ამინ". („ივერია“, 1877, № 40); იოსების მინაწერი შენახულა აგრეთვე ცენტრარქივში დაცულ „მეტაფრასტის“ ხელნაწერში (№ 2339).

³ იხ. გიორგილეონიძე „ვეფხის ტყაოსანის ახალი ხელნაწერი“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა, № 1, გვ. 31).

XXVIII

მეფეს თავისი საწადელი აღესრულებინა, ერისთავი „შეიმუსვროდა“. ამის შემდგომ მეფემ უბრძანა ერისთავს, „რათა მოერთვას ხოლო მან არა ინება“, მაშინ მეფემ გადასწყვიტა ურჩი ერისთავის დალაშქვრა და დაიძრა დუშეთისკენ. „მაშინ შეუხდა გზასა ტინისასა მეფე და მათ (მოწინააღმდეგეთ) მოემწოთ კახნი მოყვარენი მათნი და შეკრნეს სიმაგრენი და იწყეს სროლა თოფითა დილით შუადღემდე. არამედ შეუშვნეს სხვანი დროშანი და უმეტეს უწყეს მეფისა დროშასა სროლა, მოკლეს თბილელი იოსებ, ქაიხოსრო ციციშვილი და სხვანი მრავალნი...“ (ვახუშტი, 90). ეს ამბავი მოხდა 1668 გაზაფხულზე.

იოსებ ტფილელი დაკრძალულ უნდა იყოს ტფილისში, სიონის ტაძარში.

*
*
*

„დიდმოურავიანის“ გარდა იოსებს სხვა თხზულებანიც ეკუთვნის: „ქეზა და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად“ (წერაკითხვისეული ხელნაწ. № 1512);

„ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაციისა ღთისა, ახლად შაირად გარდათარგმნილი მარგებელი მსმენელთა და მკითხულთა თვსცა, თქმული სააკაძისაგან იოსებ ტფილელისაგან“ (წ. კ. № 1512);

„ანბანთქება ახლად თქმული ბაბათა შვილის იოსებ ტფილელისა მიერ“ (წ. კ. 1512, გვ. 167-174);

„წმიდა კრებათათვის“ (წ. კ. № 281), რომელზედაც თვით იოსები გვეუბნება ჩვენი პოემის ეპილოგში: „სიტყვაც ვთქვი წმიდათ კრებისა“-ო. და ბოლოს იოსები მონაწილე ყოფილა პოეტური პაექრობისა. ჩვენამდე მოღწეულა ერთი ლექსი – გამოცანა სასულიერო შინაარსისა, რომელიც სასულიერო პოეტ იაკობ შემომქმედელ დუმბაძისათვის გაუგზავნია:

„სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული,
მას შვიდნი სუეტნი შეუდგნა, შვიდნივე წმინდა გებული,
სიკუდილით მოკლა სიკუდილი, დაიხსნა ცოდვილთ კრებული,
ამისა ახსნა თქვენგან მწადს, ვიცი კაცი ხარ მცნებული“.

პ. იოსელიანის სიტყვით, წერილნი მისნი იყვნენ „იტყვიან მრავალნი, გარნა აწ უჩინონი არიან“. არიან მცირედნიცა საგალობელნი, რომელთაცა ჰგალობს დღესაცა ეკლესია ქართულთა“ („დიდმოურავიანი“, გვ. 2).

და ბოლოს, იოსებ ტფილელი საყურადღებოა, აგრეთვე, როგორც „ვეფხის ტყაოსნის“ ინტერპოლატორი. მას ეკუთვნის „ვეფხის ტყაო-

სანში" ჩამატებული ადგილები: „ანდერძი და სოფლის გამოზა და ნესტან დარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი“, „კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ჟამსა სიკვდილისასა, ტფილელის იოსების გამოთქმული“¹.

ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ცნობით, იოსებს ეკუთვნის აგრეთვე დღემდის უცნობი თხზულებანი:

1. „ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ვ ე ნ ა ხ ი“.
2. „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა ნ ა ხ ა ლ ც ი ხ ე შ ი“.
3. „ლ უ ა რ ს ა ბ მ ე ფ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“.

პოემის ეპილოგიდან ირკვევა, რომ იოსებს ეკუთვნოდა სასულიერო შინაარსის მხატვრული თხზულებანი.

„ზოგი რამ საღმრთოც დავსწერე, სიტყვაც ვთქვი წმინდათ კრებისა“-ო.

4. პოემის დათარიღებისათვის

ამ საკითხის შესახებ, – როგორც ჩვენამდისაც აღნიშნული იყო, თითქოს გარკვეულ მითითებას იძლევა პოემის პროლოგი, საიდანაც ირკვევა, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილია არჩილ მეფის შეკვეთით. უკანასკნელს არ ჰქონია „განმარტებით მოხსენება“ მის შესახებ, თუ რამ ჩამოაგდო განხეთქილება მეფის თეიმურაზ პირველისა და დიდი მოურავის შუა? როგორ გაუწყრა ა თეიმურაზი მოურავს და ან მეფეს რა განზრახვები ჰქონდა:

„მეფევ, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო, ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადვილო, „ცოტა სიტყვა განმიმარტე“, – გებძანა თუ: „ჩემო ჩრდილო, შენ სიბრძნისა ვერ მიძწომო, მაგრა რიტორთ კაცთა ზრდილო“!

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება, ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ეწება! საქართველოს დასუსტებას, ვით ბელიარ ექნება ამ ქვეყნისა შიგნით რევას ზოგს ოცნებით ეჩვენება“...

ამიტომ, არჩილმა XVII ს. მეორე ნახევრის პოეზიის მეტრ-მა, პოეტმა და ისტორიოგრაფმა, დაინტერესებულმა სააკაძის პიროვნებით, უბრძანა თავისს ერთგულ კარისკაცს – პოეტს, დიდი მოუ-

¹ იოსებ ტფილელის „ვეფხის ტყაოსნის“ ინტერპოლატორობა გამომქდავანდა „ვეფხ. ტყ. ზაზასეულ“ ხელნაწერის მეოხებით (ხსენებული ხელნაწერი რუსეთიდან ჩამოტანილი იქნა ჩემი ინიციატივით 1935 წელს). იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ № 1, გიორგი ლეონიძე, „ვეფხის ტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი“ (გვ. 19-36).

² იხ. ქართული მწერლობა მე-17-ე საუკუნეში, გვ. 33.

წერა პოემა გიორგი სააკაძის როლის შესახებ საქართველოს ცხოვრებაში. იოსებ ტფილელს დავალება წარმატებით შეუსრულებია.

პროლოგის პირველ ტაეპის მიხედვით „დიდმოურავიანის“ დასრულების დროს ცნობილი პოემა არჩილისა თეიმურაზ პირველის შესახებ, უკვე დაწერილი ყოფილა:

„მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით;
ზოგი რუსთელისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შვება, სიამე, ხან ვარდი დანასრულობით,
სიბრძნე, ხმალი და ომები სიკვდიმდე აღსასრულობით!

ასევეა ნათქვამი პოემის ეპილოგში:

ქართლის ცხოვრება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალევად.
რომ დამეკარგა ამბავი, ქმნილიყო შესაბრალევად“...

მაშასადამე, თუ პოემის პროლოგსა და ეპილოგს დავემყარებით, ჩვენი პოემა დაწერილია არჩილის ცნობილ თხზულების შემდეგ. უკანასკნელი კი, როგორც დღემდის ცნობილია, დაწერილი უნდა იყოს 1681 წელს. ამიტომ ბუნებრივია, რომ „დიდმოურავიანის“ დაწერა 1681-1687 წლებს უნდა მივაკუთვნოთ. სწორედ ასე ათარიღებენ ჩვენი მკვლევარები.

მაგრამ ერთი გარემოება თითქოს უნდა აბრკოლებდეს ამგვარ დათარიღებას. უნდა გავიხსენოთ, რომ არჩილი სწორედ ამ წლებში რუსეთს იმყოფებოდა ემიგრანტად. (1681 წ. რუსეთს გადახვეწილი არჩილი 1688 წლის შემოდგომაზე რაჭას ჩამოვიდა, იოსები კი ამავე წლის გაზაფხულზე მოჰკლეს). ამნაირად, ტახტდაკარგული და რუსეთში გახიზნული არჩილი ვერ სთხოვდა ტფილისში მყოფ იოსებს „ცოტა სიტყვის განმარტებას“ დიდმოურავის შესახებ.

ამავე დროს, თუ არჩილმა 1681 წ. დაასრულა თავისი პოემა, ჩვენ ვიცით, რომ 1664-1675 წლებში, როდესაც არჩილს კახეთის ტახტი ეჭირა, იგი თავისი პოემისათვის – თეიმურაზ პირველზე უკვე ჰკრეფდა შესაფერ მასალებს, როგორც თვით გადმოგვცემს:

„მეფის თეიმურაზის სარჯელთ ამბავი თვით მნახთა და თანნახლთ მეფის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა... რამეთუ ა თ ო რ-მ ე ტ წ ე ლ ს კ ა ხ ე თ ს ვ მ ე ფ ო ბ დ ი, მ ი ს ნ ი დ ა ზ რ დ ი ლ ნ ი დ ა ნ ა მ ს ა ხ უ რ ნ ი დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ნ ი გ უ ე რ თ ს მ ა ხ ლ დ ე ნ, ვ კ ი თ ხ ე-ვ დ ი ნ ა ქ მ ა რ ს ა მ ე ფ ი ს ა ს ა და მ ი ა მ ბ ო ბ დ ე ს ო“.

მაშასადამე, კახეთში ყოფნის დროს, არჩილს უგროვებია მასალები თავის პოემისათვის და ვფიქრობთ, რომ იმავე ხანებში პოემას ნაწილობრივადაც კი სწერდა და შესაძლოა პოეტის ერთგვარ არტის-

XXXI

ტიზმთან გვექონდეს საქმე, როდესაც არჩილი ამბობს, რომ მთელი პოემა ცხრა თვეში დაწერეო და მაშინაც, მუდმივ არ ვიყავ საამისოდ მოცლილიო:

ცხრა თვეს ყველა გავათავე სულ ამაზე არ მოცლილმა-ო.

შესაძლოა, არჩილი აქ პოემის საბოლოო დამუშავებასა და რედაქციას გულისხმობდეს.

თუმცა კატეგორიული თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ჩვენი აზრი უფრო იქითკენ იხრება, რომ დიდმოურავიანი 1681 წელზე ადრე უნდა იყოს დაწერილი, სახელდობრ, იმ ხანებში, როცა არჩილი კახეთს მეფობდა, როცა ტფილისში, თავისი მამის შაჰნავაზის სასახლეში ხშირად მყოფ არჩილს ურთიერთობა ჰქონდა იოსებთან¹; როცა მას მშვიდობიან მდგომარეობაში მყოფს უფრო შეეძლო იოსებ ტფილელისათვის პოემის შეკვეთა და საერთო ლიტერატურული საქმიანობა. 1675 წლ. შემდეგ იწეწება არჩილის ცხოვრება, ამ ხნიდან ის იმერეთში სცხოვრობს, სადაც ექვსჯერ იქმნა ტახტიდან გადმოგდებული, აქედანვე ის რამდენჯერმე გადიხვეწება რუსეთში, საიდანაც 1700 წლ. შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ზემორე ამბების გათვალისწინების შემდეგ „დიდმოურავიანის“ დაწერის ვითარება ჩვენ ასე გვეხატება: „არჩილიანის“ წერის პროცესში არჩილს დასჭირდა ზედმიწევნილი მასალები პოემის გმირის (თეიმურაზ I-ის) დიდი მოპირდაპირის გიორგი სააკაძის შესახებ, თუმცა თვით არჩილი მოურავის ნათესავი იყო (გ. სააკაძის ასული ჰყვანდა ცოლად არჩილის პაპას, თეიმურაზ მუხრანბატონს), მაგრამ არჩილმა მიჰმართა იოსებ სააკაძეს – პოეტს და დიდი მოურავის ოჯახის. უფრო ახლობელ წევრს და მეგვარტომეს. შესაძლოა, არჩილის მიერ აღტაცებული შეფასება „გულადრვალის“ და „ლომგულის“ მოურავისა რამოდენიმედ „დიდმოურავიანის“ ერთგვარი ზეგავლენითაც იყოს გამოწვეული. გაიხსენეთ არჩილის ნათქვამი მოურავზედ:

¹ არჩილის და იოსებ ტფილელის ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია შემდეგი საბუთიც:

„ქ: ჩუენ... რუსთველ არქიეპისკოპოზმან პატრონმა მათეოზ, ესე სამუდამო წიგნი მოგართვით თქვენ, – თფილელ ეპისკოპოზსა ი ო ს ე ბ ს, ასრე რომე, სადამდის ან თქვენ ცოცხალი იყო და ან მე – ყოველს წელიწადს სამ საპალნე ღვინოს მოგართმევდე დაუკლებლად და გაურჯელად.

ამისად გასათავებლად მამიცემია ხატი, ღვთაების ხატი და მ ე ფ ი ს ა რ ჩ ი ლ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ მ ო მ ი რ თ მ ე ვ ი ა“ (იხ. თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრების... ისტორიული საბუთები, გვ. 223).

XXXII

„ესე საქმე მოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირველი,
ვით შეჰმართა ამ საქმესა, არის თუმცა გულად რვალი,
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ჰქმნა მრავალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი არ საკრძალი!...

ან დიდმოურავისაგან მუხრანში ერანელთა ლაშქრის ამოწყვეტის გამო ნათქვამი:

აწ ეს ჰქმენით ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!-ო.

ამნაირად, ჩვენ არ ვეთანხმებით პოემის დღემდე მიღებულ დათარიღებას და ვფიქრობთ, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილი უნდა იყოს უფრო 1664-1675 წლებს შუა, ვიდრე 1681 წლის შემდეგ. ხოლო

თუ პოემის პროლოგი და ეპილოგი ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილელის ნათქვამში:

„მეფესა ქართლის ცხოვრება ებმანა გალექსულობით“-ო

ნაგულისხმევი უნდა იყოს არჩილის პოემა არა დასრულებული, არამედ მაშინ ჯერ კიდევ წერის პროცესში, ნაწილობრივად დაწერილი და არა საბოლოოდ რედაქციაქმნილი და ბოლოს, „არჩილიანში“ ალაგ-ალაგ აღსანიშნავია „დიდმოურავიანის“ პოეტური ფრაზეოლოგიის ფრაგმენტები.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი „დიდმოურავიანის“ დათარიღების შესახებ; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვაყენებთ საკითხს ტფილელის პოემის დათარიღების ხელახლად გადასინჯვისათვის.

5. პოემისათვის

იოსებ ტფილელი არჩილთან და ფეშანგთან ერთად ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების წარმომადგენელია.

სამივე პოეტი თავის შემოქმედებაში იბრძვიან ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკური ტრადიციების წინააღმდეგ. მათი დევიზია „მ ა რ თ ა ლ ა დ, ს წ ო რ ე დ თ ქ მ ი ს ა“.

ჩვენ ვიცი, რომ ამ სკოლის წარმომადგენელმა კარის მგოსანმა ფეშანგმა თვით რუსთველიც კი ამხილა ფანტასტიკაში:

რას ევლეყუს საქებარად ტარიელ და ავთანდილი?
სად იცნობდეს უცხოს უცხო, ან რა ნახეს მათგან ქნილი?
ყველა ტყუილი შეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი;
აქვს ვინმე უმეცარი, გაიმწარეს მათთუი ძილი!

კარის მგოსნის, უბრალო მეხოტბის ფეშანგის დეკლარაცია ცხადია, გამომუშავებულია მაშინდელს სალიტერატურო წრეებში, კერძოდ არჩილის და ტფილელის ჯგუფში. ფეშანგის სიტყვებში გამოთქმულია იმ დროს ახალი ლიტერატურული პრინციპი, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ე უთვნის და მით უმეტეს ფეშანგის (იხ. გიორგი ლეონიძე, შაჰნავაზიანი).

XXXI

იდენტურ აზრს გამოსთქვამს იოსებ ტფილელიც ვეფხის ტყაოსნის გმირებზე. იგი ასე მიჰმართავს ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს:

კარგნი ყოფილხართ სამნივე, ჰხოცეთ დევნი და ქაჯები,
წაგიხდა მხნენო ძალგული და დალპა ცუდად მაჯები;
მიკვირს მწერალო, – ანდერძსა მათცა სწერ, – რ ა თ ი ს ა ჯ ე ბ ი ?!

ამ დეკლარატიულ სიტყვებში გამომჟღავნებულია რეალისტური ტენდენცია. მან დაადასტურა თავის ნაშემოქმედარი – „დიდმოურავიანით“, რომელიც რეალისტური პრინციპით არის დაწერილი.

ტფილელი XVII ს-ნის ნაციონალური პოეტია (არჩილთან ერთად), რომელმაც გაარღვია ტრადიციული თემატიკა ერანულ სადევგმირო

და რომანტიულ ეპოსის ეპიგონური რკალი და შეჰქმნა ეროვნული შედევი. ქართული რეალური ამბავის საფუძველზე, წინააღმდეგ „სპარსა შეტმასნილ, ნაჭორისა“, ანუ ფანტასტიკური ამბებისა, რის გავლენა ასე ძლიერი იყო თავის დროს ქართულ ფეოდალურ ლიტერატურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოემა დიდებული გმირის ცხოვრების აღწერილობას შეიცავს, მასში სრულიად არა ჩანს იმ დროის მწერლობისათვის ჩვეული ყალბი იდეალიზაცია, სადევგმირო შაბლონი, მომაბეზრებელი, დამღლეელი ჰიპერბოლა, – აღმოსავლურ, კერძოდ ერანულ პოეზიის სტილი, რომელიც მაგ. ჯერ კიდევ საკმაოდ და უხვად ეტყობა ფეშანგის.

„დიდმოურავიანი“ „არჩილიანთან“ ერთად მითაც გაირჩევა სხვა ლიტერატურული ძეგლებიდან, რომ მას პანეგირიკა, ყალბი პათოსი არ ახასიათებს; არამედ სისადავე, სიფხიზლე, გულწრფელობა, ფაქტების რეალობა, – ხოლო ადამიანურობა, ადამიანის სიყვარული მას საყვარელ პოეტურ თხზულებად ჰხდის ქართველი მკითხველისათვის.

* *
*

„დიდმოურავიანის“ მიზანია, როგორც ზემოთ ვთქვით – პოპულარიზაცია გიორგი სააკაძის გმირობისა, მისი ერთგულობისა მეფის ტახტისადმი, ახდა მისგან მოღალატური ბრალდებისა და ამავე დროს ფეოდალურ საზოგადოებაში ლეგიტიმისტური და ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვიძება:

ყველამ გასინჯეთ შეტყობით თქვენ ჩვენი სამართლობანი,
როგორ ვჰქენ თავის დადება, მეფის ტახტისა მკობანი!

ათქმევინებს ავტორი გიორგი სააკაძეს.

ავტორის მიზანია გაფანტოს ის ცალმხრივი შეხედულობა, შუღლის და ქიშპობის ნიადაგზე აღმოცენებული, თითქოს სახელოვანი

XXXIV

გმირი იყო მოღალატე, ურჩი, „მეფეთ ტახტისა მაქცევი“. ავტორი წინასწარ გრძნობს ოპონენტების, მოპირდაპირეთა ეჭვებს და მათი მისამართით ათქმევინებს თავისს გმირს, რომ მისი ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა, ყოველგვარ სიცრუეს და ხვანჯიანობას მოკლებული:

მე არა მჭირდა ტყუილი, არც ცუდი სიტყვის ცილობა...
ტყუილს ვერ ვიტყვი ამისთვის, არს ბევრი კაცი სწრობილი...

გულწრფელი გმირი პირიქით მოკრძალებულია და თუ ლაპარაკობს თავის თავზე, ეს მხოლოდ მიტომ, რომ:

არც ის ვარგა არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა,
გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა!

იოსებ ტფილელს თავისი პოეტური და მოქალაქეობრივი მსჯავრი დიდ მოურავის შესახებ განკუთვნილი აქვს აგრეთვე შთამომავლობი-

სადმი. და ამიტომ თავის გმირის ნაკლსაც არ ჰფარავს. იგი ასე ათქმევინებს მოურავს: .

კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ,
ჩემგან ქნილი როცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
ა ვ ი შარად განუტევეთ, კარგნი თქვენკენ წამოიღეთ...

პოეტი თავის მიზანს „დიდმოურავიანში“ დიდი გულწრფელობით და პოეტური დამაჯერებლობით ასრულებს. „დიდმოურავიანი“ ნამდვილი რეალისტური ჟანრის ნაწარმოებია.

* * *

„დიდმოურავიანი“ ქართული იერემიადია, დიდი მოწინავე ქართველის სულთქმა. ფხიზელი თვალით და პოეტური გულით იოსებ ტფილელმა განჭვრიტა თავისი საუკუნის ვითარება, უბედურება და საშინელი დაცემა სამშობლოსი გარეშე მტრების შემოსევით და ფეოდალური ანარქიით გამოწვეული. მან იწამა ქართლის დამხსნელი სახელოვანი გმირი, რომელმაც „ქართლს მოავლო გალავანი“, მაგრამ რომელიც არ დაინდო ფეოდალურმა საზოგადოებამ. მხურვალე პატრიოტი-პოეტი გმირის დაღუპვასთან ერთად გრძნობს, თუ რა დიდებული მომავალი დაეღუპა საქართველოს:

რ ა მ ი შ ა ლ ა, ვ ი ნ ი ც ი ს, რ ა წ ყ ო ბ ა, რ ა გ ა რ ი გ ე ბ ა?

პოეტი ბიბლიურ იერემიასაებრ ამხელს ფეოდალურ საზოგადოებას გიორგი სააკაძის დაკარგვისათვის და თავს ესხმის მათ, ვისაც ჰსურს

XXXV

გმირის მეორედ სიკვდილი, მისი მოღალატედ გამოცხადება. ტფილელი თავისი შარავანდედით აღდგენს გმირის უტყუარ სახეს თანამედროვებისა და შთამომავლობისათვის.

უპირველსად ავტორს მოურავი გამოჰყავს დიდ პატრიოტად, დიდ მოჭირნახულედ „ქართლისათვის“ ანუ საქართველოსათვის, რომლის ვაჟკაცობა, მხნეობა და თავდადება მიმართულია სამშობლოსადმი.

... ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული...
თავს ვეტყოდი ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება...
ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია...
სულ ქართველთა კარგად იცით, ქვეყნისათვის რა მიქნია...
მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვჰქენ თავის გაწირვანია...
რაეზი ვჰქენ ქვეყნისათვის, საკვდად თავის გარდადება...
რაც ქართლისათვის მე ვქენი...
გავამდიდრე სრულად ქართლი, უღონო ვქენ განაკეთი...
ქართლი ჩემის ხლმით დამაგრდა...
ქვა არსად არი ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია...
ქართველნი დავხსენ მოსპოლვას...

იგი „ქართლკახეთის მამრჩენია“, მისთვის უებარი მებრძოლი: მოურავის დიდ პატრიოტიზმს ახასიათებს მხურვალე სიტყვები.

თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, განა სული?

სამშობლოსთვის იგი არ იშურებს შვილს, დას, ძმას:

არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, ძენი და გან ასული..
ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი...
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი...

ტფილელი აღტაცებულია მოურავის სახელმწიფო და საგმირო საქმეებით. მისი სიტყვით, სააკაძემ „ქართლს მოავლო გალავანი“. სააკაძის დიდ ამავს მისივე გმირული და სახელმწიფოებრივი ღვაწლი ამტკიცებს, რაც ავტორის სიტყვით მომავალში უფრო გამოიჩნდება:

თვარ შეიტყობთ ამას უკან, მტერი კიდევ ახსნილია...
ვეჭვ, დავაკლდები ბოლოჟამ, ვინ მე ჯარიდამ გამგვარა...
მეც დავაკლდები ქვეყანას ბოლოჟამ, თვარ მიჰხვდებიან...
ქართლს შენახვა როგორ უნდა, გაგიჩნდებისთ დამასულა!
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონეთ ამა თქმისთვის...
გაგიჩნდებისთ ქვეყანასა გაწყობა და გარიგება,
თქვენცა იცით ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი, ჩემგან ახლა არ იგება;
მძლავრს მტერზედა გაგიჩნდების, ვის გაქვს ხმლისა აბა ღება...
არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუხარადი ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვით ხმა იყოს, ცხენი კაცთ ფეხით ქელევდეს,
მაშინ რას აქნევთ გიორგის, თუ მისებრ მოგეშველოდეს!

XXXVI

პოეტის პირით მოურავი ჩივის ამავს და ნამსახურობის ამოდ ჩავლას, ქართულ ფეოდალურ საზოგადოების უმადურობას:

ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა მიკვირს, ვერავინ ხედავსა!
რაც საქმე შევძელ ქვეყნისთვის, ვთქვი მიზმენ ზედიზედ ავსა,
რაგინდ რომ თავი ვაწამო, მაინც მეტყვიან ბედ ავსა!

და მწარედ გლოვობს უგმიროდ დარჩენილ ქართლის მომავალს:

ქართლის ბალი მოიკრიფა, აღარ ვეჭობ გავსებასა...
ჩემობითა მებრალები, ვაიმე ქართლო, სუსტობისთვის...

მოურავის გრძნობა მამულისადმი პირდაპირ გახელებამდის მიდის, როცა იგი აცხადებს: „სისხლს დავვღვრიდი, გინდ ანგელოზები მყოლოდეს გარმორტყმული“-ო!

ასეთი თავდადებული მხურვალე პატრიოტი ცხადია, ვერ ითმენს მამულისაგან დაშორებას და ამიტომ „სამყოფთაგან“ გავარდნილი, გადახვეწილი გმირი, არაერთხელ მოსთქვამს ცრემლიანი გოდებით თავისი კერის დაკარგვას:

... სევდა მწვავს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი...

სამკვიდროსაგან უმკვიდროდ ვიქმენ დაკარგულ, ეულად...
ვპოქვი, დავკარგე სამკვიდრონი, აღარ მამხვდა თვისთა ნახვა...
სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი...
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს, ვინ დაიდგამს ბუდეებსა?.

და თუ ის მცირე ხნით მოშორდა სამშობლოს და გადიხვეწა ოსმა-
ლეთში დახმარების საშოვნელად, ამ ამბავს ასე განმარტავს:

თქვენცა იცით, სამუდამოდ არ მინდოდა იქა ყოფა-ო!

ღრმა, ტრაგიკული ლირიზმით არის გადმოცემული სამშობლოდან
გადახვეწილი გმირის სულისკვეთება, განშორების დიდი სევდით გა-
მოწვეული:

თაო ჩემო, ვით ვასრულო სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო!
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლ დაკარგულო?

ვაი, დაგაგდებ სახლსამყოფი სად კარგო და სად ავებო?
შორგვარ დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ, სა დავებო;
ავყანდათა სიმაგრენო, მე სად გძრევდი სადავებო,
რამდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდეც სად ავებო?

თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა;
რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა;
მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა?
სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა!

XXXVI

დიდ პატრიოტობასთან ერთად პოემის გმირს ახასიათებს ნამდვი-
ლი გმირული, რაინდული ზნეობა: პოემის მიხედვით გიორგი სააკაძე
უპირველესად გმირია – უბადლო, უშიში შემმართველი, ძლიერი_

ვინც მიცნობთ, ბრძანეთ, თუ ვიყავ ერთის კაცისა დარული...
მარტო მე რაც ვჰქენ იმ დღესა, თუ ის შეეძლოს გმირებსა?
ერთს აზნაურს ვის უქნია ჩემოდენი ხლმისა შენით?...
ერთს კაცსა არვის შეეძლო საქმენი ჩემოდნობანი...
რაცა შეეძლო, ერთს არ ძალუც, არ გამოვა არვისაგან...
შუბის წვერთა რკინა ექმნის, გული ჩემი არვისაგან...
ზოგჯერ უქნელი საქმე ვჰქენ, გავჰტეხი რაზმი წყობილი...
სად მოვთვალო ჩემი ბრძოლა ანუ ომთა ჭირნახული?
სისქეს რაზმს შუა ვბრუნევი, არა თუ განაპირებსა!..
რაც საქმე შევძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბედავსა?...
სად მიუხედი სად ვებრძოდი, რის მთებს ვიქენ გარდასული...
გახსონთ, ოდეს ჩემნი ხმანი, თუ ჯარს როგორ განარევიდეს?..

მაგრამ უბადლო გმირი მხოლოდ თავის პირად მხნეობაზე და
ფიზიკურ ძალაზე არ არის დამყარებული, გაბედულობასთან ერთად
მას სწამს ჭკუა და წინდახედულობა:

არც ნამეტნავად ის ვარგა, მირბოდეს დაუხედავად,
ლალბით წახდეს ბოლოჟამ, მტერს ველარ ექმნას მედავად...

კაცი რომ იყოს სიმაღლით გოლიათ, დიდად გორებით,
მრავალ მებრძოლთა თავები მას ექმნას განაგორებით;
კიდევ მაშინც სჯობს საქმენი ჭკუით და მოსაგონებით,
თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არა თუ განაგორებით!
ვპოქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო?

იგი მთელ კოდექსს იძლევა ზნეობისას, თუ როგორი უნდა იყოს
გმირი ცხოვრებაში:

როდეს გასჭირდეს საქმისა, კაცი ხამს გამაბედავად,
საქმეს მოახდენს კეთილად, თუ სულ არ არის ბედ ავად;

თუ კაცი იტყვის გულშია: მტერს რომ შევება ომებად,
ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდად მშრომებად,
ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად –
ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: „გავსწირო თავი და!
დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი და;
ანუ მტერს ვსძლიო, შევმუსრო, ან ვიქმნე გასათავი და!
კარგს კაცს ვემბდე საომრად, რომელმაც მთხოოს დავი და!

კაცობა გწადს – მზასა გქონდეს მიწყით შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთწყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოთქმა,ზარი,
ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპყრას რომ ხაზარი!

XXXVIII

ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა;
ვირემ მტერი არ წაახდენს, კაცთა რჩევას არას ჯერა,
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნულარა გაქვს გულის ძგერა,
მას კაცობა ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა მალ შეძგერა!

გმირულ თვისებებთან ერთად სააკაძეს ახასიათებს გულწრფელი მე-
გობრობა და ამხანაგობა; უპირველესად ის „ამხანაგთათვის მარგია“:

სად რომ საქმე გაგვიჭირდეს ამხანაგთა ვიყავ მწველად...
ამხანაბს და მიღმა ბრძოლსა ბევრჯელ სადმე მე ვეკეთი...

მას უყვარს „ამხანაგთ კარგ მეგობრობა“, მიცემა, დაუშურობა,
„კარგ კაცთა წყობა ალერსი“. ამხანაგებთან თავდაბალია, – როგორც
ნამდვილი რაინდი, – გაკრძალული და სათნო:

ამხანაგთა ვსათნობდი, ვიყავ კრძალვით, მომარიდად
მიღმა წყენა არვის ვჰკადრი, ვთავმდაბლობდი მყუდროდ, მშვიდად...

მისი დამახასიათებელი რაინდული თვისებაა, ამხანაგობა ყოველ-
გვარი შურის გარეშე:

რომ ინდომო ამხანაგი, არა გქონდეს კარგ კაცთ შური!

თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი,
ცეცხლი მისთვის მიგდებული, აგრევე იყოს შენთვის დაგი,
ამოსწოდო მისთვის ხმალი, არ თუ ქარქაშს ადრე აგი,
თუ გაიჭრა სამყოფთაგან, თავი მისთვის გარდააგი!

რაც თვის თვის სწადდეს, მოყვრისთვის კვლავე მას აჯობინევდეს,
ცრემლთანა ცრემლი დაღვაროს, მოხარულთანა ლხინევდეს,
სწყუროდეს, მანცა იწყუროს, თუ დათვრეს, ისიც ღვინევდეს,
ჭირთანა ჭირი იტვირთოს, სევდასთან მოიწყინევდეს.

კაცმან კაცს გული მიანდოს ერთ პირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად, გაუშრობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერზედა დასაშრობელად,
თავი გასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად!

გიორგი სააკაძე, როგორც რაინდი, მოტრფიალეს ლხინისა, მას
უყვარს „ლხინთა ნახვა“:

ლხინს და გაცემას, ალერსსა, მიქებდეს სიიეფეთა!...
ლხინი და შვება უღრუბლო, მქონდა მზის შუქი დარული...
სტუმართა სუფრა წინ ედგის, მის მის დროს აუღებელი...
მომღერალთ ლხინი, თამაშა იყვის სულდაუღებელი...
ლხინი, ზმა, სიტყვის გაგონა, მქონდა მუდამად პურობა...
დავჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია...

ლხინში მას უყვარს სტუმართა დასაჩუქრება, „გაცემა“:

ვინ დამეთხოვის, წავიდის, არ დარჩის წაუღებელი!
უხვი მით მქვიან, ერთ დღესა ვარ ქართლკახეთის გამცემი...
(ე. ი. გამსაჩუქრებელი. გ. ლ.).

XXXIX

და ბოლოს, დიდ მოურავს, – გმირს და რაინდს პოემაში ს ა მ ა რ-
თ ლ ი ა ნ ო ბ ა და მ ო უ ს ყ ი დ ვ ე ლ ო ბ ა ახასიათებს:

ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მჭირს უ თ ვ ა ლ ე ბ ო ბ ჭობანი!

გმრობის და მამულიშვილობის ყველა იდეალით აღჭურვილი
საკაძე მაშინდელ ზნეობრივ დაცემის დროს („რამეთუ განმრავლდა
სიბოროტე“) ავტორის მიერ დასახულია, როგორც სპეტაკი პიროვნების
მაგალითი ზნეობაშემილილ ფეოდალურ საზოგადოებისათვის,
რომელსაც ასე სჭირდებოდა ამაღლებული პიროვნება.

და ბოლოს სააკაძის პიროვნების პოპულარიზაციის ერთი მთავარი
მიზეზი, იოსებ ტფილელის სიტყვით სააკაძის მიერ დაბალი ფენების
მფარველობა ყოფილა:

და ბ ა ლ ს კ ა ც ს ბევრი შევმატი, არ ვუყავ მეტად მცრობანი!-ო.

XVII საუკ. ქართულ ფეოდალურ საზოგადოების საერთო დემო-

რალიზაციის დროს, ფეოდალების სასტიკ მტარვალობის, „ყმის გაგ-
ლეჯის“ ეპოქაში, ავტორის სიტყვით, გიორგი სააკაძეს ახასიათებდა
არა თუ ჰუმანიური მოპყრობა „და ბ ა ლ კ ა ც ი ს ა დ მ ი“:

ყმის სამსახური სამართლით, არავის სჭირდა ძალობა¹,

არამედ დაბალ ფენებიდან ღირსეულ ადამიანების წინ წამოწევაც.

ვისაც რამ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდის ხალისი,
ცხენ-იარაღით შვამკვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დ დ ე ს ე რ თ ი გ ა მ ო ვ ა ჩ ი ნ ი, მოვჰკაზმი მერმე ხვალ ისი;
კაცობის სწავლას ელტვოდეს, ვით ოქრო დავახალისი!

მაშასადამე, „დიდმოურავიანი“ გვიდასტურებს, რომ სააკაძე ეყრდ-
ნობოდა ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც „დაბალი“ სოციალური
წრეები – ღარიბი აზნაურობა და ნაწილობრივ გლეხოზა შეადგენდა.

პოემის მიხედვით, სააკაძის გმირ თანამებრძოლებს – აზნაურთა და
უსახელო გლეხების გუნდი შეადგენდა:

რ ო ს ი ტ ა გ ე დ ე ვ ა ნ ი ს ძ ე – ერთგული თავდადებული,
დ ე მ ე ტ რ ე ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – იყო ჩემთანა ხლებული,
მ ა თ ა რ ს ი შ ი ხ ა ი დ რ ი ძ ე – ჭკუისა მქონე, ცხებული
პ ა პ უ ნ ა ვ ა შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი – ჩემთვის მკვდარ, თავწამებული (231i).

პოემის სხვა ადგილებში მოხსენებულ არიან: პ ა პ უ ნ ა ჩ ი ვ ა ძ ე
(119i), გ ო გ ო რ ი შ ვ ი ლ ი დ ა უ თ ბ ე გ (233i), თ ა მ ა ზ ქ ა რ ც ი ძ ე

¹ 1620 წლის განჩინებაში გიორგი სააკაძე ჩივის თავისი ერთგული აზნაურე-
ბის აკლებას მისი სპარსეთში ყოფნის დროს: „ქაიხოსრო (ჯავახიშვილმა) ხუთი
ჩემი მსახური და აზნაურიშვილი დააბეზდა ბატონს თეიმურაზთან: ერთი ცალქა-
ლამანიძე, მეორე ჩივაძე მახარებელი, მერე მესამე ხოსიტა, მეოთხე ადოლა და შვი-
ლითა და მეხუთე ქვლივიძე მათია დააჭირვინა ოლითა და შვილითა და დაატ-
ყვევებინა და რაც ებადა, წაერთმევინა“. (საქ.სიძვ. II,55).

XL

(256i), ლ ო მ ი ჩ რ დ ი ლ ე ლ ი (196i) მ ს ა ხ უ რ ი ი ნ ა შ ვ ი ლ ი (2481i)¹
და სხვ. ეს ის ხალხია, რომელთა მოხსენიებას ოფიციალური ისტორია
უკადრისობდა.

გიორგი სააკაძე იყო ამ ახალი სოციალური წრეების მისწრაფებე-
ბის მედროშე და ორგანიზატორი. გ. სააკაძის ორგანიზატორული
მუშაობა თავის სოციალურ წრეებში, თუმცა სხვაგვარ მოტივებით
გადმოცემული აქვთ სხვებსაც, მაგ. ვახუშტის: „ეს ე (მოურავი გ. ლ.)
ნიადაგ თვითეულთა კაცთა ფურჩვნიდა და არა დასცხრებოდა“-ო.

სააკაძის მომხრე სოციალურ წრეების ვინაობის გასარკვევად საინ-
ტერესო ცნობას გვაწვდის პლ. იოსელიანი: „Словом ფურჩვნად
Употребленном в грамотах многих жалованных царями князьям,
Определялось право ймножения лиц при особе, укреплявшем их
за собою дарованием их земель, угодьев и званья. Этот класс
народа стоял наравне с бывшими дворянами помещичьими с тем
только различием, что последних возводил в звание сам царь, а

первым жаловалось право свободного состояния от князя вассала.

Они избирались большею чюстью из людей свободных, беглых из дальних мест, из плена искупленных, сирот, безприютных, незаконорожденных, выходцев из Кавказских, из иноверцев, принявших веру и из тех крестьян, которые не имея оседлости, изъявляли желание находится при дворе какого либо князя вассала".

ასეთი უნდა ყოფილიყო სოციალური წრე გიორგი სააკაძისა, მის მიერ შემოკრეფილი დაბალი ხალხის ღონიერი ბანაკი, რომლის გამო მეფე და ქართლის ოლიგარხია ჩიოდა:

... მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ ველად,
თ ა ვ ს ა რ გ ვ ი დ ე ბ ს ს ა პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო დ, წყალობისა არ მადლმხელად!

ტფილელის პოემის მიხედვით, ეს იყო მთავარი ბრალდება გიორგი სააკაძისადმი ფეოდალური არისტოკრატის მიერ წამოყენებული და არა ბრალი სამშობლოს დალატისა, რასაც ახვევენ თავზე გმირს შემდეგდროინდელი მეისტორიენი. და მთელი პოემა დაწერილია იმ მიზნით, რომ ავტორმა, – კარგად მცოდნემ სააკაძის ცხოვრების და

¹ და ანტონ 1-ლ ქათალიკოსს: „მ ი ს ც ე მ დ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა თ ა ვ ა დ თ ა და აზნაურთა და განსდრეკდის მეფისაგან და ერთგულებად თვისად მიიყუანებდის ვიეთთამე ქართულთა“...„(იყო) – მეცადინთვის დამი მიდრეკად გულნი ყოველთა ქართულთანი და განდრეკად მეფეთაგან და არა დაჰსცხრის ესე გუართაგან დრკუთამეცადინობათა“-ო. (იხ. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომატია, გვ. 327).

XLI

მისი განზრახვებისა – სწორედ ამ ბრალდებიდან გაათავისუფლოს გმირი და არა თუ აჰხადოს ბრალი, პირიქით, მჭერმეტყველურად დაამტკიცოს ვასალის ერთგულობა სიუზერენისადმი; გიორგი სააკაძის თავდადება მეფეებისადმი, კერძოდ თეიმურაზ პირველისადმი.

ეს არის პოემის ცენტრალური მომენტი.

ამავე დროს ამ სტრიქონებში გამოხატულია მთავარი მოქმედება და მოღვაწეობა სააკაძისა, როგორც ძალამომარებელი ახალი პოლიტიკური დაჯგუფების ბელადის და ორგანიზატორის...

თვით გიორგი სააკაძე სოციალური წარმომობით აზნაური იყო:

ერთ აზნაურს ვის უქმნია ჩემოდენი ხმლისა შენით!
ვეჭვ ზოგ თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობას!

ქართულ ფეოდალურ იერარქიაში ყველაზე მდაბალ საფეხურზე მდგომი, როგორც ათქმევინებს ტფილელი ლუარსაბ მეფისადმი:

...მოყვრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესია,
ყმა არვინ არის სხვა ჩემგან უმრწემესია.

და ბუნებრივია, რომ განდიდებულ აზნაურთან – გიორგი სააკაძეს-

თან, როგორც ძლიერ მფარველთან –

... აზნაურშვილნი მოვლენ თ ა მ ა მ ა დ, ხ მ ი ა ნ ა დ.

„დიდმოურავიანის“ მიხედვით, სააკაძის პიროვნების ტრაგედია გამოწვეული იყო მისი სოციალური წარმოშობის მიზეზით. ეს მთავარი მუხლია სააკაძის პრობლემაში. სააკაძე ამაღლდა თავისი პირადი მხნეობით, თუმცა მისი ოჯახიც ცოტა ადრევე ყოფილა დაწინაურებული იმავე მიზეზით.

დიდგვაროვან დიდებულთა წრემ იუკადრისა გმირობითა და სახელმწიფო ნიჭით გალაღებულ აზნაურის წინ წამოწევა და მეფეს დაჟინებით მოსთხოვა მისი ფიზიკური მოსპობაც კი:

დაუჟინეს, თუ რას გარგებს, აბა გყვანდეს მარტო ისი,
გვერცა არვინ მოგიდგებით შემოგმარცოთ ძმა და თვისი,
ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი!¹

¹ „ტფილელთან ერთად ანტონ I ქათალისკოზიც ჰმოწმობს, რომ გ. სააკაძე იყო „აზნაურთაგანი“. (იხ. ჩუბ. ქრესტ.) იოანე ბატონიშვილის (1770-1830) ცნობით, – „არა ეგრეთ წარჩინებულთაგანი“.

რასაკვირველია, არ არის მართალი მარი ბროსე, როდესაც ამბობს რომ აზნაურობა სააკაძეს „რამდენიმე წლის წინად მიეღო“. (საქ. ისტ. II, გვ. 20) და მით უმეტეს შეუსაბამოა ცნობა სომხის მეისტორიეს არაქელისა: „კაცი ესე მოურავი არ იყო თვით შვილი აზნაურისა და თავადისა, არცა გამოჩენილის გვარისაგან, არამედ იყო დაბალი გლეხის გვარისაგან. („ივერია“, 1885 № 7, გვ. 25).

XLII

ფაქტიურად, ჩვენ აქ გვაქვს საქმე დიდ სოციალურ კონფლიქტთან. ჯერ კიდევ მთეთქვსმეტე საუკუნეში აღორძინებულ და ახლა უკვე გამაგრებულ აზნაურთა და „დაბალი“ ხალხის დიდ პოლიტიკურ გავლენის შეჯახებასთან ფეოდალური ჰეგემონიის მხრივ.

გიორგი სააკაძე ამ ახალ პოლიტიკურ ძალის მედროშეა, მისი საზოგადოებრივ-მორალურ იდეების მატარებელი. სწორედ ამ მხრივ არის დიდად საყურადღებო სოციალური ტიპი გიორგი სააკაძის, რომელიც დაუნდობლად გასწირა ამ ახალი ძალის პოლიტიკურმა უორგანიზაციობამ.

გვამღევეს რა ამგვარად ძვირფასს ისტორიულ მასალას სააკაძის ენერგიული ბრძოლის შესახებ ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან, პოემის ავტორი იმავე დროს ამჟღავნებს საკუთარ იდეოლოგიასაც, ცხადია, სრულიად თანხმოდანს აზნაურულ მისწრაფებებთან. მძლავრი ნაკადი დემოკრატიულ-აზნაურული იდეოლოგიისა ენერგიულად გასდევს პოემას თავიდან ბოლომდის იმდენად, რამდენადაც დიდი მოურავი გიორგი სააკაძე აზნაურთა და „დაბალი“ ხალხის ბელადია და ორგანიზატორი. პოემაში შემთხვევითი არაა იმ დროისათვის მეტად გაბედული ნათქვამი.

ზოგს ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია!

ეს მწარე სიტყვები დიდხნის დაგუბებული იყო აზნაურთა ფენებში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი უფრო პესიმისტურად არის განწყობილი თავისი კლასის გამარჯვებისადმი და მისი იდეოლოგია სრულიადაც არ არის ბრძოლად მომწოდებელი.

დიდმოურავიანი, უპირველესად XVII ს. პოლიტიკურად წინ წამოწეულ აზნაურობისა და „დაბალი“ ხალხის თვითშეგნებისა და თვითდამტკიცების საუკეთესო მაჩვენებელია.

*
* *

გმირი და პატრიოტი, დანაწილებულ და დაშლილ საქართველოს სხეულის გამთელების და აყვავების მოსურნე, ცხადია, ვერ იქნებოდა მოღალატე. ამიტომ ავტორი აბათილებს დიდი მოურავის ფეოდალურ ოპოზიციონერთა შეხედულებას, მათ მიერ უსამართლოდ გავრცელებულ ბრალდებას გიორგი სააკაძის მოღალატეობის, „მეფის და ქვეყნის ორგულობის“ და „დიდების მოყვარეობის“ შესახებ.

ერთი მთავარი მიზეზთაგანი XVII-ს. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური უბედურობისა იყო ფეოდალური სეპარატიზმი, დიდებულითა დაუმორჩილებლობა ცენტრალურ ხელისუფლებისადმი და მათი მუდმივი შფოთი. სააკაძესაც ამ ფეოდალურ განდგომილებას სწა-

XLIII

მებდნენ: „ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა. სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქრცხინვალისა და დვალეთისა“. (ვ ა-ხ უ შ ტ ი, 53) ჩვენი ავტორი კი პირდაპირ დიამეტრალური აზრისაა. პოემაში გიორგი სააკაძე აბსოლუტური მონარქიის იდეისთვის თავგანწირულია:

მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არვისგანა!...
მე მეფეო, შენთვის დავდე თავგანწირვით ტკბილი სული...
თქვენთვის ვსძრევდი მე მეფეო, თავსა, გულსა, ტანსა!...
თავს ვეტყვიდი სამუდამოდ ვის გუერც ახლავ მას აამე!
მეფეთ წინა სამსახური მე მინდოდა ყოვლთვის დიდად!
... არ ჰყო მეფის მოსამდური ...

პოემით გიორგი სააკაძის ერთგულება მეფისადმი იქამდის მიდის, რომ მოურავი სიკვდილის დროსაც კი ანდერძად სტოვებს მეფისადმი ერთგულ სამსახურს:

რადგან მე დავრჩი შორგვარად, თქვენ ხემწიფესა ამენით! -ო

ბოლოს მას, როგორც ერთგულ კარისკაცს თავისი დალუპვა არად მიაჩნია, თუ კი მეფე კარგად იქნება:

თუ მე გარდავხდე პატრონო, თქვენცა ნუ დაესრულებით!-ო.

ავტორი მატარებელია ვასალური ერთგულობის იდეისა და მის

გმირს ღრმად სწამს, რომ მეამბოხე ყმა, ვასალი სიუზერენზე თავის დღეში ვერ გაიმარჯვებს:

ბრძანება არის, ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,
ბატონი რომე ტყუოდეს, ისრევ ყმას დამარცხებია!
პატრონზედ ხმალი არ გაჰკვეთს, ამით ვარ უიმედია!
პატრონის ხამს გამარჯვება, პირველვე ვჰთქვი სიტყვა ძველად...
პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების;
რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების!...
ყმა არ უნდა პატრონისა, ბრძოლისა და შებმის მდომი!
თავს მოღალავს, ან მოკვდება, ცუდად არის მკლავის მშრომი...
რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა, წინ დახვდება!

და ასე გვიხატავს პატრონყმის იდეალურ ურთიერთობას:

პატრონყმობა ბანა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა!
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთგან შენახულა,
უბრალოს ყმის წახდენანი პატრონზედაც მწვე ძრახულა!

ამ შემთხვევაში ავტორი ვასალური ერთგულობის იდეოლოგი, – ამ იდეის განმტკიცების სასარგებლოდ თვით პატრონისაგან, სიუზერენისაგანაც თხოულობს აგრეთვე სამართლიანობას „უბრალო ყმის“ მიმართ.

XLIV

ტვილელის აზრით, სააკაძე არა თუ ერთგული მომხრე იყო ცენტრალურ ხელისუფლებისა, მეფისა, არამედ თავდადებული მებრძოლი და პრინციპიალური მომხრე მეფის უფლებისა, კერძოდ თეიმურაზ პირველისა:

რომ მასმია, ასრე თქმულა პატრონისა კვლავ სიამე,
რაც უბრძანოს – აღასრულოს, არ იკვნესოს, არც თქვას: „ვამე“.
მოახსენოს: „ხემწიფეო, შენთვის დღენი გამიწამე,
რაც მიბრძანო სამსახური, წავაკვდე და წავეწამე!"
გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ კვერთხის რგვანი;
სად გვიბრძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვლოთ, ანუ განი.
თავს საზღვარი ეს დაუდვა, ვერვინ იყოს ჩემი მგვანი,
არ ავმალდეთ თავდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი!
რაც გვიბრძანოს, თავს შევიდვათ, ადრე გვმართებს დაჯერება
მას ვმონებდეთ, არ გარდვიგდოთ პირიდამე მისი ქება,
წაუწყმედლადად ყოვლის გზითა გავათაოთ პატრონთ ნება...

იგი მეფეს დიდი მოწიწებითა და სასოებით შეჰყურებს, მხნეს და გმირს მეფე თეიმურაზს ის ყველაზე მაღლა აყენებს, მასთან შედარებით საკუთარ ვაჟკაცობის უღირსობასაც კი გამოსთქვამს:

ბატონს რა ვკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი ბაქებსა...
ბატონისას კი არ ვჰღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია...
სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია!...
ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრივ ვერ ვისი ვნახე ბრძოლება!...

და ბოლოს, თუმცა ჩვენი ავტორი იზიარებს საზოგადოების მიერ წაყენებულ მთავარ ბრალდებას სააკადისადმი, სახელდობრ, მის გაქცევას ერანში, შაჰაბასთან და ათქმევინებს სინანულით:

ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის მცნებითა,
დგომა და წასვლა, – ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა!-ო.

და თუმცა ის წამოვიდა ქართლზე შაჰაბასის ლაშქრით, მაგრამ არა როგორც მოლალატე თავის სამშობლოსი:

წამობძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეუქნეს ხშირნი,
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!...

ამნაირად ავტორს ჰსურს ახადოს სააკადეს „მოლალატეობის“ ბრალი, თვით ამ მომენტშიც გვიჩვენებს მის დიდებულ სიყვარულს სამშობლოსადმი. ერთი სიტყვით ავტორი ათავისუფლებს გიორგი სააკადეს, როგორც მეფის დაუმორჩილებლობის ისე სამშობლოს ღალატის მძიმე ბრალდებისაგან.

იგი პირიქით, მტკიცედ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. დიდი მოურავი გულნატკენია მეფეზე, რომ მან თავის ერთგულ ქვეშევრდომს არ დაუფასა თავდადება, ნამსახურობა, – გმირული სამხე-

XLV

დრო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა¹. მთელი პოემა აღსავსეა მწარე საყვედურით თეიმურაზ მეფისადმი:

ბატონს ჰყვანდეს ერთგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს დავსებულსა ცეცხლსა კიდე აუნთებდეს,
რაც უჯობდეს, იმას ბჭობდეს მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
საჭურჭლესა წარმოცლილსა სალაროსა დაუდებდეს!
რაცა სწადდეს, ის აამოს, დაერიდოს საწყინარსა,
ძმას და შვილსა თვით ხედიდეს, მისთვის სთმობდეს ორსავ მკვდარსა,
მებრძოლს მიღმა მიეგებოს, იგ ჰხმარობდეს ხმალს და ფარსა,
დაფანტულსა წინ უძლოდეს უგროებდეს კარგსა ჯარსა.

პატრონის წყენა წყენად სჩნდეს, ლხინისთვის გაიხარევდეს;
სახელსა გამოაჩენდეს, უკადრის საქმეს ჰფარევდეს,
საკვდავად თავი გარდადვას, როდეს რაზმშიგან გარევდეს,
რაგინდ სხვა რამ თქვან, მაშინცა მისსა ქებასა წარევდეს!

ცოტა მიცემა დიდად სჩნდეს, მწვედ იყოს მადრიელადო,
თუ საწყენი რამ შეატყოს, თვალნი ქნას ცრემლით სველადო,
გასჭირდეს – ადრე ინაღვლოს, მსწრაფლ იქმნას მისაშველადო, –
ასრე მასმია პატრონის მე სამსახური ძველადო!

არ დაიშურო რაც გქონდეს, შენ იყო მის მიმრთმეველი,
ცოტაც გიბოდოს ხარობდი, მით იყავ გამომრთმეველი,
უსამართლოდ და ურიგოდ არვისი არ წამრთმეველი,
საწყენის წყენის რიდება არრა ჰქმნა უმართეველი!

ეს ყველა მჭირდა, ისმინეთ მეფეთა ერთგულობანი,
დიდად შევმატი, ვარგებდი, ვისიც რომ მქონდეს ყმობანი;
ადრე მივმართო ბძანებას, სადაც მიყვიან ხმობანი!

აწ მეფე ცუდად გამიწყრა², ან მე აღარ მაქვს ცნობანი!

არ მშურდა სასიკვდილოდ მე გარდამედვა თქვენთვის თავი,

აწ რად იქმენ ხელმწიფეო დღეთა ჩემთა გამათავი;
რა გერგების, ეს არ ვიცი, მომიშალო რომ სათავი?

¹ გიორგი სააკაძის თანამედროვე როსტომ მეფე ერთგან (ს. ს. № 13956) აღნიშნავს, რომ „გიორგი მოურავი საქართველოზე დიდად ნამსახური იყო“-ო. სააკაძის მეორე თანამედროვე, მისი მტერი ქაიხოსრო ჯავახიშვილიც კი იძულებულია აღიაროს მოურავის დიდი სამსახური საქართველოსთვის". „(თუ) ან ბატონის მოურავის თავს დასხმა და სიკვდილი გამომერჩიოსო და ან მისად სასიკვდილოდ წამოვსულიყავო, თავადამც ღვთის შემცოდე ვიქნებო და მერმე სრულად ქართველთაცო“. ეს სიტყვები ნათქვამია თვით მოურავის სიცოცხლეში, 1620 წელს (საქ. სიძველენი II, 59).

² თვით მოურავი გიორგი სააკაძეც ერთ საბუთში ჩივის, რომ მას მეფესთან „ბეზღობა დაუწყეს“. ერთერთ დამბეზღებლის მოქმედებამ „ბატონი გამიწყრომა და ამ ალაგიდამა ცოლითა და შვილით დამკარგა, სასაფლაო და მონასტერი დამაკარგინა და რჯულიდამ შემცვალა, სახლი, კარი და საქონელი, რაც მამა პაპათაგან და ან ჩვენი მოგებული იყო, ყველა წამიხდა და დამიფორაქეს და ამოხრეს“-ო. (იხ. განჩინება მოურავის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სხვადასხვა მრავალგვარ სარჩელის შესახებ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი, II, 53).

XLVI

დიდი მოურავის დალუპვა პოეტის აზრით „ავი ენით“ მოხდა:

...ავი ენა ამათ გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არ [ს] ავი!-ო

დასძენს ავტორი. თვით სააკაძეს მეფესთან საუბარში ათქმევინებს:

...ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება-ო!

არაჩვეულებრივი ინტრიგები, „მ ა ბ ე ზ ღ ა რ ო ბ ა“, „ა ვ ი ე ნ ა“, ქვეგამხედველობა, რითაც ასე განთქმული იყო XVII ს. საქართველოს სამეფო კარი, პოეტს მიაჩნია აგრეთვე სააკაძის მიზეზად:

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია-ო!

– მწარედ სჩივის პოემაში დიდი მოურავი.

„მაბეზღარების“, „ბოროტთა“, „ცუდი ენა“, „ჭორის სიტყვა“ არა ერთხელ ისმის დიდმოურავიანში, როგორც მიზეზი სააკაძის დალუპვისა:

გვერც გისხდენ მაბეზღარები, ჩემთვის ეს როგორ კარგია?
ამხანაგთ მისთვის მაბეზღეს, იტყოდეს – კაცი ვარგია!
ვინ მაბეზღებს ენა-ყბედი მოაგონდა იმას ის რით?
რას არგებდა მაბეზღართა ჩემი მოკვლა, აღსასრული?
ეგებ მაბეზღარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია!
ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორის სიტყვა ამისივე!
ამ საქმეთა გამბედავი, როგორ მოვჰკვდე ცუდის ენით.
ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზღობა უჩანს უნჯად!
არ დააცხო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავით!
ბოროტი და ავი ენა წყალს მღვრევს წმინდას, მას არევენ!
გაეხარდათ მაბეზღართა, ვინც მყვეს გარდაკიდებულნი!
მაბეზღარნი უწინ მე მყვეს დატუქსული, დაცემული.

და ბოლოს სააკაძეს ხონთქრის კარი მოსწონს მისთვის, რომ „მის (ხონთქრის) წინ „არ ძალუძს მთქმელსა ამხანაგთ დაბეზღებისა“.

საკაძე ყოველთვის კარგად გრძნობდა თავის მტერს, მან იცოდა, რომ „ბეზღობას ვერ ასცილდების“, მაგრამ მაბეზღართა მტრობას იგი სთმობს ქვეყნის ინტერესებისათვის:

მეც შემედლო ამხანაგთა მაბეზღართა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
ამისთვის ვჰქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი-ო!

ასრულდა მისი წინასწარგრძნობა, რასაც იგი ლუარსაბ მეფეს უზიარებდა მეფის მიერ მისი დის დედოფლად თხოვნის დროს:

ოდეს გნახვენ დიდნი კაცნი შეგიკვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდად დაჭირასა და სუბუქად აგდებასა-ო.

XLVII

ამწიარად ავტორის აზრით, გიორგი სააკაძე დალუპეს „მ ა ბ ე ზ-
ღ ა რ მ ა“, „მ ო ქ ი შ ჰ ე“, „დ ი დ მ ა კ ა ც ე ბ მ ა“. დიდმა ფეოდა-
ლებმა, რომელთაც ვერ მოეთმინათ დაბალი ფენებიდან წამოწეულ
ადამიანის შესანიშნავი კარიერა; ფეოდალურმა არისტოკრატამ წო-
დებრივი უთანასწორობის მიზეზით გასწირა თავისი დროის შესანიშ-
ნავი ადამიანი.

მიზეზად სააკაძის ტრაგედიისა იოსებ ტფილელს მიაჩნია აგრეთვე
მეფე ლუარსაბის მიერ მოურავის დის შერთვა, სოციალური უთანა-
სწორობა ამ ნათესაობისა. – იგივე კონფლიქტი ფეოდალურ არისტოკ-
რატისათან. პოემაში ავტორი არაერთხელ აჩივლებს მოურავს:

როდეს ლუარსაბ დამმოყვრდა, ისიმც დღე არის შავია!
ასრე მომიხდა ქორწილი, მეფის რთვა ჩემის დისანი!
ბედმა მიყო უკულმართმა, მერმე ჩემა დამმა სულა!
მან წამახდინა თავიდგან, აწ მომაგონდა ისევ და!
ბედსა ვემდურვი და მერმე, ვაი, ჩემის დისა შობასა!
ბედსა ვეტყოდი სოფელმან ნეტარ შენ მოგცა და რადა?
მეფემან და სიძემ მკარგა, მდურვა მქონდეს სად ამ დისა?

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ „დიდმოურავიანის“ მიზანია გიორგი
საკაძის რეაბილიტაცია და გეროიზაცია. ავტორის სიტყვით თვით
მეფე თეიმურაზიც საბოლოოდ ამართლებს მოურავს, როცა ეუბნევა:

...რაც გითქვამს სრულ მართალია ყოველი
არც არას სისხლსა გადევებ.... და სხვ. (274 ტაეპი)

პოეტი აღტაცებულია დიდი მოურავის პიროვნებით, მისი გმირუ-
ლი და რაინდული თვისებებით, ძალით, შემმართველობით, კეთილ-
შობილობით ტახტისადმი ერთგულობით, სახელმწიფოებრივი მოღვა-
წეობით, პატრიოტიზმით და ეროვნული შეგნებით.

პოეტი ემსახურება გ. სააკაძის საზოგადოებრივ-მორალურ შეხე-
დულობათა იდეალიზაციას, ჰმოსავს დიდების შარავანდედით, გამო-

ჰყავს საქართველოს დამხსნელად, ეროვნულ გმირად, პოემის იდეური კონცეფცია პატრიოტიკისა და ვასალური ერთგულობის იდეას შეიცავს. ეს კონცეფცია მონოლიტურია.

ცნობილია, რომ იოსებ ტფილელის დროს ცენტრალურ ხელისუფლების კრიზისმა, თავის აპოგეის მიაღწია. ვასალების მუდმივი განდგომა, ამბოხებანი, ღალატი, კონდოტიერობა, ხოლო მეორეს მხრივ – განუწყვეტელი ლაშქრობანი მეამბოხე ფეოდალებთან საბრძოლველად, სისხლიდან სკლიდენ ქართველ ხალხს. ეს იყო დრო დიდი ფეოდალური ანარქიისა, როცა „მოიტაცეს მთავართა თვის თვისნი მხარენი ქვეყანა – ციხე სიმაგრენი სამეფოში და დაბნები“. ქართული ოლიგარხიის თითქმის არც ერთი წარმომადგენელი აღარ ემორჩილება მეფეს. ცენტრში განწირულებით იბრძვის ელემენტარული არსებობისათვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თვით ჩვენი პოეტის ლიტერატურული მეცენატი, არჩილი ექვსჯერ ტახტზე ასული ექვს-

XLVIII

ჯერვე ჩამოგდებულ იქნა ინტრიგების წყალობით და იგი იძულებული შეიქნა სამუდამოდ რუსეთში გადახვეწილიყო ემიგრანტად. ასეთივე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება არჩილის ძმა გიორგი XI, რომელმაც თავისი მეფობა მუდმივ ბრძოლას შეაღია ურჩ ფეოდალებთან და მათგან იძულებულმა სიცოცხლე დაასრულა შორეულ ყანდაჰარში.

ასეთ პოლიტიკურ პირობებში სასახლის ერთგული კარისკაცი, ლეგიტიმისტი იოსებ ტფილელი, პრაქტიკული საქმიანობით და პოეტური სიტყვით ემსახურება არჩილის და გიორგი XI-ის დინასტიურ უფლებათა განმტკიცებას. და სასახლის დაკვეთით დაწერილი ტფილელის „დიდმოურავიანი“ უპირველესად მხატვრული აგიტაციაა, პატრიოტული პროპაგანდა ტახტისა და პატრონელობისა. სწორედ ეს არის მთავარი სტიმული „დიდმოურავიანისა“. და სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის კომპრომისიცი, რომ ბერი-პოეტი ჰბედავს საერო პოემის დაწერას იმ ეპოქაში, როდესაც თვით საერო პოეტები თავისი საერო ლექსებისა და პოემების წერის გამო წინასწარ ბოდიშს იხდიდნენ სინანულის ცრემლის ღვრით ეკლესიის წინაშე და უთქმელად აღიარებდნენ სასულიერო პოეზიის პრიორიტეტს (გაიხსენეთ თეიმურაზ პირველი, არჩილი, სულხან საბა და სხვ.).

რასაკვირველია, ეკლესიური მორალის თვალსაზრისით იოსებმა „დანაშაულობა“ დაიმსახურა ეკლესიის წინაშე „დიდმოურავიანის“ დაწერით (და ცხადია ამ მიზეზით არის მაგ. გამოწვეული ანტონ I ქათალიკოსის სასტიკი რეზუმე იოსების მწერლობის შეფასების დროს: „დაშვრა ამოთათვის“-ო), მაგრამ როგორც დავინახეთ, იოსებ ტფილელს თავისი ლიტერატურული „ცოდვა“ თანამედროვე საზოგადოებაში იმ დამსახურებით უნდა გამოესყიდნა, რომ მისი პოემა პატრიოტული ემოციების გამომწვევი და გამღვიძებელი იყო, მღალადებელი მეფის უფლების განმტკიცებისა და პატრონელობის იდეალებისა, რაც დიდმოურავიანის დაწერის უმთავრეს სტიმულს შეადგენდა.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საერო პოემა „დიდმოურავიანი“ დასწერა პოეტმა მღვდელმთავარმა იმ ეპოქაში, როცა ეკლესიის ორგანიზაცია, მისი ავტორიტეტი ქვეითდება, როცა ჩვენში სასულიერო მწერლობა, სასულიერო მხატვრობა ქვეითდება, ხოლო ცხოვრებაში

სასულიერო მიმართულებაზე იმარჯვებს განახლებული ადამიანის საერო იდეოლოგია.

ცნობილია, რომ საერო კულტურის აღორძინებას, ცხოვრების სათავეში მის მოქცევას და სასულიერო მწერლობის კრიზისს ერთ-ხმად აღნიშნავენ XVII ს-ნის პოეტები:

ჯერ კიდევ თეიმურაზ I ამბობდა:

XLIX

უკლებლად სწერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი,
არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდად დებანი,
მას არვინ ისმენს, ვარჩიე სოფლისა მიდ მოდებანი!
არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა;
არ მიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა,
განკითხვა და საუკუნო არც სიკვდილი უმეს გულთა,
უნახავთა არა მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა!
თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა,
რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა,
არა ესე სჯობს, – არ ესე! – სიცილით ყველა ყბედევდა!...

თეიმურაზის სიტყვებში მშვენივრად არის გადმოცემული XVIII საუკუნის ქართული საზოგადოების ინდიფერენტოზმი სასულიერო მწერლობის მიმართ და იმავე საზოგადოების ენთუზიასტური ლტოლვა ეკლესიის მონობიდან განთავისუფლებულ საერო პოეზიისადმი.

მეორე დიდი წარმომადგენელი XVII ს. ქართულ პოეზიისა არჩილი აცხადებს, რომ:

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით!-ო.

და შენიშნავს ახალ მიმდინარეობას მწერლობაში, ანუ მისივე სიტყვით „ახალ წესს“, ანუ მოდას, როდესაც ამბობს:

უმჯობესი დაივიწყეს, წესის რასმე აწახლობით-ო.

მაშასადამე, „დიდმოურავიანის“ დაწერა მღვდელმთავრის მიერ იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ეკლესიური მწერლობის დაქვეითებისა და საერო მწერლობის აღორძინებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიულად XVII საუკუნეში...

*

* *

პოემაში მეტად შესამჩნევია კლერიკალური-ეკლესიური მორალის ბრძანებლობა. ავტორის – მღვდელმთავრის სიტყვით, გიორგი სააკაძეს – წირვა ლოცვა მომსმენელს, მუდამ „ლოცვითა ცრემლი რცხენია“. ლოცვის დროს მას უყვარს ცრემლის დათხევა საყელო ჩამოდინამდის“.

თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!..
სულსა ჰხამს რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!..

გვიცხადებს პოემის გმირი და ღალადებს:

მას ვმონებ, ვაქებ, ვადიდებ, ვინ რომე მიწა მასულა...
ძალს იგი მამლევს, ვინ არის ყოველთა უხვად გამცემი...
მარხვა მწადდა ვედრებითა...
არ მინდოდა წასახდენად, ხორცსა გარდა კიდევ სული...
და სხვა.

L

ჩვენ წინ დგას ჭეშმარიტი მორწმუნე ქრისტიანი, რელიგიურ ფანატიზმამდე მიწევნილი ადამიანი.

თვით სამხედრო დამარცხებასაც იგი კლერიკალ ჟამთააღმწერელი-ვით „ცოდვას“ მიაწერს:

ძლევა მათ მიხვდა, უფალმან ჩვენზე ივიწყა ბუნება,
აღარ მოგვშორდა ის ცოდვა, რომ თან გვდევს გველის ცთუნება...
შურითა მოხდა, ცთომისთვის, სამოთხეს შევა გველია...

იმავე შურმან გამოხადა სამოთხიდან მამაჩვენი,
სარჯლად მოგვცა ეს სოფელი, სარკის მსგავსად მამაჩვენი...

ავტორის პირით მოურავი გიორგი სააკაძე უხვად ასახელებს ბიბლიურსა და ეკლესიური ისტორიის სახელებს: მ ო ს ე ს, ი ა ზ ა-ბ ე ლ ს, ი ა კ ო ბ ს, რ ა ქ ა ე ლ ს, ნ ა ბ ო თ ე ს, ე რ ო დ ი ა ს ჰ ე რ ო-დ ე ს, ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ს, ე ვ დ უ ქ ს ი ა ს. ცხადია ასეთი გატაცება ეკლესიური სახელებით ეკლესიური იდეოლოგიით უ ფ რ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს რ ე ლ ი გ ი უ რ გ ა ნ წ ყ ო ბ ი-ლ ე ბ ე ბ ს გ ვ ი მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ს, ვ ი დ რ ე დ ი დ ე ბ უ ლ ი მ ხ ე დ ი რ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ი ს ა ს, რომელიც ეპოქის სარწმუნოებრივ ნორმის გარეშე დაშორებული უნდა ყოფილიყო ქრისტიანულ კლერიკალიზმს.

აშკარაა, იოსებ ტფილელის პოზიცია არის ქართული ეკლესიის ოფიციალური შეხედულობა, ხოლო მის რელიგიურ სენტენციებში უნდა მოსჩანდეს კვალი ტფილისის მიტროპოლიტის ქადაგებებისა, რომელსაც იგი არაერთხელ წარმოსთქვამდა ეკლესიის კათედრიდან.

ამგვარად, ავტორი-მღვდელმთავარი აშკარად თავს ახვევს პოემის გმირს საკუთარს, კლერიკალურ მსოფლმხედველობას. ამიტომ პოემის გმირიც გიორგი სააკაძე დიდი ქრისტიანული სათნოებით არის აღჭურვილი, იმის მიუხედავად, შეესაბამება ეს ფაქტი ისტორიულ სინამდვილეს თუ არა...

ცხადია, ამ მხრივ დიდი მოურავის პიროვნება, მისი სულიერი, ისტორიული სახე გადამუშავებულია ავტორის მიერ.

* *
*

სხვათა შორის საკითხავია, როგორ ახერხებს ეპისკოპოსი-ავტორი საგმირო პათოსის ათვისებას, საგმირო სამხედრო ამბებზე წერას, როგორ თავსდება ერთად ავტორის ეკლესიური მორალი მისი გმირის მხედრულ-რაინდულ მორალთან? ამის გაგება ძნელი არ არის, თუ

გავითვალისწინებთ პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეულს „ეპისკოპოსთა ლაშქარს წასვლას“. ვახუშტი გადმოგვცემს: „რაჟამს უწყეს მაჰმადიანთა – შემდგომად დავით მეფისა (1505-1515) – დაუტყობო-

LI

მელი ბრძოლა და კირთება და იხილეს დაფლობა-უღონოება ქვეყნისა ერთა, მაშინ ეტყოდინა ეპისკოპოზნი: „ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტყვებთ სარწმუნოებასა, სჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა და ჩვენ ვიქმნებით წინამრძოლნი თქვენ“. და ჰყოფდენცა ეგრეთ, ვითარცა მარაბდის ომსა (1624 წ.) ზედა მროველმან, ავალიშვილმან, რა მიიღო ზიარება, ეტყოდენ: „უკეთუ დღეს აღიღევ მახვილსა ბრძოლად, უბრძანე რათა გვაზიაროს სხვამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ!“ ხოლო იგი იტყოდა: „დღეს ბრძოლა არის სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემზედა, ამისათვის არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავსთხოი სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან!“¹

* *
*

პოემის კონცეფცია გმირულ-ტრაგიკულია. ტრაგიკული კონცეფცია მოსდევს პოემას თავიდან ბოლომდის. არსებითად პოემა მოგვითხრობს მართალი ადამიანის დაღუპვის ისტორიას. ამ ტრაგიკულობას თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს – ბედი. ავტორი ფატალისტია, ბედისწერის მიმდევარი. ამიტომ პოემის გმირიც თავის დაღუპვას, თავისი საქმეების წარუმატებლობას, – ბედს, განგებას, აბრალებს:

უკუღმართმა ბედმა მიყო, ეტლი ჩემი წაღმა წადგა...
ბედმა მიყო უკუღმართმა...
ბედმა მიყო, რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გადასულა...
ვის რას ვაბრალებ, ეს ყველა ჩემი წერა და ბედია...
მაგრამ ეტლმან არ გვიბედა, ვით ვიქმენით იმ დღეს მარცხით.
რა მარცხი მოვა კაცზედა, ვის შეუძლიან ბრუნება?
რა უკულმა ჩარხი გადრკა წაღმა აღარ დაბრუნდების.
ეტლმან ჩემან მამაგვარა ბედკრულობა ასათავი!
შენვე მიგაქვს ეტლი ჩემო, რაც შენგნით მაქვს მოცემული!
სამსახურის საპასუხოდ მე ეს მომცა ეტლმან ბედად!
ეტლმა მომცა ბედკრულობა, ნეტარ ყურსა ესმას ვისა?
ბედი წაღმა წაგრეხილი, აწ უკულმა დამეცარა...
უბრალოდა ჭირს არ მიმცემს, მე ეტლსა ამას ველია.
...ბედო კრულო უკუღმართო, თავო ჩემო განაჭერთ...
...ბედსა ვემდურვი...

¹ იხ. ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 29-30.

LII

...ბედსა ვეტყოდი...

რა მოვა კაცზედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ბედადო,
შუქურ ვარსკვლავი დახვდების პირდაპირ შემომხედადო!
ჩარხებსა ფრთები დასცვივის, ზემყოფი იქმნას ქვედადო,
დღეს მოეწურვის სხვისაგან გახდების უიმედადო!
რადგან შენ გხედავ უბედოდ, დღე მე შექმნია ბნელია...
ბედი, სვე და გამარჯვება იქნას კაცზე, რაც მოჰხდების!
რაგინდ რომ თავი აწამო, მეტყვიან კიდევ ბედ ავსა!
რაც სოფელმან ეტლად მამცა, ჩემთვის კიდევ მას არევედა!
კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდაჰხდების!

პოემის გმირი პასიურად ემორჩილება ბედს:

გამლების მეტი რაღა ხამს, რაც ჭირნი გარდამხდებიან!

პოემაში ავტორი არაერთხელ გვიზიარებს თავის მსოფლმხედვე-
ლობას, მორალურ შეხედულებებს, თავისს პრაქტიკულ გამოცდილე-
ბას, საკუთარ დაკვირვებას სენტენცია-აფორიზმების სახით:

მამაცისაგან ცუდია, თუ მუდამ რიცხავს შიშებსა.
კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა!
არვინ დავრჩებით უკვდავად, ვინც რომ დედიტგან ვიშვითა!
ვეფხვსა ადვილ ვინ შეიპყრობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსა?
ვინ იცის დილა რასა შობს, – თქმულა, – თუ ღამე მაკეა? (ვისრამიანიდან)
რა უკულმა ჩარხი გადრკა, წალმა აღარ დაბრუნდების,
რა დოვლათი კაცს მიუდგა, – აღარსაით დაბრუნდების!
კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდახდება!
ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზლობა უჩანს უნჯად!
ზოგი შეეფრფინავთ სოფელსა, ზოგთა დავწყვიეთ შობანი!
კაცის გული ვერ გაძლება, ბევრი ვის აქვს არ ეყოფა!
სჯობს საყვარელსა მოყვარე, ესე ნათქვამად ძველია.
ისევ გაწითლდეს სპილენძი, რაგინდ რომ ხშირად კალევედეს;
ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა აროს!
სოფელს სპირს პირველ სიამე, სწუთროს პყრობა, შეგებანი,
რასაც ინებე, გენებდეს, იტყვი, თუ მიყო ნებანი,
მაგრამ არა ქნეს მიყოლა, ვის ქონდა ჭკვა და მცნებანი...
სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი.
კარგიც რომ კაცმან ბევრი ქნას, – მტერს მაშინც არ ეკეთება!
ოსტატის არ ჰხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია!

LIII

იარად მოშლილ ჯაბანი რას ესვრის, ყველა დასცდება!
როდეს გასჭირდეს საქმისა, კაცი ხამს გამაბედავად.
თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არა თუ განაგორობით.
ავს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს...
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნულარა გაქვს გულის ძგერა!
თუ კაცი კაცსა აღარ სჭვრეტს, მტრისგან იში არ იგება!
უმტრო კაცი არ იქნების, რომ არ ჰყვანდეს არა სითმე.
ჯაბანს კაცსა გულოვანი გაჰხდის, ჰყვანდეს არა სითმე!
ვერსით მოვრჩები სიკვდილსა, დღეს მოვა ხვალე ისევ და!
თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი.
გაჭირვების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჭკვა და გონება.
კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა.

გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა.
კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა? და სხვა.

„დიდმოურავიანის“ სენტენცია-აფორიზმები ძველად ხალხში იხმარებოდა. გიორგი სააკაძის მკვლევარს ანტონ ფურცელაძეს თავის მშვენიერ მონოგრაფიაში მოჰყავს ხალხში შეგროვილი აფორიზმები გადასული „დიდმოურავიანიდან“ და ზოგ შემთხვევაში გახალხურებული:

„ბევრს თავადს მოუბილდება ჩემებრივ აზნაურობა“.
„რაც კაცს თავისთვის უნდოდეს, სხვისთვისაც მას ინდომებდეს“.
„კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა“.
„ზოგჯერ მეც მითქვამს თავისთვის, რისათვის დავიბადეო!“
„ზოგნი შესტრფიან სოფელსა, ზოგთ დავიწყივით შობანი!“
„ავსა კაცსა მახეზლობა მიაჩნია დიდ საუნჯედ“.
„ზოგჯერ უქნელი საქმე ვქენ, მარტომ გავსტეხე რაზმები!“
„გზას დამიგდებდნენ მებრძოლნი, ვერ მიბედავდნენ შებმასა!“
„კარგიც რომ კაცმან ბევრი ჰქნას, მტერს მაშინ არ ეკეთება!“
„რა გიჭირდის, უკეთ შეესძლი; ასრე მქონდის ომის ჩვევა!“
„დარმან ჩემთვის მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია“.
„ვიზედაც რომ სიკეთე ქვენ, მე შემექნა ზიანია“ და სხვ¹.

*
* *
*

„დიდმოურავიანი“ – მის მაღალ მხატვრულ ღირსებასთან ერთად იმავე დროს დიდი წონის ისტორიოგრაფიული ნაწარმოებია.

¹ ანტონ ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო. გვ. 364, 1911წლ. მეორე გამოცემა.

LIV

როგორც ზემოთ ვთქვით, ტვილელის „დიდმოურავიანამდის“ არ არსებულა (გარდა სააკაძის ოსმალეთში გადახვეწის ცალკე ამბავისა, რომელიც ჯერჯერობით დაკარგულია (იხ. ზემოთ), არავითარი მთლიანი ნაწარმოები დიდი მოურავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. „დიდმოურავიანი“ ქრონოლოგიურად პირველი პოეტური და ისტორიოგრაფიული ნაწარმოებია გიორგი სააკაძის შესახებ.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ იგი ყველაზე უადრესი ნაწარმოებია. იგი წინ უსწრებს ფარსადან გიორგი ჯანაძის ისტორიას, ხოლო ეგრეთ წოდებულ „პარიჟის ქრონიკას“ ანუ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ბალაძე თებას არ თუ წინ უსწრებს, არამედ როგორც თავის დროს გამოარკვია პროფ. ივანე ჯავახიშვილი, ჩვენი პოემა ერთერთი შემადგენელი წყარო ყოფილა „პარიჟის ქრონიკისა“, რომელშიც „დიდმოურავიანის“ ლექსები ზოგან მუხლობრივადაც კი გართიმულ სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 გვ. 317-319). რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი დიდმოურავიანის პრიორიტეტის შესახებ

ვახუშტის ისტორიაზე და ვახტანგ მეექვსის ისტორიულ კომისიის ნამუშევარზე.

ჩვენის მხრით უნდა აღვნიშნოთ „დიდმოურავიანის“ დიდი ფაქტოლოგიური გავლენა ვახუშტის ისტორიაზე. შესაფერი დაკვირვების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ვახუშტის თხრობის მიმდინარეობა გიორგი სააკაძეზე „დიდმოურავიანიდან“ მოდის; რომ ვახუშტის თხრობა ტფილელის პოემისპერიფრაზაა. ვინც ჩვენ შეხედულებას დაწვრილებით შეამოწმებს, იგი ადვილად დარწმუნდება. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ორი შეცდომა, რომლებიც ვახუშტის დაემართა „დიდმოურავიანზე“ დამოკიდებულობით, ტექსტიც უგულისყურო წაკითხვით...

ისევე, როგორც ტფილელი, ვახუშტიც სააკაძის ისტორიას იმ ამბით იწყებს, რომ თეიმურაზ მეფის და მოურავის ქრცხინვალს დგომისას, მოურავმა მეფეს შუამავლად მროველი გაუგზავნა, რომ მეფე ჯერ გაჰკვირდა, მერე „ამცნო“ მროველსა გულ-დებულ-ყოფა მოურავისა, რამეთუ არა რაი არს მანკიერება მეფესა შინა“; რომ სწორედ ამ დროს მეფეს მოუტანენ ქართლში თათარხანის შემოსევის ამბავს. რაკი ქრცხინვალში მდგომ მეფისა და მოურავის დიალოგებს 1609 წ.

¹ რასაკვირველია, შეუსაბამოა პლატონ იოსელიანის სიტყვები: „Рассказ прочих историков и особенно митрополита (იოსებ ტფილელზეა ლაპარაკი) основан на повествовании Горгиджанидзева“ (იხ. Жизнь Великого Монаха).

LV

თათარხანის შემოსევის ამბავი მოჰყვება და რაკი ვახუშტი ტფილელის თხრობას მისდევს, ამიტომ იგი შეცდომაში ვარდება და ქრცხინვალში მდგომი მეფე მას ლუარსაბი ჰგონია. აქ კი ტფილელის პოეტურ თხრობასთან გვაქვს საქმე. რაკი მეფე „ლუარსაბის სიკვდილს ადებდა“ აბრალებდა, მოურავმა გადასწყვიტა თავის სარეაბილიტაციოდ და მეფეთადმი ერთგულობის დასამტკიცებლად „თავიდან („მაგრამ თავიდან შეგკადრო“) ... ეთქვა თავისი გმირული ამბები. მისი ერთგულობის დამადასტურებელი:

შევსთვალე მეფევ, ისმინე ეს სიტყვა გათავებამდი!

და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იწყობს 1609 წლის თათარხანის შემოსევის ამბავიდან, სადაც მან გასაკვირველი გმირობა გამოიჩინა. ვახუშტის კი ჰგონია, რაკი ეს შემოსევის ამბავი პოემაში მეფისა და მოურავის საუბარს მოსდევს, – თათარხანის შემოსევა სწორედ ამ მომენტში მომხდარაო. სწორედ პოემაზე დამოკიდებულების წყალობით იჩენს ვახუშტი ასეთ უგულისყურობას, როდესაც ლუარსაბად ჰგულისხმობს აქ „მეფეს“, რომელიც თვით „ლუარსაბის სისხლს“ ადებს მოურავს და რომელიც უკვე მოწამებრივად გარდავლინებულ ლუარსაბზე ამბობს:

„მაგრამ მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია“!

მოვიყვანთ კიდევ ერთ დეტალს, თუ ჩვენ პოემაზე დამოკიდებულების წყალობით კიდევ რა შეცდომას უშვებს ვახუშტი:

ტფილელის პოემაში სააკაძის მიერ ტბისში ქაიხოსრო ბარათაშვილზე თავდასხმის ამბავს (259-266 სტროფები) ზედვე მიჰყვება სააკაძის მიხედვით ქველ წერეთელზე (268/269). ვახუშტისაც სრული ასეთი თანამიმდევრობით აქვს აწერილი ორივე ეს ამბავი (იხ. 67). მაგრამ ტფილელი თუ ერთ ალაგას (259 სტრ.) ბარათაშვილს სახელად ქაიხოსროს უწოდებს, მეორე ადგილას, ლექსის კომბინაციის მიხედვით, მას შემოკლებულ სახელს „ხოსიას“ არქმევს, „(ქაიხოსრო“ და „ხოსია“ ერთი და იგივე სახელია. ტფილელი გადმოგვცემს, რომ სააკაძე დაესხაო თავს ქაიხოსროს, მეციხოვნე თათრები დაუხოცა, ხოლო თვით ქაიხოსრო ანუ ხოსია დაიჭირა და თიკნაბერას ციხეში დააბა. ვახუშტის კი ქაიხოსრო და ხოსია სხვადასხვა პიროვნებანი ჰგონია, ძმად მიუჩნევია: „დილასა ერთსა დაესხა (მოურავი) ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მისთანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანიანა ყიზილბაშნი ბირთვისიდან და მოსწყვიტა ხუთასივე და ხოსია პატიმარ ჰყო ციხესა შინა კიკანათა ბერს“. (ვახუშტი, გვ. 67).

LVI

ამნაირად, „დიდმოურავიანი“ ვახუშტის ისტორიის ერთერთი წყარო ყოფილა.

„დიდმოურავიანის“ ამკარა გავლენა ეტყობა აგრეთვე ერთს პოეტურ ისტორიულ თხზულებასაც, სახელდობრ, იესე ტლაშაძის პოემას „კათალიკოზ-ბაქარიანს“ (XVIII საუკ. პირვ. ნახ.) საერთო პოეტური გავლენის გარდა იასე ტლაშაძეს ზოგი სტრიქონები და ადგილები ტფილელის პოემისა სიტყვა-სიტყვით მოჰყავს „კათალიკოზ-ბაქარიანში“. შესადარებლად მოგვყავს ფრაზეოლოგიის ამოწერილი ადგილები ორივე პოემიდან:

ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი :

„ჩემთვის დარმან მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია“! 28/177

ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე :

„ქართველთ დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია! 23-135.

ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი :

„გულსა ვეტყოდი გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი! 20-116

ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე :

მე ვუთხარ ჩემს თავს: „გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი!“ 27-164

ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი :

სადაური სად მოკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა? 45-310

ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე :

სადაური სადა ვკვდები, სად მითხრიან სამარესა? 41-263

ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი :

რა მარცხი მოვა კაცზედა, ვის შეუძლია ბრუნება? 31-199

რა უკუღმა ჩარხი გადრკა, წაღმა აღარ დაბრუნდების! 45-311.

ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე :

რა საქმე მოვა კაცზედა, ვერავინ დააბრუნებსა! 42-264.

ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი :

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭრის, არ ახსონს სამსახურია

რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,

ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეჭამა პურია? 40-279

ი ე ს ე ტ ლ ა შ ა ძ ე :

ზოგს ბატონს ესე სჭირს, არ ახსოვს ნამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი მსახუროს მან მას არ უგდოს ყურია,
როცა გაკეთდეს, გადდიდეს აღარ აჭამოს პურია! 44-282

იოსებ ტფილელი:

სრულად მომავლეს ერანი, სიგრძე სად იყო, განება! 28-169

იესე ტლაშაძე:

სრულად დაგავლეს ქვეყანა, სიგძე ჰქონდა, თუ განება! 45-288

როგორც ვხედავთ, თავისი პოემის წერის დროს იესე ტლაშაძეს პოეტურ ნიმუშად ტფილელის პოემა ხელთა ჰქონია. ამნაირად, „დიდ-მოურავიანი“, როგორც სანდო ისტორიული წყარო და პოე-

LVII

ტური ნაწარმოები ჩვენს ისტორიულსა და მხატვრულ მწერლობაში საკმაო გავლენით სარგებლობდა.

„დიდმოურავიანი“ შეიცავს არა ერთ ძვირფას ცნობას გ. სააკაძის ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ. პოემაში მასთანვე მოცემულია ფეოდალურ-სამხედრო ყოფაცხოვრების მრავალი ელემენტი; ამ მხრივ პოემაში არა ერთი პასსაჟია საინტერესო.

*
* *

ზედმეტია ლაპარაკი „დიდმოურავიანის“ ისტორიული მასალების დიდ ღირებულობის შესახებ, მით უმეტეს, რომ დოკუმენტური, კონკრეტული ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ მეტად მცირე მოგვეპოება.

საინტერესო საკითხი დგას ჩვენს წინ: რა მასალებით სარგებლობდა ტფილელი პოემის წერის დროს? დიდმოურავიანის დაწერამდე რომ არ არსებულა რაიმე მთლიანი ნაწარმოები სააკაძის შესახებ იქიდანაც ჩანს, რომ ისეთი განათლებული მწერალი XVII საუკუნისა, როგორც იყო არჩილი, საგანგებოდ უკვეთავს ტფილელს გააშუქოს სააკაძის პრობლემა, განუმარტოს მისი მოღვაწეობა, კერძოდ სააკაძის კონფლიქტი თეიმურაზ მეფესთან, – მაშასადამე ი. ტფილელამდე გ. სააკაძის ცხოვრება შესწავლილი არ ყოფილა და ტფილელს არ შეეძლო სხვა მწერლების და ისტორიკოსების ნამუშევრით ესარგებლა.

ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტფილელს, – სააკაძის ოჯახის წევრს – შეეძლო მისი პირადი არქივით, პირადი მასალებით ესარგებლნა. ამ შემთხვევაში ანტონ I-ის ქათალიკოსის ერთი ბუნდოვანი ცნობა თითქოს გვიდასტურებს კიდევ ამ მოსაზრებას. ლუარსაბ მეფის წამებაში იგი მოგვითხრობს: „ორგულთა განმამართლებელთა და ჰსწერეს, პირველად თვით მან გიორგი, ხოლო კვალად საქებრად გიორგისა მის იოსებ ტფილელმან სააკას ძემან შაირსიტყვაობით დიდადრე მაქებელმან გიორგისამან... (ჩუბ. ქრესტ. გვ. 330) 1890 წელს, ე.ქ. თაყაიშვილმა გამოსთქვა აზრი, რომ სააკაძის პირადი წერილების ანუ დღიურის კვალს მან მიაგნო ეგრეთ წოდებულს „პარიჟის ქრონიკაში“, რომლის ერთერთ შემადგენლ წყაროდ გელათის ქრონიკონებთან ერთად „მესხურ დავითნის“ ქრონიკებთან ერთად, მისი აზრით, „დიდი მოურავის სააკაძის ხრონიკა

ანუ დღიური ყოფილა". „ერთი ნაწილი ამ ცნობებისა უსათუოდ შეიცავს დიდი მოურავის სააკაძის წერილებს ანუ დღიურს... ის ცნობები, რომელნიც „პარიჟის ხრონიკაში" დიდი მოურავის თავგადასავალს ეხებიან, თვით დიდი მოურავის დღიურიდან უნდა იყვნენ ამო-

LVIII

ღებულნი, ამიტომაც ეს ამბები დაწვრილებით უფრო დიდის მოურავის სასარგებლოდ არიან მოთხრობილნი... (სამი ისტორიული ქრონიკა).

შემდეგ მან განაცხადა, რომ სწორედ ეს დღიური არის იოსებ ტფილელის მიერ გარდაღებული „დიდმოურავიანში":

„В стихи дневник этот был переложен внуков Великого Моурави Иосифом Тбилели, который как мы в том убеждены, написал свой „Дид-Моуравиани“, или жизнь Великого Моурави на основании дневника своего деда, имеющегося у него (по всей вероятности), в виде особого произведения. Указанное сочинение Иосифа Тбилели, посетителя второй половины XVII века, кроме предисловия и заключения, представляет буквальное воспроизведение в цитатах дневника Георгия Саакадзе... Приходится удивляться, как автор искусно передал стихами не только смысл, но и отдельные слова и выражения прозаического подлинника". (იხ. Хроника Эриставского Акафиста, გვ. 8, ცალკე ამონაბეჭდი).

მაგრამ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა მშვენიერად დაამტკიცა, რომ პირიქით, პარიჟის ქრონიკის შემდგენელს ხელთა ჰქონია სააკაძის დღიური კი არა, არამედ უეჭველია, იოსებ ტფილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი". ამ სრული ჭეშმარიტების დასადასტურებლად ამ ორ თხზულების ზოგიერთი ადგილის შედარებაც იქვე მოიყვანა (ქართული საისტორიო მწერლობა... 318).

„პარიჟის ქრონიკამ" აგრეთვე შეცდომაში შეიყვანა მეორე მკვლევარი ანტონ ფურცელაძე, რომელმაც განაცხადა: „რომ დიდმოურავიანი ბევრით არის დამოკიდებული თვითონ სააკაძის წერილებზე თეიმურაზ მეფესთან"-ო, რის დასამტკიცებლად მას მოჰყავს პარალელური ადგილები „პარიჟის ქრონიკიდან" (გვ. 42, 43, 46).

რაც შეეხება საერთოდ, სააკაძის დღიურის ან წერილების არსებობას და მისით სარგებლობას ტფილელის მიერ, 1916 პროფ. ივ. ჯავახიშვილი დასძენდა: „იქნებ ამ უკანასკნელს (იოსებ ტფილელს) დიდ მოურავის დღიური ან წერილები ხელთ ჰქონოდა კიდეცა"-ო. (ქართ. საისტორიო მწერლობა, გვ. 319).

ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია სააკაძის დღიურის არსებობა. დღიურის იდეის წარმოშობა ჩვენი პოემის ბრალია, რადგან პოემაში ლაპარაკი თვით სააკაძის პირით სწარმოებს. სწორედ ამ გარემოებას შეჰყავს შეცდომაში ჩვენი მკვლევარები. დღიურის მაგიერ ვფიქრობთ, შესაძლოა არსებობდა სააკაძის ვრცელი მოხსენება, განმარტებითი წერილი თეიმურაზისადმი მიმართული თავის სარეაბილიტაციოდ, ან მიმოწერა და იგი გამოიყენა ტფილელმა. რაც შეეხე-

ბა სააკაძის პირად წერილებს, ისინი უკვე დაღუპულა, ჩვენამდის ვერ მოუღწევიათ, მაგრამ XVIII ს. დასაწყისში იგინი გამოუყენებია თავის ისტორიულ ნაშრომში ცნობილ მ ა რ ი ა მ (მაკრინა) ბ ა ტ ო - ნ ი შ ვ ი ლ ს (ერეკლე I-ის ასულს). მაგ., 1840-იან წლებში, ნიკიფორე გორის ეპისკოპოსს პლატონ იოსელიანისათვის გადაუცია მარიამის ისტორიული ნაშრომი, საიდანაც პლ. იოსელიანს რუსულად უთარგმნია თავისს თხზულებაში გიორგი სააკაძის ერთი პირადი წერილი ზურაბ არაგვის ერისთავისადმი მიწერილი.

ამ წერილებთან ერთად ი. ტფილელის უმთავრესი წყარო უნდა ყოფილიყო ის ცნობები, რომლებიც მას შეეძლო მიეღო თავისივე ოჯახში, გიორგი სააკაძის შვილების, მისი ახლობლების და თვით მნახავთა მიერ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით იოსებიც არც ისე დაშორებული იყო დიდი მოურავის ეპოქას და ბოლოს, იოსებ ტფილელი თავის ყრმობაში ხომ შემსწრე უნდა ყოფილიყო მოურავის ზოგი ამბისა. ამ გარემოებით „დიდმოურავიანი“ სანდო, პირველ-წყაროს მნიშვნელობის ცნობებს უნდა შეიცავდეს.

*
* *

სწორედ ამ გარემოებას, რომ იოსებს პოემის მასალები გიორგი სააკაძის ოჯახში უნდა შეეკრიბა, რომ თვით იოსებიც ამ ოჯახის წევრი იყო (ძმისწული მოურავისა), ეჭვი არაა, თავისი ბეჭედი უნდა დაესვა პოემისათვის. უეჭველია, ერთგვარ რომანტიულ გადახვევას, ერთგვარ ტენდენციურობას ვერ ასცილდებოდა პოეტი. ზემოთაც შევნიშნეთ მას ტენდენციები დიდი მოურავის სახის სრულყოფილობის შესაქმნელად (მოურავის კლერიკალიზმი, ლეგიტიმიზმი).

ცხდია, ეს გარემოება და უფრო იოსების ახლო, ნათესაობრივი დამოკიდებულება დიდი მოურავისადმი არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოურავის ოპოზიციონერები ტფილელს მიდგომილობას სწამებენ. ასე, დავით ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, „დიდმოურავიანი“ „დაწერილია მიდგომილობით“ (ქ. ცხ. წინასიტყვე; „ივერია“ №1888 წ.). მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი დასძენს: „თბილელი დ ი დ ა დ შ ე ა ქ ე ბ ს მოურავსა და ს ც დ ი ლ ო ბ ს მოღალატეობის ძრახვას ახადოს თავის პ ა პ ა ს. ამ სახით მართო თბილელი და სპარსელი მუნჯი გამოდიან მოურავის თაყვანისმცემლებად“ (საქრთ. ისტორია, გვ. 347, 1897 წლ. გამოც.). მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბრალდება მათ მიერ სააკაძის შესწავლის ნიადაგზე კი არ არის შედგენილი, არამედ უსაბუთო გამეორებაა იმ შეხედულების, რომელიც შემუშავდა XVIII ს-ში ვახუშტისა და ანტონ I კათალიკოსის მიერ,

LX

რომელნიც ერთადერთი ოპოზიციონერები არიან სააკაძის ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში (მათი ბრალდებიდან მომდინარეობს იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს და იონა ხელაშვილის შეხედულობანიც სააკაძეზედ).

ვახუშტი უწოდებს დიდ მოურავს „მ ზ ა კ ვ ა რ ს“, „ბ ო რ ო ტ ს“, „მწურჩნელს“, და მის მოღვაწეობას მით ჩირქსა სცხებს.

ანტონ ქათალიკოზი სასტიკად ამხელს იოსებ ტფილელს მიდგომილობაში: „იოსებ ტფილელმან, – ჭეშმარიტის თქმა უმჯობეს არს, – არა ერთ გულმან მისმან (ლუარსაბ II-სა გ. ლ.) მ ა ქ ე ბ ე ლ მ ა ნ შ ა ი რ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი თ მ ე ფ ი ს ა ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა შ ი ნ ა გ ა მ ც ე მ ე ლ მ ა ნ კ ე თ ი ლ ი ს ა მ ის მეფისაგან... (ჩუბ. ქრესტ. 321); საქებრად გიორგისა (სააკადისა გ. ლ.) მის იოსებ ტფილელმან სააკასძემან შაირ-სიტყვაობით დ ი დ ა დ რ ე მ ა ქ ე ბ ა ლ მ ა ნ გ ი ო რ გ ი ს ა მ ა ნ, გალავნად და სიმტკიცედ საქართველოსა მწოდებელმან მისმან დაჰსწერა...“ (იქვე 330). ანტონ უწოდებს იოსებს „ორგულსა და გამანათლებელსა უკეთურისა მის მონისა; (ე. ი. გი სააკადისა გ. ლ.) ხოლო თვით ტფილელის პოემის გმირი, მისი აღტაცებისა და შთაგონების საგანი – გიორგი სააკაძე, ანტონის სიტყვით, არის „ორგული მემკვიდრისა მეფისა თვისისა და მამულისა“. (იქვე, 316), „დრკუ, ორგული და გულარძნილი“. (იქვე, 328). „უკეთური, „მზაკვარი“, რომლის მიზანი იყო „სიკუდილი ლუარსაბისი და აღოხრება საქართველოსა“ (330); რომ „ბირებთა უღმერთოსა მის მონისა მზაკურისათა აზრისა შაკაბას განმკედრდა საქართველოსა ზედა“ (332). ამგვარად, ანტონი სამშობლო ქვეყნის მოღალატედ აცხადებს გიორგი სააკაძეს, ვახუშტისთან ერთად აღნიშნავს მის „მზაკვრობას“ და „უკეთურობას“, ხოლო ი. ტფილელის მიმართ ილაშქრებს, როგორც ორგულისა და სააკადის გამამართლებლის წინააღმდეგ. ასეთია ოპოზიცია დიდი მოურავისა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. ეს ოპოზიცია ჩამოყალიბდა XVIII ს-ში. აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ში გ. სააკადის მტრის თეიმურაზ I-ის ჩამომავლების – თეიმურაზ II-სა და ირაკლი II-ის მეფობაში არსაიღამ ხმა არ ისმის სააკადის დასაცველად, გარდა „დიდმოურავიანის“ რედაქტორ-გადამწერლებისა, რომელნიც ჩვენი პოემის სათაურებში გამოჰხატავენ მოწიწებას სახელოვანი გმირისადმი.

სამაგიეროდ, ტფილელის და არჩილის სახით, ჩვენ ვიცით, XVII ს. ქართული მწერლობის აღტაცება გიორგი სააკადის პიროვნებით. ეს იმ ეპოქაში, როდესაც ქართლ-კახეთში სააკადის მოწინააღმდეგე თეიმურაზ I-ის დინასტიური მემკვიდრეთაგანი არავინ მეფობდა. ასეთია შეჯახება სააკადის საკითხის გარშემო ამ ორი ეპოქის მწერლობისა. საერთად,

LXI

სააკადის პრობლემა ჯერ დაუმუშავებელია, მასალები სათანადოდ შეგროვილი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ სააკადის ოპოზიციონერებიც ცალმხრივები უნდა იყვნენ და ეს ცალმხრივობა მათი დინასტიური ინტერესებით არის გამოწვეული, „ნათესავობით დავითიან-ბაგრატოვნობითა“. ეს უნდა იყოს ერთერთი მიზეზთაგანი იმ ფაქტის, რომ XVII ს. სასახლის-ლიტერატურული წრეების შეფასებას სააკადის პიროვნების ირგვლივ შემდეგი საუკუნის მწერლობა არა თუ კრიტიკულად, მტრულადაც კი ჰხვდება. ამ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ „სასახლის ინტრიგები“ მწერლობაში.

*

*

*

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ ი. ტფილელის რამოდენიმედ ცალმხრივობაზე გ. სააკაძის პიროვნების მიმართ. ეს ცალმხრივობა ჩვენის აზრით უფრო რომანტიულია, ვიდრე ფალსიფიკატორული, გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ. ჩვენი პოემის ავტორის რომანტიული პათეტიკა გამოწვეულია სააკაძის პიროვნების პრინციპული შეფასებით. ტფილელი უსაგნო პანეგირისტი არ არის, მას სწამს სააკაძე, როგორც „ქართლის გალავანი“, გმირი-პიროვნება, რომელსაც შეეძლო საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნა.

აღსანიშნავია, რომ იგი დუმილით უვლის თვით ლუარსაბის წამებას. საგულისხმო არის, რომ ავტორი – ეპისკოპოსი – არავითარ ადელვებას არ გამოსთქვამს ლუარსაბის წამების გამო, მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ ანტონ კათალიკოსის პირით ლუარსაბს უწოდა „ქრისტეს მოწამე“, „ზიარი სიკვდილის ქრისტესი“, „ტარიგი ყოვლად წმინდა, რომელიც წამებისაგა გვირგვინით გვირგვინოსან ქმნილი ქრისტეს ძესა ღუთისა ეზიარა და ყოვლისა სოფლისა მეოხად დადგა“, რომელსაც სხვა მღვდელ მთავრებმა აღტაცებული საგალობლები უძღვნეს (ბესარიონ კათალიკოზი, ნიკოლოზ ტფილელი), რომელზედაც XV VII საუკუნეებშივე დასწერეს „აკოლოთია მწუხრისა და ცისკრისა“. – იოსების დუმილი ლუარსაბის წამების გარეშემო, ცხადია, მისმა მტრებმა გაიგეს, როგორც ლუარსაბის მტრობა და „შინაგამცემლობა. (ჩუბ. ქრესტ. 321).

ეპ. იოსები, როგორც სააკაძის აპოლოგეტი სრულიად არ გამოხატავს აგრეთვე აღტაცებას თეიმურაზ I-სადმი, რომელსაც საქრისტიანოს მხსნელს უწოდებდნენ და დავით აღმაშენებელს ადარებდნენ.

და ბოლოს, სიანტერესოა, რომ თუ ანტონი და ვახუშტი სააკაძეს ქვეყნის ღალატსა და ორგულობას აბრალებდნენ, „დიდმოურა-

LXII

ვიანში", თეიმურაზ მეფე გიორგი სააკაძეს უყენებს მხოლოდ ორ ბრალდებას: ლუარსაბის მკვლელობას, განდიდებას და უმორჩილობას:

...ის შეიქნა ლუარსაბის სისხლთა მღვრელად;
კვლავ: მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ-ველად!
თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ, წყალობისა არ მადლმხდელად!

და არა სამშობლო ქვეყნის ღალატს და მის მიერ შაჰაბაზის წამოყვანას საქართველოზე.

*
* *

ფორმალურად, იოსებ ტფილელი რუსთაველის სკოლის მგოსანია. იგი ზოგან სარგებლობს „ვეფხისტყაოსნის" სენტენცია-აფორიზმებით და ფრაზეოლოგიით. ამავე სკოლის პოეტის თეიმურაზ პირველის გავლენაც ატყვია, აგრეთვე – „ვისრამიანისა".

პოემის მთავარი ღირსება მის ხალხურობაშია: სადა, მოკვეთილი, ცოცხალი სიტყვა პოემის უპირველესი სამკაულია. ცალკე უნდა აღი-

ნიშნოს იმ ეპოქისათვის შესამჩნევი ენის სიწმინდე. პოემას თითქმის არ ახასიათებს თურქულ-ერანული ლექსიკა: ამ შემთხვევაში იოსები პურისტია და მას შეეძლო არჩილთან ერთად გაემეორებინა:

მითქუამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია.

ეგ ნუ გგონიათ სხვა ენა მე არ ვიცოდი სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვასავით!

ენის სიწმინდის დაცვაში იოსებ ტფილელი ღირსეული თანამებრძოლია არჩილის და სულხან-საბა ორბელიანისა.

დიდი მოურავის ცხოვრებაში არა ერთი გულისაღმძვრელი მომენტია, რაც თავისს შესაფერ პოეტურ გამოხატულობას თხოულობს¹. ამის გამო ჩვენი პოემა უხვად შეიცავს ლირიკულ ელემენტებს, რასაც მომხიბვლელობას ანიჭებს თვით ლექსის მელოდიურობა და მუსიკალობა ხალხური პოეზიის იერით.

სხვათა შორის ტფილელის პოეტურ ტექნიკას ახასიათებს ფიგურის და შედარებების სიღარიბე. პოემაში ყურადღებას იქცევს მაჯამური სტროფების სიმდიდრე.

484 სტოფიან პოემაში 52 მაჯამური სტროფია, ე. ი. 208 მაჯამური რითმა, რომელთაგან არა ერთია საკმაოდ ეფექტური (იხ. მაჯამური სტროფები: 93, 138, 196, 252, 258, 272, 295, 296, 297,

¹ დიდ უსამართლობად უნდა ჩაითვალოს გ ი ო რ გ ი წ ე რ ე ლ ი ს აზრი „არ ჩილიანთან“ ერთად „დიდმოურავიანის“ შესახებ, თითქოს ისინი უფრო ისტორიულ ქრონიკებს გვანან, ვიდრე ნამდვილ პოემებს, მ ა თ ა კ ლ ი ა თ ღ რ მ ა გ რ ძ ნ ო ბ ა და ი ს ს ი ც ხ ო ვ ე ლ ე (sic), რ ო მ ე ლ ი ც ჰ ბ ა დ ე ბ ს მ ა ღ ა ლ ს და ნამდვილ პოეზიას“-ო („დავითიანის“ წინასიტყვაობა).

LXIII

314, 315, 316, 317, 325, 326, 327, 328, 330, 332, 336, 337, 338, 340, 343, 357, 358, 360, 362, 365, 366, 368, 369, 379, 382, 398, 401, 417, 424, 445, 464, 472 473, 474. 480). შესამჩნევია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ავტორი მიჰმართავს მაჯამურ ლექსს ლირიკულ მომენტებში.

პოემის მოცულობის პროპორციით იოსებ ტფილელი მაჯამებით აჭარბებს თავისი ეპოქის პოეტებს, მაგ. ნოდარ ციციშვილს, ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს და სხვ¹.

უნდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ტფილელის მაჯამები დიდის ხელოვნებით არის შესრულებული.

ცალკე აღსანიშნავია პოემის გულწრფელი პათეტიკა. ეპიური თხრობის სილამაზე, სიტყვის ტკბილქართულობა გვიმტკიცებენ პოეტის ოსტატობას.

*

* *

ამგვარად, ტფილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ საუკეთესო ფაქტია XVII ს. ახალი ლიტერატურული სკოლის სიძლიე-

რისა და იმავე დროს ეროვნული თვითშეგნების ინტენსიურობისა.

ასეთია „დიდმოურავიანის“ შინაარსი და ღირებულება. იგი ნაციონალურ ეპოსის წარჩინებული ძეგლია, რეალისტური კალმით დაწერილი. პოემას ახასიათებს ეროვნული, პატრონ-ყმურ-რელიგიური იდეოლოგია.

„დიდმოურავიანმა“ გაუძლო ორ ნახევარ საუკუნეს და ჩვენამდის მოაღწია, როგორც მშვენიერმა პოეტურ-ისტორიოგრაფიულმა ძეგლმა. მისი პატრონყმური და რელიგიური იდეოლოგია დიდი ხნის წარსულს ეკუთვნის, მაგრამ პოემაში დაცული რაინდობის და პატრიოტიზმის გამირული სული ჩვენს დიდებულ თანამედროებას ეხმაურება.

¹ ფ ე შ ა ნ გ ი ს 1151 სტროფიდან 90 სტროფი მაჯამით აქვს შესრულებული. იხ. გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე „მაჰნავაზიანი“, გვ.

დიდმოურავიანი

პროლოგი

1. მეფესა ქართლის * ცხოვრება ებძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთვლისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შვება, სიამე, ხან ვარდი დანასრულობით:
და სიბრძნე, ხმალი და ომები, სიკვდიდმდე აღსასრულობით.

[მეფის არჩილისადმი]

2. მეფევ, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო,
ღრმის სიტყვისა ამომცნობი და ძნელისა გამადვილო;
„ცოტა სიტყვა განმიმარტე“, გებრძანა თუ: „ჩემო ჩრდილო,
და შენ, სიბრძნისა ვერ მიმწთომო, მაგრა რიტორთ კაცთა ზრდილო!“

3. ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება,
ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება;
საქართველოს დასუსტებას მით ბელიარ ექენება;
და ამ ქვეყნისა შიგნით რევას ზოგს ოცნებით ეჩვენება!

* დედანში: მეფესა ქართლისა ცხოვრება.

კარი პირველი

4. ქრცილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერც ახლდა მოურავი,
იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ არავი,
მტერი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი,
და ავი ენა ამათ გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არ ავი.

5. სამნი კაცნი მოურავთან მოვლენ სიტყვის მოხსენებად,
პირველ ჰკადრეს: „სახელისა ჩვენ შენისა ვართო ქებად,
გაგიცხადებთ ხვაშიადსა, პირთა ჭირზე მოსავსებად,
მაგრა ფიცს გთხოვთ, არვის უთხრა, არ შევიქმნათ გაცხადებად“

6. მან მიუგო: „რას ფიცსა მთხოვთ, ან რისა ხართ ნეტარ მთქმელი?
გამიცხადეთ, თუ რა მოჰხდა, ახლარამ თუ ანუ ძველი,
კარგს მეტყვით თუ საზიანოს, ლხინით ვარ თუ ცრემლთა
მღვრელი,
და გულში არა ჩამაჩნია, მეფის მტრის ვარ მე მომსვრელი!“

7. მათ უთხრეს, თუ: „ვერ გიამბობთ, თუ არ მოგვეცე მართლა ფიცი.
წიგნი მოგვეცე საფიცრისა, დაბეჭდე და დაამტკიცე,

თვარემ გითხრათ, მიგვცე ხელთა: „ამან მითხრა, მე ეს ვიცი“!
და ჩვენ დაგვხოცონ, თუ გარდავრჩეთ, ვერ ვიშოვნოთ ანამტკიცია“!

8. დაღონდა, გულში ესე თქვა: „ნეტარ შევჰფიცო რისათვი,
წიგნი მიმეცეს ფიცისა ცუდის სიტყვისა თქმისათვი,
მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ძმისათვი.
და ეგება მე სულ შორს ვიყო, მეუბნებოდენ სხვისათვი“.

9. ბევრი ეუბნა, არ უთხრეს, ვირემ არ მისცა ფიცია,
მაშინდა ჰკადრეს: „სიკვდილი შენი ხვალ დანამტკიცია!“
ერთმან თქვა: „მოღალატენი უთუოდ მართლა ვიცია!“
რა მესმა, იქივ შევსწუხდი, მე თავსა ხელი მიცია.

10. ჰკითხო „ნეტარ რასთვის მამკვლენ, ანუ ჩემგან რა მომხდარა“
კაცს რომ ბევრი კარგი უყო, ჭირნახული ქვე წამხდარა,
რომ არ აგყვე, სიზმრის ნახვა ბევრჯელ სადმე კვლავ ამხდარა,
და მზე ჭაბუკ და გმირი როსტომ ღალატითა გარდამხდარა!

* ე. ი. არს ავი.

11. ზოგს ყმას გაენდო, ზოგზოგთან კაცი გაგზავნა მალეღი,
ქაიხოსროს და იესეს უთხრა: „გული გაქვთ საღეღი,
რასათვის მამკლავს, გასინჯეთ, თქვენგნით მქონია მალეღი,
და კარგისთვის კარგი ეს არის, იცით, რა დავსდევ ვალეღი?“

12. მათ უთხრეს: „ნუ დაიჯერებ, არა გავს სიტყვის მსგავსება,
ზოგთ უნდა გარდაკიდება, ქართლის ჩხუბითა ავსება;
შენ რომ არ იყო, დღეს ქართლსა მიხვდება სანთლის დავსება.
და მთვარე დაცხრების ჩვენ კერძი, აღარ ყოს პირის გავსება!“

13. კვლავე ნახა ისივ კაცნი, იმავ სიტყვას მეტყველებდეს,
მოახსენეს: „დაიჯერე, ვირ შენს შუქსა დაავსებდეს,
მოგკვლენ, სისხლსა დაგიღვრიან, ზოგნი თასსა აავსებდეს,
და რაკი მოგკვლენ, სოფელს გავლი, სიკვდილს შენსას ვინ ეძებდეს?“

14. თქვა: „ვერ ვხედავ ამ საქმესა ჩემთვის რასმე კარგა მხედად,
სამსახურის საპასუხოდ მე ეს მამცა ეტლმან ბედად,
შვილიშვილის დასადგინად, სანატრელად ან იმედად,
და აწ რაცა ხამს, მე იმას ვიქ, თქვენ რა გითხრა სიტყვა ყბედად!“

15. ჰკითხა კიდევ: „რა სიტყვა თქვეს, რად სწრაფობენ ჩემად მკვლეღად?
მათ უთხრეს თუ: „ის შეიქნა ლურსაბის სისხლთა მღვრეღად;
კვლავ: მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს ვეღად;
და თავს არ გვიღებს საპატრონყმოდ, წყალობისა არ მადღმხდეღად.“

16. თქვა: „მამაცისგან ცუღია, თუ მუღამ რაცხავს შიშეღსა,

ვინც რომე უწინ მირჩივა, ვიცი, მამლებს იშეხსა,
მითხრეს, გონიას რას ეძებ, შერთვია ზღვათა ქვიშებსა,
და კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა?"

17. მეფემ შეგვიტყო ჩურჩური, გაყენ და გამოყენება;
ებძანა: „რა გაქვთ საქმენი, სიტყვას არ უნდა ყენება!“
ვკადრე: „ამჟამად არვისგან მკვდარი არ აყენება,
და თავს ღალატითა ვერ მოვკვლავ ამისი ნუ გაქვს წყენება!“

18. მეფევ, თქვენ იცით, ტარიელს რამაზის სიტყვის თქმანია,
მან მოარჩინა სიკვდილსა, თვარ იყო დასანთქმანია,
რა წიგნი მისცა მას კაცსა, პირობა, რა აღთქმანია,
და მეც მითხრეს ჩემი სიკვდილი, აწ რაღა უკუთქმანია?"

5

19. ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი, მროელი...
მას ვკადრე, „თქვენ დაისაჯე, მეფესთან ამას მოველი,
ეს ჰკადრე: „რა დავაშავე, ვიყავ ხლმით ბევრის მშოველი,
და თქვენც კარგა მაპატივებდი, – ცა წყალობითა მთოველი!“

20. მივიდა, მეფეს შეკადრა: „ნუ გაქვს სიტყვისა წყინება,
მეფეო, ის ვჰქენ საქმენი, რაც თქვენმან გულმან ინება,
რისთვის გამხადე მტერთ გულად, რად მეც ცრემლისა დინება?
და შენთვის რამდენჯერ ხლმის ვადა გლახ ჩემან ხელმან ინება!“

21. მეფემ ბძანა: „ეგე საქმე არ გავლია ჩემსა გულსა,
ვინ მოგკვლევდა, რასა ჰქვიან, მომდგომსა და ჩემს ერდგულსა,
ნამსახურსა თავგაწირვით, კვიპაროზსა სწორად რგულსა,
და ვინც რომ გითხრა ეგ ტყუილად, შევიქ დამწვარ დადაგულსა!“

22. მაგის მთქმელი არ იქნების, იგი კაცი თუ არ მამცე,
მამული და სამყოფელი სრულ უკლებლად ახლავ გავსცე,
იავარ ვჰყო სამყოფთაგან, თავსა ზარი მაშინ დავსცე,
და შენით მინდა მე ლაშქრობა, ნალარას და საყვირსა ვსცე!“

23. ესე სიტყვა მოუტანა, მეფე მართლობს მეტად თავსა!
„დამიჯერე, ასრე შორს არს, ვით არ შევა სპილო ნავსა!“
ერთხან ჩავჰყევ, არ დავჰკარგავ, ჩემს ჭირნახულს შევიქ ზავსა,
და იგი კაცნი კვლავ მოვიდეს, მე მეტყოდეს სხვას იგავსა.

24. მითხრეს: „ერთხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და ღალატობას,
ჩვენ ნუ გაგვცემ, თვარ დავგზოცენ, შენ მიხვდები ფიცის გმობას,
დაგვიჯერე, ნუ მოელი მეფისაგან ხვალ დანდობას,
და ლუარსაბის სიკვდილს გადებს, სულ ამას იქს სიტყვის თხრობას.“

25. კიდევ გავგზავნე მროელი, ვაახელ მოციქულები:
„მე მთქმელთა კაცთა ვერ მოგცემ, გინდა რომ შეუქნა წყლულები,
ლუარსაბ მეფის სისხლს მადებთ, გაქვთ სადმე სიტყვა თქმულები,
და მაგრა თავი დამ შეგკადრო, თუ თქმადლა შემრჩეს სულები!“
26. მეფეს ებძანა: „აწ გითხრა სიტყვა უცთურად მთელია,
ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია,
მაგრა მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია;
და ამჟამად ისრე არვინარს წამების გარდამხდელია!“
27. მაგრა მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარე!“
რა ესე მესმა, შევიგენ, ვჰთქვი: „არის ჩემზე მწყრომარე,
მოციქულთ უთხარ: „ვყოფილვარ მე სადმე ცუდათ მმრომარე,
და მეფეთ ტახტისა მაქცევი, არა თუ შემამკობარე!“

6

კარი მეორე

28. შევსთვალე: „მეფევ, ისმინე ეს სიტყვა გათავებამდი,
მეფეს ლუარსაბს როს ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი;
ოცის წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი,
და უწინაც მაპატივებდა, სამუდმოდ გვერცა ხლებამდი.“
29. ხანი რამ გაჰხდა, მოვიდა ამბავი ლაშქართ ყრისანი,
თათარხნის შემოგროვება, თრიალეთს გარდმოსვლისანი,
მან იარალის უბძანა: „შენ იცი შეყრა გზისანი,
და თან ზაქარია წამოგყვეს, ყმანი არ გინდა სხვისანი!“
30. გზანი დაცევით, თქვენ ქენით კარგრიგად ყარაულობა,
თუ ჯარი ნახოთ, – გვაცნობეთ, ნუმცა ჰქნათ თავის წყლულობა!“
მათ ვერა უგრძნეს ლაშქართა, ქნეს სხვას გზას გაპარულობა,
და ბოლოს მათგანვე მოიკლნეს, ქრისტეს შესწირეს სულობა!
31. მათ თრიალეთი გარდმოვლეს, თან აჰყვენენ მანგლისელები,
ზოგნი ნამგლითა მოსდევდეს, ზოგთ ხელთა ჰქონდა ცელები;
კველთა, ოძისი დადაგეს, არა ჰყვა შემნახ მცველები,
და მეფის სვიმონის ხლმის ქნევა, თურმე, არ ახსონსთ ძველები!
32. კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღდელია,
ლახტითა სცემდეს: „წავგიძებ, გზა რომელ გარდამსვლელია?“
ერიქალზედან ავიდნენ, ხუცესი წინწინ მვლელია;
და აწ ნახეთ, როგორ მოუა, რის ჭირის გარდამხდელია!
33. გოსთიბის თავს რომ მოვიდეს, ჯერ არ ჩაევლოთ სულებით,
უთხრეს: „მეფეზე მიგვიძებ, უკან მოგყვებით სულებით.“

ორს კაცს ეჭირა მხარ შეკვრით, ხელი ხელზედან სულ ებით,
და მღდელმან გულში თქვა: „მე მამკლან, არ დავიკარგვი სულელებით!“

34. ეს განიზრახა: „მეფეზე მიუძღვე ჩემის შიშითა,
თან დავიდევნო ლაშქარი, უმრავლე ზღვისა ქვიშითა;
ესენი ფაფარუჭობდენ გახარებით და იშითა,
და არვინ დავრჩებით უკვდავთ, ვინც რომ დედითგან ვიშვითა!“

7

35. ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი,
ცხირეთზედ დიად შორს დარჩა, მყარი ვლო სხვის სამძღვრისანი,
მღდელს თავი გააგდებინეს, წამებით სისხლთა ღვრისანი,
და მაშინ ერთ კაცად კმარიყო, რაც ვნახე ჩემის ძმისანი!

36. მეფე ცხირეთს ბძანდებოდა უგრძნაულად, მოსვენებით,
მეც გვერც ვახლდი, იგ მწყალობდა სიკეთით და თავის ნებით.
გარდმოვებდე, სულ მოიცვეს დაბლა მხარი, ვიქმენ ვებით,
და გულსა უთხარ: „მე ქართველნი მათ შევაბა კაის ცნებით!“

37. მეფეს ვჰკადრე: „ნუ დაიძვრი, დამაცალე შვიდს ჟამს ჯერე,
რაცა გკადრო, ის ისმინე, სიტყვა ჩემი დაიჯერე,
შენს წინ მოვჰკვდე უსაცილოდ, ფიცი ჩემი ეს იჯერე,
და სარდრობით და კაის საქმით, ნახავთ, ვითა შევაჯერე!“

38. დამიჯერა, მეფე დადგა, მე კავთისხევს ვიწყე რბენა,
ბართიანთ ვის შეეტყო, მათ დაიწყეს კვლავ მოდენა,
ვინც ვიპოვე შევაგროვე, ოთხასი ვჰთქვა ან რამდენა? –
და ღვთით მოხდომა დავანახო, მათ ცოლთა ქნან ცრემლთ მოდენა!

39. დელუმაჰმადხანს ვაცნობე: „წამოდი, მალე ირები,
მალ მოგვეშველე, შეგვექნა დღე რამე გასაჭირები,
ნუ გაგვიდრკები, აქამდი ჩვენ ერთად გვექონდა პირებით!“
და არვინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯოხით გზირები.

40. მეშვიდეს საათს მეფესთან მოველ, მოვხვივე ჯარია,
აწ ნახავთ, როგორ შევიქმენ თავისა გამსაჯარია,
ზაზა ციციშვილს იცნობდით, როგორ გულ სრული არია,
და მას გვერც ვიახელ, მრავალი კაცი შეჰვექმენით მკვდარია!

41. ნიაბთ ბოლოს სხერტა ჰქვიან, არის რამე მცირე ჭალა,
ზაზას ვახლდი, იქ წინ დავხვდით, გული გვაქვს და მცირე ძალა,
ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ მალა,
და მორწყულს ხნულში შემოცვივდეს, სისხლი მათი იქ გამშრალა!

42. ისინი ორნივ დახოცეს, ჩვენ დავრჩით, იყო ველია;

შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოგვგონდა საქმე ძველია;
ჯილოსანთ კაცთა უტყუბეთ, წინ იყვნენ, არ ჰყვა მშველია,
და ზაზასი მიკვირს იმ დღესა, თუ რას საქმისა მქნელია!

8

43. ფაშები იყვნეს, რომ ვჰხოცეთ, გარდახლტა, მოსჭრა თავია,
სისხლით შეღება დოლბანდი, კაბა მწვანე თუ მავია,
მათ მოგვატანეს რაზმითა, არ ჰქონდა ჩვენზე ზავია,
და წვერით კბილს თავი მიიცა, ცხენსა მოახლტა: „ჰაია!“

44. მაშინ მტკვარი მდიდრობდა, ჟამი იყო თიბათვისა,
მუხრანთ მპყრობს და ერისთვეებსა ვჰკადრეთ: „გვინდით ამისთვისა!
ამილახორს მოახსენეთ, მტერი ცეცხლზე დაერთვისა!“
და მალ ავლევით ზემო ქართლი, სად ფრონენი მტკვარს ერთვისა.

45. დელუმაჰმადხან მოვიდა, შვიდასი კაცი ხლებოდა,
გულსრულობასა ჩემობდა, მამაცად რასმე დგებოდა,
„მგლის, ტყაოსანთა“ შევებნეთ, ომი მწვე შეგვეძლებოდა;
და ვიცი, რომ ხმალთა ჩვენთაგან მათ გული დალებებოდა!

46. აიყარნენ წასასვლელად, მათ პირი ქნეს ყარაღაჯით,
კაცი კარგად მოაგვარებს დიდს ლაშქარზე კარგის გარჯით!
მეფეს ვჰკადრე: „აწ ქართველნი მე ავაგსო მათის ხარჯით,
და ბმანება ქენ, ნურვინ არჩენს შეხვეწნით და ნურას აჯით.“

47. წყნარა მიდიან რაზმ წყობით, ჩვენ უკან მივსდევთ ნელაო,
მათი შებმა და შეტევა არავინ გაიძნელაო,
მე სადავენი შევტაცი, ვინ შუბი წაიგრძელაო,
და სამოციათასს კაცზედა როგორ არ გვინდა შველაო?

48. ერთი ტერტერა გორიდამ მოვა უგრძნულად გზაზედა;
დოესის ბოლოს წინ დახვდეს, გულს ელდა ეცა მაზედა;
გაფრინდა, ხიდის ფიცრები მან გარდიყარა წყალზედა,
და თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდენ მზაზედა!

49. გმირთ ზღაპრულს წიგნში სწერია ჯეონის გავლა ადვილად,
მდევრისა ველარ მიწევა, ვერც ჯავრთ ამოყრა ადვილად.
გვივისგან ქაიხოსროსი მორჩენა კარგა წადილად;
და მათ დავაშხამებ ხვალ დილას, რაც რომ მომზადონ სადილად!

50. იმ ღამეს მართლმორწმუნენი იყვნეს სულ ღამე თევითა,
ზოგნი ხშირ-ხშირად ვდგებოდით, ზოგნი აქა-იქ თევითა,
ღირსნი კაცები გვიახლნეს, ვესევდით ჩვენ მათევითა,
და არ იყო მათში ცთუნება გველისგან იმათ ევითა.

51. დილა გათენდა, ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი:
მარიამ დედა ქალწული და მერმე ძელი ცხოველი,
კვართი და მკლავი მარჯვენა, ღვთივ ქმნული სვეტიცხოველი:
და თქვენ დაგვიფარეთ, დაგვცევით, რა წყალში ვიქმნეთ სოველი!
52. გაღმა მტრის შიში არა გვაქვს, წყალს ხმალი არსით ეკვრისა,
ტანსა ჩავიცვით ჯაჭვები, ტალიკით აღარ ეკრისა,
ჩვენი სიკვდილი აღარ გვჩნდა იოტად, ანუ კეკრისა,
და გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა!
53. შევედით, წყალსა გავედით, გვეგონა თავი მცურავი,
ცხენები წყალში ფრტვინვიდა, უკულმა აღარ მბრუნავი,
იმიერ ნაპირს გავედით უბე და კალთა მწურავი,
და აწ თათარხნისას გაცნობებ, ვით შევჰქნა მოსამდურავი!
54. წყალს უზიანოდ გავედით, ეს დიდი სასწაულობა!
ივნისში მტკვარს ვინ გასულა, არ მიხდომოდეს რჩულობა?
არ მოგვრჩობია ერთიცა, იმდენი ერთა სულობა,
და ცხენთ ცურვა გაუადვილდა, გასვლა თუ გამოსულობა.
55. სურამის ბოლოს მოვიდნენ, ქართველნი შევიყარენით,
იმათაც დიდად იამა, ჩვენ ხომ მწვედ გავიხარენით,
ომსა ბედევდეს ყველანი, არვინ არ დავიზარენით,
და ღმერთო, მოგვხედე, თათარხნის რომ სისხლი ხარბად ვღვარენით!

10

კარი მესამე

56. რჩევა შეგვექნა ომისა: რას დროს შევებნეთ, რაგვარა,
დაშურება სჯობს, სიჩქარე, ვირემდის აიბარგარა,
ხანძრად მოვედვნეთ, როგორაც ბალახი ცეცხლმან დაგარა,
და ქართველთ ხმალს ქვეშე, ღვთის ძალით, თათრებმან ვერ იმაგარა.
57. ზოგმან თქვა: ახლავ მიუხდეთ, თავს გარდვადინოთ მტვერია!
რადას უდგავართ უომრად, რა ახლო ვნახეთ მტერია?
ზოგმან თქვა: „ზეით მიუხდეთ, შეიქნან გასაშტერია,
და მათ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს პატრონ ტერია!“
58. ნუგზარ თქვა: „ღამით დავესხნეთ, მთის კაცთ ეს მიყვეს რჩევანი;
მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანი!“
სხვათა თქვეს: „დილას მიუხდეთ, შევქნათ ბედისა წყევანი,
და ერთს წარეცციოს ასი და ასს ათასისა ძლევანი!

59. მე ვპოქვი: „მძნო, დამიჯერეთ, ესე ომი მე დამდევიტ,
ჩემი საქმე დღეის უკან ანდაზად და ხიდათ დევიტ;
გული მტკიცედ დამიყოვრეთ, მართლა თავი გარდადევიტ,
და თვალი მიგდეთ ზოგზოგებმან, მათში ვიქმნე, როგორ დევიტ!

60. დილაზედა რაზმი ვაწყოთ, მათკენ ვიქმნეთ ჩვენ წახრილი,
სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ თხრილი,
იმას ასრე გარდავიდეთ, არვინ იქმნას გან გახრილი,
და გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს ედვას ხრილი!“

61. ერთი კაცი წამოსლოდათ, ნიაბის თავს დაეჭირა,
მოსვლა მისი, გამოპარვა, ჩვენთვის ლხინი, მათთვის ჭირ ა!
ვპკითხე: „ომსა როგორ ბედვენ, შებმისა აქვს საეჭვი რა?“
და მითხრა: „უმძიმს მათ გარდმოსვლა, გზა და წასვლა გაეჭირა!“

11

62. ესე თქვა თუ: „გროვდებიან, ქვიშას რასმე პარკს ჩაპყრიან,
ხან ისრებსა შესჭიდებენ, ხან ქურუმნი რამლსა პყრიან,
მესტროლაბე სტროლაბსა შლის, მიმსვლელს უკან უკუპყრიან,
და მოსწყენიათ უცხოთ რასმე, ვეჭობ, ყურებს ჩამოპყრიან!“

63. ეს გავიგონე მათგანვე, თქვეს: „საქმე მოგვდის მარცხისა,
რაცა ნიშნები ვიცოდით, აღარ დგას, წყალი გარცხისა,
სრულ ჩამოცვივდა ბურჯები, ეტლებმან ქვე დანარცხისა,
და თილისმთ ნაქნარი დაშალეს, რკინა პქონდათ თუ რაც ხისა“!

12

კარი მეოთხე

64. ესე ამბავიც გვიამა, ღმერთი უწყრების თუ რევდა,
იმ კაცსა ვპკითხეთ, საბრძოლი მათში რა უფრო ურევდა?
გვითხრა თუ: მშვილდით იბრძვიან, ფოლადი ისრის პირევდა,
და თოფი და შუბი არა აქეთ, საყალნო მწვე ქვითკირედა.“

65. თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე, ქამანდარები,
– ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!
აქათ ესენი ესროდეს, ზეით გზა განაკარები,
და რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს ჯაჭვზე ჩხარები!

66. რომე ვიწონეთ ჩვენზედა უფროსნი ექვსის ზომითა,
ვთქვით: „გამარჯვება ჩვენია, გავძლებით მათის ომითა!“
რაზმი გავაწყევ, მივმართე მკლავითა დაუშრომითა,
და სისქეს ჯარს პირველ მიუხე, სისწრაფე, დიდის ნდომითა.

67. მეფე გულსრულად მობძანდა, შექნა შუბისა ძგერება,
ვისაც მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება!
ფიცხად იბრძოდეს ქართველნი, რაღა უფრო მტერება,
და ხნაშა ხნუშისა ხმა არის, იმათ ვინ მიეფერება!
68. ომი გახშირდა, შეუქმნეს ცხენ-კაცთ თოფისა სროლანი,
ზოგი ბორდღევდა ცხენს ქვეშე, ზოგთა აქვს მკვდართან წოლანი;
დარბაისელნი იბრძვიან, მეფისა კაამყოლანი,
და ომში ისინიც მოგვესწრნეს, ვის ექმნა უკან ყოლანი.
69. ჩემი რა ვჰოქვა, დიდად მძულდა ტრაბახი და ცუდი კვება,
ველარ დადგის უნაგირზედ, ვისაც ჩემი შუბი ეხა!
სად მივმართო შევაძრწუნი, ლახტის თქვიან, არის ჭება!
და სული მეც ხომ ამოვართვი, რას უზმიდა მეტსა მეხა?
70. ვჰხოცდით გულმყოვრად, ვიბრძოდი, სწორად რაზმს შუა ვბრუ-
ნევედი,
რომელსაც სისქეს ჯარს მოვხვდი, ერთმანერთს შიგ აურევედი,
რომელიც ჯილით წამოდგის, იმის სისხლს უფრო ვსურევედი,
და სიცხემან ძალი დამმართა, ოფლსა არ მოვიწურევედი!
71. ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია;
მასუკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით ავაგსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, ხმაღს ხელი მივჰყავ, ვაყენე გუბია!
და პატრონსა ჩემსა სხვა მტერი ნიადაგმც ასრე უბია!
72. იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა,
თათარხნის ჯარი გაწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა,
მეფისთვის თავს ვინ დაზოგავს, ტანსარო გულად უხვისა?
და მრავალთ აბჯრისა ცემისგან თქვეს თუ: „ხმა არის ქუხისა!“
73. ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმაღ ისარია;
სითაც მეფემ ცხენი იგდის, დააშვენის ის არია;
ვისაც თავსა ლახტი დაჰკრის, არ ეგონის ი სარია,
და ღმერთო, მიეც გამარჯვება, ვინ რომ რაზმი ის არია!
74. დილას შებმულთა ცხრას ჟამმდი ჰქონდათ სისხლისა დენანი,
მაშინდელს გამარჯვებასა მართლად ვერ მოსთვლის ენანი,
კვრისა და ცემის ხმა იყო, სხვისა არ გვექონდა სმენანი,
და მწარეს გვესროდეს ისარსა საყალნო ან სარჩენანი!
75. ზოგს მოკლე შუბი ეჭირის, მარჯვედ ხმარობდეს სროლითა,
ვის დაგვაცდენდენ, მაშინდა მიუხდით ჩვენ ოროლითა,
ავს ჯაჰოსანსა ვის ჰკრიან, შექნიან ცხენს ქვეშ წოლითა;

და თორმეტი მარტო მე მამხვდა, ვერა მქნეს ჩამოყოლითა!

76. ისრის სიხშირე რა გკადრო, თუ რამდენი რომ მამესო,
ჯაჭვშიგან მამხვდის ნამტვრევი, სადაც რომ ხელი მამესო,
ომი მწყუროდა მას დღესა, მწადს მათი სისხლი მამესო,
და ამ ჭირნახულის მოქმედსა ბოლოდ აღარა მამესო!

77. გაგვემარჯვა, ამოვსწყვიტეთ, დავიპყრენით, დავჰხოცენით!
რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისრე ვჰქენით,
თავი მოდის მეფეს წინა, თუ რამდენი, ვით ვჰთქვა ენით,
და სხვა მისებრივ გამარჯვება არ მინახავს, არც ვარ სმენით!

78. მეფემ ბძანა: დღეს, ქართველნო, ვით გმართებდა ჰქენით ბრძოლა,
ვჰფიცავ, რომე ჩემისთანა არვისა ჰყავს ყმისა ყოლა,
თავნი ყაენს გაუგზავნოთ, გარასპიმ ქნას თან მიყოლა,
და ძმათ და შვილად მიმიჩნიხართ, უფროსნი ხართ კამყოლა!

14

79. ვინრომ ტყეში შემძვრალიყო, მესამეს დღეს მოჰყავთ კრული,
რახტ-უნაგირ ვერცხლოსანი, ზოგი ოქრო გარდაკრული,
მე არ გაეჰყვი საშოვარსა, ვინ ვჰქნი ხმლისა შემოკრული,
და ვინც გამყარა მე მეფესა, არსმცა წყეულ, დასაკრული!

80. ომი გარდასწყდა, ვამოყვსეთ ხელი და გული ლხინებსა,
კვირით კვირამდი სმა იყო, ნეტარ ვინ მოიწყინებსა?
ყირმიზს ღვინოსა სურები თასზედან მოადინებსა,
და რა ზარხოშობა შეგვექნის, ხან ხელი მივჰყვით მინებსა.

15

კარი მეხუთე

81. ხანი გარდაჰხდეს, ამაში მე დავხატოო მეფესა,
იგ მხიარულად მეწვია დარბაზსა, კარგსა სეფესა,
უხვსა, გულტკბილსა, ჯომარდსა, ნიადაგ ვარდთა მკრეფესა,
და ბოლოს გესმოდესთ, რას უზმენ ამა ამბისა მეფესა!

82. მესამეს წელსა გავმართე მე ლხინი, ერთა ჭამება,
და მყვანდა – ტურფა, შვენებით მჰრეტელთა გულის ამება,
მეფემ თურ თვალი მიაპყრა, შექნა იმისთვის წამება!
და გამარჯვება და ლხინთ ნახვა ყველა შემექმნა შხამება!

83. არს გარიგება კარგვარი მის მის ალაგსა დასხმანი,
ვის ღვინომ თავი მოსტაცა, შეექნა გარეთ გასხმანი.
მეფემან ბძანა ჩემის დის, მწადს მისგან ღვინის დასხმანი!"

და მე უთხარ: „ღვინო დაუსხი, ვეჭობ, ქნა არ გარდასხმანი!“

84. მეფემ თურ თვალი შემსჭვალა, მან მოინდომა მრუმეზა,
დედაჩემს თურმე აცნობეს, შექნა ვაი და უშეზა,
მეფემ შინ კაცი შეგზავნა, დაუწყო ქალს დაშუშეზა,
და რასაც ეს საქმე გარდმხედვს, ვის ძალუც წყლულ დაშუშეზა!

85. რა შევიგენ, მე ესე ვჰტყვი: „არ მყოლოდა ნეტამც მე და!
რომე მეფემ ესე მიყოს, გამოვდგებით ისი მე და?
წყალობას რომ მპირდებოდა, თურმე იყო ეს იმედა?
და შერცხვენა და ხლმის შემოხსნა ნეტარ როგორ გამიბედა?“

86. მეფეს კაცი მიუგზავნე: „ეს არ იყო თქვენგან ქნანი!
რომ ჩემი და გავაბოზო, სიტყვა ნუ გაქვს ამის თქმანი,
ნუ მიჰყვები ბოროტს საქმეს, ნუ გაქვსთ ცუდი გულის თქმანი,
და თვარემ თავი მოგაკვლიო, არ მაქვს სიტყვის უკუთქმანი!“

87. ეს მინდოდა, შვილისათვის მე დამეგდო ხმლის სახელი,
აწ ესე თქვან: „მოურავის სახლი გახდა საბოზველი?“
ამ საქმესა ჩამომეხსნა, მე წყალობად ამას ველი,
და რად დაგვიწყდა, აღარ გახსონს ომი შარშანწინანდელი? ***

* დედანში: დღეს.

16

88. მეფემ ფიცი შეუთვალა: „მაგას მე შენ არ გკადრებდი,
მაგრა ცოლად იგ შევირთო, მხიარული ვიხარებდი,
ქართლს დაგიჯდეს და დედოფლად, გაიხარე, მით იშვებდი.“
და შევსთვალე თუ: „ნუ დამკარგავ, აგრე ადვილ ნურც დამთმობდი!“

89. როდეს გნახვენ დიდნი კაცნი, შეგიკვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდათ დაქერასა და სუბუქად აგდებასა,
შადიმან არს ჩემი ქიშფი, გეტყვის სიკვდილს, გაგდებასა.
და ახლავ მიჯობს ჩამომეხსნა, ბოლოს ჭირში ჩაგდებასა!

90. შადიმან ამაღ დამქიშფდა, აქვს მამაცობის ძრახვანი,
ერთხელ ეს უთხარ: “შენს ხმალსა, არა აქვს კვეთა, ახვანი!“
თურმე შეექნა გულშია სევდა, კვნესა და ახვანი,
და სხვას რას დამაკლებს ენითა, არამც მომიდგას მახვანი!

91. იმავე სიტყვას მოგახსენებ, ხემწიფესა ზესთა ზესა,
ჰკვიანსა და გონიერსა, სხვათ ძალგულთა უფრო მხნესა,
სვიმონ მეფის შვილისშვილსა – ნუ მიჰყვები ნდომის ზნესა,
და თქვენც ის ქენით, მამაპაპათ, რომ მიჰყრობა სითაც ქნესა!

92. კახთ მეფისა, ეს მეც ვიცი, არ გხდებისრა შესართავათ,
სხვა ბატონი ვინც არიან, თავმამწონე გვართ, თავათ,—
სიხარულით ქალს მოგცემენ, ტკბილის სიტყვის დასაზავათ,
და ჩამომეხსენ, დას ვერ მოგცემ, სულ ნუ შემიქ გასათავათ!

93. ებძანა თუ: „არას საქმით არ დავიშლი მაგის შერთვას.
ნეტარ რასთვის მიზარდები მოცემას და ნების შერთვას?
თუ ბოროტი მე რამ ვსძრახე, ახლა ხედავ წაღმა შერთვას?
და ნუ უპირებ ცრემლთა ჩემთა ზღვათა შიგან სადმე შერთვას!"

94. მეფის დედას, დედოფალსა, შევხვებეწე მუდარებით:
„თქვენი შვილი ჩემს დასა მთხოვს, მე არ ვაძლევ ჩემის ნებით;
არა ვღირსვარ, დაუშალე გამორჩევის კაის ცნებით,
და ძმა, შვილი და თავი ჩემი იმსახურე გვერცა ხლებით!"

95. ებძანა თუ: „არას მიჯერს, თვარ ვმოყრობდი დადიანსა;
შენ ხომ მაშინც ერდგული ხარ, ჩვენთვის დასდებ თავს და ჯანსა,
რომელიც სწადს, მაგან იცის, ნუ შემამთხვევთ ცუდს გარჯანსა,
და ვეფხვსა ადვილ ვინ შეიპყრობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსა!"

96. კვლავ მოვახსენე: „მოყრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესია,
თქვენი ყმა არვინ არ არის სხვა ჩემგან უმრწემესია,
ჩემი და გაუთხოვებლად არ დამირჩების, ესია;
და გაგემარჯვების, დამეხსენ, ნუ შემქმენ სევდით მკვნესია!"

17

97. გაჯავრდა, ესე ებძანა: „შეხოცა გინდა, ვიცია!"
მერმელა კვადრე: „მეფეო, მიბოძე მართლა ფიცია,
რომ არ დამიგდო მასუკან, ეს სიტყვა დაამტკიცია;"
და მან საფიცარი მიბოძა: „არ მოვშლი, თუცა ვიცია!"

98. აღარ აგრძელა, მაშინვე იმან გაპირა ქორწილი,
სიხარულისა დღისაგან სევდა მაქვს უფრო ორწილი,
ზრუნვა და ფიქრი ბედისა ჩემი შეიქნა მოწილი,
და ქალი პირ ბროლი შვენებით, ბაგე-კბილ ტურფა მოწილი.

99. მეფე ქვათახევს წაბძანდა, ნოსტიდამ ახლო არია,
ჩემი დაც თან წაიყვანა, დღე ჰქონდა გასახარია;
წინ მოეგება მაზარით ნასიძე წინამძღვარია,
და მან თქვა: ქვათახევს ქორწილი მეფეთა გასაკმარია!"

100. მღდელი იქ დახვდა მცოდინე, იოსებ კანდელაკია,
მისგან იკურთხა გვირგვინი, არ თქვა თუ დღე რამ ნაკია!
სრულ შინა ყმანი მირბიან, აღმართია თუ ვაკია,
და ვინ იცის, დილა რასა შობს, თქმულა, თუ ღამე მაკია?

101. ხანი გამოჰხდა, შეიქნა თვეები ხუთად თუ ექვსადო...
კავთისხვეს დადგნენ, რაცა ქნეს, სრულ ვერ გაუველ ლექსადო,
შემოკრბეს, უთხრეს მეფესა: „საცოლედ შენ ვინ, ეგ სადო?
და არ გიზამთ, ეგ არ იქნების, ნუ შეგვიქ ქართველთ მკვნესადო!"

102. ჩემს მოყვრებს მწვე უხაროდათ, სხვანი ჩურჩურით მჩხუბევდეს,
მაშინლა უთხრის სუფრაჯმა, როდესაც მეფე სუბევდეს;
მე საფიცარი ხელთ მქონდა, შენახვით კარგა უწევდეს,
და თუ მე უცილოდ შემეტყო, სუფრაჯის სისხლი გუბევდეს!\$

18

კარი მეექვსე

103. წავკისის თავს მეფე იდგა, რომ მაისი გახდა ოცათ.
მეფეს წიგნით დავებარე: „მოდო, ვიქმნეთ ნადირთ მხოცათ,
ყარაია ვინადიროთ, მშვილდი ჩვენ ვჰყოთ ხელთა მოცათ!"
და შიგნით ღალატს მიპირებდეს, მზანი ექმნა გარეთ მოცვათ!

104. მეფე სიტყვით მოეტყუათ, მათ რჩევაზედ ჩაეყოლა,
ერთხელ ეთქვა: „მაგის მეტად ნულარ მეტყეით მაგას ყოლა,
ნეტარ ყმალა ამისთანა სხვას მეფესა ვის ეყოლა?“
და დიდს ომსა და გაჭირებას, ნეტარ ვინლა წამეყოლა?

105. მეფემ უბძანა: „ამ სიტყვას არავის გეტყვი ფერობით,
მან მამარჩინა სიკვდილსა მძლავრს ღაშქარს გასაშტერობით,
მე რომ იმისი და მედგას, თქვენ რა გრჯისთ იმის მტერობით?
და თუ მცოდებს, დასაც დაუგდებ, მას გავჰხდი მიწა-მტერობით!"

106. დაუჟინეს თუ: „რას გარგებს, აბა გყვანდეს მარტო ისი,
გვერცა არვინ მოგიდგებით, შემოგმარცოთ ძმა და თვისი!
თქმულა: „სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი,
და ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი!“

107. ბოლოს ეთქვა: „იმის დასა მე გაუშვებ, გავირიდებ."
იმათ ეთქვა: „არ იქნების, თუ არ მოჰკლავ თავს არიდებ,
იმას ცოცხალს დას დაუგდებ, ჩვენსა დღესა ხომ აბინდებ,
და არ იქნების, თუ არ მოჰკლავ, მართლა გულს არ გაიწმინდებ!"

108. დაესკვნათ ჩემი სიკვდილი, რა დილამ შექნას თენება;
ბაკა ხერხაულიძის მაქვს ფარემთ ხუცის ხსენება,
მან გაიგონა: „ხვალ მოვჰკლავთ", – ეს თურე ღმერთსა ენება;
და გამომიარა, მან მითხრა: „აჩქარდი, გიჯობს ცხენება!"

109. ფიცით მითხრა: „უსაცილოდ ასერ მოვლენ ჯარი მკვლელად!"

ახალუბზე ხმალი ვირტყე, ცხენისაკენ ვიქმენ მვლელად,
სახურვიანს ცხენს მოვახლტი, უძოსაკენ ვიქმენ მსვლელად,
და უგრძნეს, მიმძიმს, ფარეშთ ხუცესს მას ცხვირისა ექმნეს მჭრელად.

19

110. სამადლო გარდმოვირბინე, გამოველ კლდესა ნეგოსა,
ლაშქარი უკან მომდევდა, ხელი ხმალს მაგრა ეგოსა.
შადიმან მოდგა კლდეს გაღმა, შემძახა: „მართებს ეგოსა.“
და დავბრუნდი, უთხარ: „მოზმანდი, ვნახოთ, ვინ დაიბეგოსა?“
111. რბევით მოველ იმა კლდესა, სად რომ ჰქვიან გელიყარა,
იქ ქვეითი კაცი დამხვდა, თავი დაბლა დაეყარა,
ჩამოვხე და გამოვართვი, მშვილდ-ისარი აეყარა,
და ჩახჩურს ვამლევ ფეხიდამე, ქალმან-წინდა წაეყარა.
112. სახურვიანს ცხენსა ვიჯე, მაგრამ იყო დიალ კარგი,
მშვილდისარმაც გული მამცა, ვჰთქვი: „ეგებ არ დავიკარგი?
თუ ცოლ-შვილი გარდვახვეწე, მე არ მინდა სხვა რამ ბარგი.
და ნოსტეს ლელვი აღმოვსთხარე, თაო ჩემო, სხვაგან დარგი!“
113. დიდგორი გარდმოვიარე, გზა ჩავდე გოსთიბისანი,
ცოლშვილი ტყეში ავასწარ, მე არ ვინაღვლე სხვისანი,
ცოტა რამ ყმათ წამოელო ოქრო, თვალ-მურასისანი,
და ასრე მომიხდა ქორწილი, მეფის რთვა ჩემის დისანი!
114. მთიდან დავხედე, დაიწყო ქვეშედამ ჯარმა დინება,
სასახლეს ცეცხლი შეუდევს, მით უფრო მამეწყინება;
ვინ ქიშვათ იყო ჩემზედა, გულსა მიეცა ლხინება,
და აიფორაქეს ქონება, გარეთ იყო თუ შინ ება!
115. მამის განძიც ბევრი მქონდა, უფრო ჩემი ნაშოვარი,
ყველამ ერთ დღეს ჩაიარა, მას მოუხდა გრიგალ ქარი!
მაშინ დავგმე ეს სოფელი, ვჰთქვი თუ: „რა მწვე ცუდი არი,
და გუშინ მქონდა სიხარული, დღეს ტირილი შესაზარი!“
116. მძებნიდეს მთასა, მადნარსა, ჰქონდათ ყოველგან ჩხრეკანი,
დამაგდებინეს საყდრები, ველარ მესმოდა რეკანი,
კლდეებში ბორდღვა, სლვისაგან ფერხთ აღარ შემრჩა მე კანი;
და გულსა ვეტყოდი: „გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი!“
117. ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია,
მითხრეს თუ: „სითაც აპირებ, გზის წასვლა სიადვილია,
კაცი ხარ მწვე ჭირნახული, ბევრს ომში გამოცდილია;
და ზოგჯერ მზის შუქი მოგხედავს, ზოგჯერ დაგფარავს ჩრდილია!“

118. გზები შემიკრეს ყოველგან სამცხის მთისა და ბარისა,
კაცნი ჩავგზავნე შუადამ, თქვენ ნუ გაქვთ შიში ჯარისა,
მათ შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისად,
და უნაგრიანად მამისხეს, ვჰტყვი თუ: „ეს კარგი არისა!“

20

119. წავკისს რომ ვიდექ, პაპუნა ჩივამე თანა მხლდებოდა,
ჯაჭვი და შუბი ეტაცა, ერთი თვით იმას სცმებოდა,
მომძებნა, მპოვა, მამართვა, მას სწადა, მეცა მნებოდა,
და იმხელი კაცი სიმარჯვით მართ უკეთ არ იქნებოდა!

120. გოსთიბეს იყო სხვა ჩემი ძოვნად ულაცი ცხენია,
ზოგ ზოგი თოხარიკები, ზოგსა აქვს საფიცხენია.
გულსა მდაღევდა სახმილი, ალისა მე სიცხენია,
და ვაი სიკვდილი, დაკარგვა და საქმე შესარცხვენია!

121. ყმათ მითხრეს: „სითკენ წავიდეთ, ერთი გვხამს გასაბედია!
მე უთხარ: „ყველგნით მალონებს ჩემი წერა და ბედია,
გზები დავსჩსრიკო, სით მიჯობს, არა მყავს მოაბედია;
და წავალ, ვინც დამხვდეს შევაკვდე, დავიწვა ვით აბედია!“

122. მე არსით აღარ მეგონა უკვდავად გავლა გზებისა;
ცეცხლი მამიდვეს გარშემო ყოველგნით ანაგზებისა!
ყმათ უთხარ: „დიდგორს მივმართოთ, ვირ მოსვლა იყოს მზებისა.“
და თავს ვეტყვი: „ნეტარ რა მოჰხდა გაწყრომა მიზეზებისა?!“

123. ქალი და კაცნი ვინცა ვართ, შევკრბით, დღემ რომ ქნა ბინდება.
რასათვის წავჰხე უბრალო? ცრემლი ამისთვის მდინდება!
მთის თავს ვჰტყვი: „ჩემთან მყოფელსა გული ნუ შეუშინდება,
და ჩემთ მკვიდრთა ჩემთან სიკვდილი დასთმეთ, ნურავინ ჰმუნდება!“

124. იმ ღამეს წავლეთ დიდგორი, უგზოთ მათათ ბალახიანთა,
კოშკის თავს გზა გარდუქცივეთ, ჩავედით მალნარს მთიანთა,
შენობას თავს წავადეგით, ვერ გვიგრძნეს თელავნიანთა,
და ტყეში შევბრუნდით, სულ დგმული ვერავინ გვნახავს ხმიანთა.

125. თელავნის თავსა ხშირს ტყეში მცირე დგა ტბისა გუბენი,
იქ გაგვითენდა, დავდექით, ვჰტყვი: ვართო მცირე სუბენი,
ცოტა რაც გვქონდა თან გვახლავს, ყველას სავსე გვაქვს უბენი,
და გულს უთხარ: „ნეტარ აქ რა ვჰქნა, არ მოიხმარვის შუბენი!“

126. ფეხის მიწყნარვის დრო მოჰხდა. ღამეა მგონ ძილპირისა;
ჩემს სიკვდილს მსწრაფლ მოელიან, ცოლშვილი ამაღ ტირისა.
უთხარ: „ნუგემისთ, ღმერთია მამალხენელი ჭირისა,
და კიდევ წყალობით მომხედავს კვერთხი იესეს ძირისა!“

127. უთხარ: „წავიდეთ, ახლავ სჯობს, საქმენი მინაშურია,“
კარსანის თავი წავლევით, სად ახალქალაქურია,
ჩაველ, იქ საყდარს ჩამოვჭხე, ჩემთან მყოლოთ ლოცვა სურია;
და იქ მყოფნი არვინ დაგვიხვდა, მონათა ჭამეს პურია.

21

128. საყდარსა ღვთის მშობლისასა ჩვენ შევეხვეწეთ მუდარათ:
„ამ შეჭირვების მგზავრობას შენ ნუ გვიქ გასაცუდარათ,
გზა მოგვეც იორდანისა, ვინც რომ ხარ ნავთ საყუდარათ,
და დამხსენ რყევას და სარჯელსა, ვიქმნე სამ დასაყუდარათ!“

129. იქიდამ კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის შემტყობარია:
„დავედრე ხიდის მცველები, ნახე, არ არის–არია?
მართლად გასინჯე, შეიტყვე, გზის მცველი ბევრჯელ მცდარია,
და ეგების ძილსა შეეპყრან, მით თავსა დავსცეთ ზარია!“

130. ხიდზე ჩავიდა, გასინჯა, სამოცი კაცი ფთხილობდა;
მითხრა თუ: „დგანან ფეხზედა, ერთიცა არა ძილობდა;
ერთი ეშულლის მეორეს, სხვა თქვენს დაჭირვას ცდილობდა;
და „რომ არ შევიპყრა, არ მოჰხდეს“ – ამას ის უსაცილობდა.

131. რა ეს მესმა, „ამისთანა, ვჰტქვი, მიქნია ონარები?!
ამათ დავჰხოც უსაცილოდ, აღარ მინდა ფონარები!
გავლოთ ხიდი, იარაღთა მათთა ვიქმნეთ მშონარები,
და მომყევით და ნუ გადრკებით, ნუ შექნილვართ მცონარები!“

132. ყმათ მითხრეს თუ: „ზოგთა დაჰხოც, ზოგთ გარდიგდონ ფიცარია!
იმათ რა ქნან, ბძანება აქვთ, მეფის დანაფიცარია;
ხმას დაჰყრიან ძახილითა, გარეშემო ვინც არია,
და ვეჰვ, არ შერჩეს მეზობელთა, სახლი შენი, ვინც არია!“

133. ერთი თასი სქლად მოდიდო ვჰქმენ სვეტს ცხოველს შესაწირად,
არც მწვე ბევრის ფასის იყო, სამოც მარჩილ იგ საღირად, –
შევეხვეწე სვეტს ცხოველსა: „გამიყვანე შენ ნაპირად,
და ცოლშვილთ ცოდვას ნუ მაჩვენებ, დღე შემქნია გასაჭირად!“

134. რა შევსხედით წყნარა-წყნარა, ხიდის ბოლოს ჩაველ ნელა,
მტკვარი ნახეს, მდედრებრ შეკრთეს, ქალთა გასვლა გაუძნელა.
უთხარ: „გულსა შიში ნუ გაქვს, ღმერთი არის ჩვენი მშველა!“
და ცხენს მივეცით სადავენი, უბე-კალთა დაგვესველა!

135. ცხენნი ცურვით წყალს გავიდეს, მე ჩავიგდე სასწაულად;
ხიდის მცველთა ვერა იგრძნეს, ვერც შეიტყვეს ვერცა სულად,
ქალთ ღმერთს დიდი მაღლი მისცეს, რა რომ იქნენ წყალს გასულად!

და შენ დაგვიხსენ, შემოქმედო, მოწურვილნი აღსასრულად!

136. წავედით ნელა, მივედით მცხეთის სამრეკლოს ძირამდის,
გარდავჭხე, თასი ავიღე, მე შევაწივე შინამდის;
პირჯვარი გამოვისახე, აღარ ვარ მოსაწყინამდის,
და ცრემლი დავსთხივე ვედრებით, საყელოს ჩამომდინამდის!

22

137. კარიბრჭეშიგან ვილოცე, საყდარი დაკლიტულია,
თასი კარს წინა დაუდგი, მას შევევედრე სულია:
„გმონო, გმსახურო, მუნამდის ვიქმნე სულ ამოსულია!“
და არვინ მაცალა მის მკობად, სხვაგნით მქნეს მე წასულია!

138. გამოველ, შევჯე, წავედით, მივედით მისაქციელსა:
ნუგზარ მოვიდა კარგ სიტყვით, უყურეთ მისაციელსა,
მითხრა თუ: „ჩემს თავს რას ვაქნევ, ქვეყანა მისაქციელსა,
და ჩემის ქვეყნიდამ თუ მეტყვი, აღარ გყოფ მისაქციელსა!“

139. დილაზე თვითან წაბმანდა, მივიდა ახალუბანსა;
იმ დღეს იქ დავშრით, ქალებსა ვერვის ვნახევდით უბანსა.
მე ისევ გაღმა მეძებდეს, მალნართა უბან-უბანსა;
და ლხინი შემექმნა ტირილად, ზარსა სოფელი უბანსა!

140. წავედით, დუშეთს მივედით, ვიჩივლე ჩემი ჭირები,
ნუგზარ ერისთავს უამბე, როგორც მითავეს პირები,
მან მისი ქალი რა ნახა ცრემლითა ანატირები,
და მითხრა თუ: „საქმე გავხადო მეც შენთან გასაჭირები!“

141. მითხრა თუ: „ყმისგან პატრონის მოყვრობა არის ავები,
ბეზლობას ვერ ასცილდება, საქმე არს გასათავები,
შენ ხომ ზედ უნდა წააკვდე, მისთვის მოიჭრა თავები,
და ან აგრე მოვა გულისა სევდითა დასაწვავები!“

142. თვარე მეც შენთან მოვკვდები, რასაც იქ, მეც ვარ მქნელია,
„სჯობს საყვარელსა მოყვარე“ – ესე ნათქვამად ძველია.
დასდგები აქა-გახლავარ, წახვალ, – ვარ წამომსვლელია,
და შენთან სიკვდილს და გვერც ხლებას არვინ მყავს მე დამშლელია!”

143. ვკვადრე თუ: „დავსდგე, რას ხელს მყრი, სადამდი შემინახევდე?
ყმათ ხომე არც თქვენ მიახლებ, მუდმად სევდითა ვახევდე,
ჩემსა სახლსა და მამულსა თვალით ვერ დავინახევდე,
და ჩემსა ბედსა და წერასა ვგმობდე და ავად ვძრახევდე!“

144. მოვახსენე: „ერანისა ხემწიფესთან მე ვარ წამსვლელ,
სიკვდილს მაშინც გარდავრჩები, შევეხვეწო, ვიქმნე ჩამსვლელ,

უსამართლოდ მაბეზღართა ველარ ვექმენ თავის ამსვლელ,
და აქანამდის შუქით ვიყავ, აწ, მზევ, იქმენ ჩემთვის ჩამსვლელ!

145. წასასვლელად მოვემზადე, აღარა ვარ დასალონად,
მითხრეს: „ჩახვალ შენ იმათგან, შეიქნები მოსაწონად,
რალას გარგებს სიმძიმილი, რომ გაჰხადო ცრემლი ფონად?
და წავალ, რაღაც მომეველინოს, მოვიჭირვებ მე ამდონად.

23

146. ნუგზარ მითხრა ერისთავმან: „თქვი, თუ ჩემსას რასა ბძანებ? –
მეც წამოგყვე უსაცილოდ, წავიდეთ და ნუ ახანებ;
მეფესა და სულ ქართველთა არას ვაწყენ, არას ვავნებ,
და დიდს ხემწიფეს შევისწავლი, ჯავრსა არას არ ვათავნებ!“

147. მე უთხარ: „მე წაუიდე, აწ სხვაცა დამებრალევედეს!“
მან მითხრა: „შენ წაგახდინეს, მე ვინლა შემიბრალევედეს?
იქიდამ დავრჩეთ ორნივე, ნება იყოს თუ ძალევედეს,
და ისრევ გაწითლდეს სპილენძი, რაგინდ რომ ხშირად ჰკალევედეს!“

24

კარი მეშვიდე

148. რალას ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლშვილითა ვიარე;
გზა წავლეთ საგურამოსი და არე მათი ვიარე,
ლილოს პირს ჩავლე, ლოჭინის ხევები დაუტარე,
და ყურყუთას ფონი თხლად იყოს, ჩვენ დაგხვდა დასათქმიარე!

149. ესენი ღამე ჩავლევით, გათენდა იაღლუჯასა;
შეკაზმული ვარ, მივდივართ, თავი მოსწონდა ლურჯასა,
იტყოდეს ჩვენნი მნახავნი: გვანანო მაგარს ბურჯასა!
და მე ეს დამმართა სოფელმან, ნეტარ ვის უშვებს ურჯასა?

150. ეს რა ვიცოდი, ცუდმუდი მე კაცი შემომბედედა;
კოლოტაური წინ დამხვდა, თურმე ფონს გასვლას მხედედა,
ადვილ შეპყრობა ინება, დავ გამოთხოვით მედედა,
და მან არ იცოდა სრულობით, ძალ გული როგორ მედედა!

151 მან შემომბახა: „არ იქნა, ველარ ხარ ჩემგნით წასული!“ –
უკან მამდედა წყალს აქეთ, არ ვიქმენ ფონსა გასული.
მითხრა: „არ იქნა, ვერ წახვალ, მზე იქმნა შენთვის დასული,
და ვჰთქვი: „ეტლსა მოსმაგებია, სოფლით არს გაღმა გასული!“

152. გავჰკვირდი, უთხარ: „რას მამდე შენ რა გაქვს ჩემთან დავია?
ბატონიშვილმან გიბრძანა, ვინ არის მუხრანთ თავია?

იგი არ მმტერობს, არ მამდევეს, ჩვენ მოყვრობით გვაქვს ზავია,
და ეს ჰკადრე, იცი, პატრონზე არა ვარ დამნაშავეა!

153. როგორ? მე და შენებრ კაცი დასაჭერლად უკან მდევდეს,
ჩემსა ბჭობდეს დაჭერასა, ახლოს მოსვლას გაბედევდეს,
ჩემთვის ისარს მომახევდეს და სასროლად მშვილდსა ზევდეს? –
და მე რომ ხელიც არ შევახო, ცხენზე როგორ გარდამხევდეს?!"

154. დავბრუნდი, ცხენი შევჭქუსლე, არა ვჰკარ შუბის პირია!
იგი დიბლიგით გარდვაგდე, ვარქვი: „თავს უყავ ჭირია!“
მას მამის სული უხსენე: „მორბოდი, აწ რას სტირია?“
და ორგნით გვერდები დაემტვრა, გათხარა ძეძვის ძირია!

25

155. ვჰთქვი: „მოვჰკლევდი, მაგრა ეს სჯობს, დამიგდია დაბნედილი,
ამალამე აქა ეგდოს, გაუთენდეს თუ რა დილი!
გავს, ტარიელ სად ტიროდა, წყაროსთან დგა ხისა ჩრდილი,
და წავა, მიმწევთ გზაზე დაჰხოცს, ველარ მისწვდა ავთანდილი!

156. ჩემგან სიკვდილს და დაბნედას ნურც ცახედ ნურას ჰკვირაო,
შენს ცოლთან დაგიკვებნია, მოურავს დავიჭირაო!
წადი და სახლი მომზადე, როგორაც გაგიპირაო,
და ვეჭვ, რომ თავბედი იტურო, დღენი გაქვს გასაჭირაო!"

157. ამისთანანი კაცები საჭერლად დამდევენებთან!
ბატონის წყრომა ძნელია, თვარ მამწევს უფრო ვნებთან.
გამლების მეტი რაღა ხამს, რაც ჭირნი გარდამხდებთან!
და მეც დავაკლდები ქვეყანას ბოლოჟამ, თვარ მიხვდებთან!

158. ჩვენ არჯაყალას მივედით, სხვა არვინ დაგვხვდა გზაზედა,
რაც ნივთი იყო სარჩოსი, ჩვენ დაგვაყენეს მხაზედა;
ორს კვირას იქ მომიცადეთ, იყვენენ ჩვენს სიტყვის თქმაზედა,
და ჩვენს მერიქიფეს უბძანით: „წამოდექ ღვინის სმაზედა!"

159. ასრე მოგვეპყრნენ, გვმსახურეს, როგორაც ჩვენნი მონები,
რაცა ვინებით, გვანებეს, ძალი არ გვიყვეს ჩვენები,
ზოგი გრძნებითც რამ ივარგეს, უცხო რამ მოსაჩვენები;
და ჩვენც ჩვენის ქვეყნით დაგვკარგეს, დასუსტდა გამომდევენები!

160. მათ მივაბარე ცოლშვილი, დადგნენ კარგ გარიგებითა,
წავედით, გზაზე მივდივართ ამოდ და ჩვენის ნებითა,
ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქვენ კაის ცნებითა;
და დგომა და წასვლა ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა!

161. თურმე შაჰაბაზ ხემწიფე იყო მისვლისა მდომელი.

მიველ, დამიხვდა კეთილად, არა გუნებით მწყრომელი,
ხანი რო დავჰყავ, მიბოდის, რისაც არ ვიყავ [მდომელი]*;
და მაგრამ სევდა მწვავს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი!

* დედანში: შემომწყრომელი.

26

კარი მერვე

162. მერმე ყანდაარს წაბძანდა, მტრად გამოუჩნდა ინდია;
თან წავჰყევ, კარგა ვიბრძოლე, მათ დღენი დაუბინდია!
გამარჯვებული დაბრუნდა, აწ ცრემლო, ნუღარ მდინდია;
და მაშინც მოვჰკვდები, ბოლოჟამ, ნეტარ, რას შეუშინდია?!
163. ბაღდადს წაბძანდა, თან ვახლდი, ალება ბძანა ციხისა,
ძმა მყავდა გულ სრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა,
მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ შეიხისა, –
და ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს თიხისა!
164. დაბრუნდა, ტახტზე მიბძანდა, რა ხანმა გავლო მცირენი,
მერმე ბძანება გამოჰხდა ქართლს წასვლის დასაპირენი,
წამობძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შექმნეს ხშირენი;
და არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!
165. უწინ კახეთსა მობძანდა, იცით, რომ იქმნა რაები?
მეორედ ქართლსა მოვიდა, არვინ ჰყო შესაძრავები,
ორნივ მეფენი იქმენით სამკვიდროთ დასაძრავები,
და თქვენ გარდაბძანდით იმერეთს, მე რა ვჰქენ დასაშავები?!
166. მოციქულები გაახლათ მოსვლის და შერიგებისა;
თქვენ არ მობრძანდი, იცოდით მათი წყენა და რგებისა!
მეფე ლუარსაბ მობძანდა, აწ სიტყვა არ ეგებისა,
და ვინც მოიყვანა, ამოდ ზის, ლახვარი არ ეგებისა! –
167. შადიმან გარდმოიყვანა ტკბილის სიტყვით და ენითა,
მან საჯილდოო იშოვნა, თქვა თუ: „ეს კარგა ვჰქენითა!“
იგ თავის უფლად შეიქნა, მე ვარ აწ ცრემლთა დენითა,
და მისწილ მე ვჰკვდები, შექნილვარ ლახვართა დასაშენითა!
168. [თ უ] სჯობდა, თქვენც რად არ მოხველ, არა ჰქენ შემოყრილობა,
თუ ის წყალობას ელოდა, თქვენც რად არ იდევ წილობა?
ის ერანელთა შეიპყრეს, თქვენ ჰქენით მოსვლის შლილობა, –
და თან წაიყვანა ხემწიფემ, ქართლში მოჰფინა ჩრდილობა!

169. მეც ისევ თან წამიყვანეს, ძალი იყო თუ განება,
 გულსა ვეტყოდი: „სოფელმან თავი აროდეს განება!
 სრულად მოწამლეს ერანი, სიგრძე სად იყო, განება!
 და ველარ დავეხსენ ადვილად, თავი მახესა განება!"
170. დღეს ერთს ლხინად ჯდა ხემწიფე, უხვს თავი ჰქონდა ლაღება,
 მიბძანა: „გამხიარულდი, გულს ცეცხლი ნუ გწვავს, დაღება,
 თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდი ვერ შესძლო მიტან წაღება,
 და სხვის წყალობითაც დაგმართო სევდათა კარის გაღება!"
171. მოატანინა, დააწყვეს ტახტის პირს თეთრის გუდები,
 მიბრძანა: „ადეგ, აიღე, ნუ ხარ მცონარად, უდები."
 ტახტის პირს მიველ, თეთრს ჰქონდა სულ ახალახალ ბუდები;
 და წინ დამაჩოქეს, არ ითქმის აწ ტყუილი და მრუდები!
172. გულს უთხარ ცოტას ავიღებ – დამძრახვენ: არ აქვს ძალები;
 ბევრი ავიღო, არამც თქვან: „ხარზად შემსჭვალა თვალები!“
 ვკბოქვი თუ: „მიძრახონ სიხარბე, გული მაქვს კლდეებ სალები;"
 და ბევრის აღებას ვეცადე, მით გავიმაგრე ძვალები!
173. თვითო მხარზედან გარდვიგდე, ერთი თავზედ ვჰქენ დებული,
 თვითო ღლიასა შევიგდე, ორი ვჰქენ ხელ კიდებული,
 ერთი კბილშიგან მივიეც, მით ვიქმენ აზიდებული,
 და ავდეგ, კარამდის წავიღე, არვისგან არ რიდებული!
174. ბძანა: „ნუ მოჰკლავთ ჯაშუშსა, მის კაცთა მიუბარეთა!
 მე ჩემნი ყმანი დამიხვდეს კართან რომ მიველ, გარეთა,
 ოთხასის თუმნის წამლებთა ვერ ვხედავ დამაზარეთა;
 და გვერცავ დამისვა ხემწიფემ, ბძანა თუ: „გაიხარეთა!"
175. ხოსრო მირზა მე გავჰხადე ხემწიფესთან გამოჩენით;
 მოვახსენე: „შეიწყალე, თქვენ სიუხვე მაზედ ქენით!“
 ვეხმაროდი, ბევრს ვამლევდი, შევიტკობდი ტკბილის ენით;
 და გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ღარიბობას ცრემლთა დენით!
176. ამად ვჰქენი, მამით იყო ბაგრატოვანთ თესლი, გვარი,
 დედას ვინდა იკითხევდა, გლეხი იყო თუ რა გვარი?
 მე ხემწიფე ყურს მიჰპრობდა, სიტყვა მქონდა მით მაგარი.
 და ყველგან წახდა ჭირნახული, ჰკუა მექმნა წასაგვარი!
177. ჩემთვის დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია,
 ვიზედაც რომ კარგი ვჰქენი, მე შემექმნა ზიანია!
 კლდე, კაპანი მტრით შეკრული მე გავჰხადი გზიანია! –
 და ვერვინ რა ქნის ჩემზე მეტი თავის გასაზვიანია!

კარი მეცხრე

178. ბევრი რამ საქმე გამოჰხდა, ყველას აქ ვინ იქს წერასა?!
 მასუკან ბრძანა ქართლზედა: „მართლად ვერა ვიქ მწერასა! –
 ყარჩიხანს წინ გაგიძღვანებ, სინჯე თუ იქსო მზე რასა?“
 და რაც მაშინ მოჰხდა, ამბითაც გული შეიქსო ძგერასა!
179. მოვიდა, ეს ვთქვი, ქვეყნისას ეს აოხრებას ბედავსა?!
 ზურაბს გავენდევ, ერისთავს, უთხარ თუ ვერვინ ხედავსა,
 ჩემის ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდე: ბედ ავსა! –
 და ვირემ დაგვბოცდენ, მე დავჰბოც, ვიტვირთებ სისხლსა ქედავსა!"
180. ისიც დამპირდა მოსვლასა, ჩვენ პაემანი დავდევით,
 ქვეყანა იმ დღეს დადგინდა, ეს კაი ხიდი გავდევით!
 მე ჯარში დავდევ, ჯაჭვები არ ამოვიღეთ, ჩავდევით, –
 და ქართლი ჩვენის ხლმით დამაგრდა, ჩვენ ესე დავიქადევით!
181. ქართლისათვის რა მე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი,
 ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი,
 წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშ-მცველი,
 და იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი!
182. მაშინ ზურაბ ბევრი მიძხრო, კაცა არის გამბედავი,
 კაის ჯარით მამეშველა მტერთ შემეუსრე და მედავი,
 ომის დღესა წინ წამდგომი, დამშლელთ უთხრის: – დამე დავი!"
 და მოყვარე და ჩემთვის მკვდარი, ის ეტლ სრული, მე ბედ ავი!
183. მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არათა!
 ვჰკადრე: „უკეთესს შეირთავ შენთვის მწვე გასახარათა,
 ხმალსა და სახელს აქ ჰპოებ, კვლავ მზე მოგფინო დარათა, –
 და ლურსაბ მეფის დის შერთვა, შენთვის არს ეს საკმარათა!
184. ლოჭინის ბოლოს ქორითა დავიწყე ნადირობანი.
 ერთი შათირი მორბოდა, „აქ მოდი,“ – უყავ ხმობანი;
 არ მამეწურა, ესე თქვა: „არა მაქვს თქვენი ცნობანი:“
 და ძალად შევიპყარ, იმ დღესა დასწყვიდა მისი შობანი!
185. გავჩხრიკეთ, თავ დაბეჭდული წიგნი უპოვეთ უბითა,
 ეწერა: „ქართლი აჰყარეთ, კაცთაგან დაასუბითა!
 ერთპირად გამომიგზავნე, მკლავებს საბელი უბითა,

და მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ველარა ქნას რა შუბით!"

186. შათირი მოვჰკალ, ის წიგნი იქავე შევჰქენ ხეულად,
დავბრუნდი გაჯავრებული, ნახავთ რასა ვიქ წლეულად?
ლაშქარი ვიხმე, მოვიდეს, ჯარი გავხადე სნეულად;
და სამკვიდროსაგან უმკვიდროდ ვიქმენ დაკარგულ, ეულად!
187. მარტო მე რაც ვჰქენ იმ დღესა, თუ ის შეეძლოს გმირებსა?
ჩემის შუბის წვერს ყარჩიხან გაწონით გულს იგმირებსა;
იმან ვერდიბეგ, მისი ძე აეგო შუბის პირებსა!
და სისქეს რაზმს შიგან ვბრუნევი, არა თუ განაპირებსა!
188. ქართველნი გვიან მოვიდეს, რაგინდ რომ ფიცხლად ვლიდიან.
რა შემოვიდეს ჯარშია, სისხლსა უწყალოდ ღვრიდიან;
ქონებას ძვირფასს იღებენ, ცუდმუდსა გარდაჰყრიდიან, –
და მაშინ ვინც მნახის, სასალმოდ ყველანი თავსა ხრიდიან!
189. ის გამარჯვება გარდასწყდა, ვჰქენ ქალაქს ციხის აღება.
საშოვარი და ქონება მრავალი სხვაგნით წაღება;
ვინ გაგვიმაგრდა, მას მიხვდა საყელოს სისხლთა დაღება,
და მალლა ვინც მზერდეს ზვაობით, ასრე ხამს თავის დაღება!
190. მე ოთხი საქმე ერთს დღეს ვჰქენ, რა გესმას, ბრძანოთ „იშია“!
ყარჩიხანს რომე შევები, მის ჯარს რა დავსდევი შიშია,
იქ ახალციხე ავიღე, ქალაქს ვჰქენ იერიშია;
და კახეთს რა ჯარი დავჰხოვე, სიმრავლით ვითა ქვიშია!
191. კაცს ამისთანა ყმა ჰყვანდეს, პატრონს რა უყოს მეტია!
მას აბიზღებდენ ცუდმუდი კაცი შმაგი და რეტია,
იგ მუდამ შენთვის კვდებოდეს შენის მტრის სისხლის მხვრეტია,
და პატრონისაგან საკვდავად, ვით ადვილ გასამეტია?!
192. ეს ყველა მისთვის გავბედე, რომ მწადდა თქვენი დიდება,
კრძალვა და სათნო მწვე მჭირდა მე პატრონყმობის რიდება;
თქვენს გარდაისად ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება,
და თუ ჩემს უკეთესს ყმას ჰპოვებთ, თქვენც გმართებს ხელის კიდება!
193. თქვენ ყველა იცით, რად მართებს ამბისა წვრილად ხსენება.
სად ბძანდებოდი, რას საქმით, ან გქონდა რა მოსვენება,
ვით მოგიყვანე, ხემწიფევი, ან გკადრე რამ მოხსენება;
და ერთპირად კახნი მის ალაგს მივასხი, როგორც ენება!

194. რა ყორჩიბაში მოვიდა, თქვენ იყავ მეფედ მჯდომია;
შებმა დავშალე მე მათი, არ სჯობდა მაშინ ომია,

არ დაიშალეთ, ომისა წილი მეც რამე მხდომია:
და ცხენი მამიკლეს თოფითა, შევიქენ გარდამხდომია!

195. ცხენით გარდახლტა, მამართვა ლომმან ჩრდილევნის ძემან და
მიტხრა თუ: „მე ეს მიქნია, ეგ შენი ცხენი ძე მანდა;
შევჯე, მეთოფეს გაუდეგ, უთხარ: „მიცადე მე მანდა!“
და მივეწივე და გარდვაგდე, ვერ მიდგა, როგორც ბზე მანდა!

196. მე მისი ცხენი მოვგვარე, მაზე ლომი ვჰქენ შესმული,
იმა ცხენისა პატრონი შეიქნა შუბის შესმული,
მას ველარ არგებს მუმია, ანუ წამალი შესმული,
და ცუდათ დარჩების მოკვდავსა გარედამ ცხება შესმული!

197. იარაღს თავსა დავადეგ, მე ზარად პირაკეცილი,
შევხსენ, ავაჭერ რახტითურ, არათუ კარგ დაკეცილი,
მტერს არ დამარჩენ, არიან ჩემგან დაჭრილი, კვეცილი,
და სისქეს რაზმს სადაც მივმართე, შეიქნენ მუხლ ჩაკეცილი!

198. ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრივ მერმისი ვნახე ბრძოლება,
ხან მამაშორვის ცემამან, ხან ახლოს გიყვი ყოლება,
შუბის და ხმლისა გატეხა, ლახტის ტარ ხელთა ქონება,
და გაბაადურდი იმ დღესა, სიტყვა ეს იყო ხო ნება.

199. რა მარცხი მოვა კაცზედა, ვის შეუძლია ბრუნება? –
ძლევა მათ მიხვდა, უფალმან ჩვენზედ ივიწყა ბუნება,
აღარ მოგვშორდა ის ცოდვა, რომ თან გვდევს გველის ცთუნება,
და ჭმუნვა და სევდა გარდგვერთხა, გული მით შემემძრწუნება!

200. წამოვედით, გამოვრიდეთ, აკვეთის თავს დავივანეთ,
ოღონ ძლევა იმათ დარჩა, თვარემ ჩვენცა ბევრი ვავნეთ:
ავთანდილ და დავით ორნიც იმა დღესა ვერ ვიპოვნეთ,
და რაღას ვაქნევ საქონელსა, პირველს ომში რაც ვიშოვნეთ!

201. მეორეს დღესა მოვიდეს, გაევლოთ იქით რაზმია,
ზურაბს ძმა შემოეყარა, მე შვილი მონაკაზმია;
მე გკადრე: გახსომს, მეფეო, თქვენ აქ ხანი რამ დაზმია?
და ჩემსა ჭკუას და ძალგულსა, გაცნობებ მონახაზმია."

202. სამოცის კაცით წამოველ, არ ვერიდები ღამებსა,
თხილოვნას მოველ, ვაცნობე გაბაანთ შვილს და ძმანებსა.
ქალაქით ჯარი გამოდგა, ვეჭვ, შოვნას დაიშხამებსა,
და აწ მოურავი გასინჯეთ, აწყენს თუ რას აამებსა?!

* დედანში: ხსენება.

203. დათხარეს ლის, წოდორეთი, დაწვეს, ცეცხლს უყვეს კიდება,
რა მინდვრათ ჩამოვიცადე, მეც უყავ განაკიდება,
ფიცხელსა ომსა შევასწარ, ვეჭვ, უმძიმსთ გარდაკიდება,
და მათ ნაშოვარი მოსძაგდათ, გაყარეს ანაკიდება.
204. შვიდას კაცს თავი მოვკვითე, გავსწყვიტე მე სამოცითა,
მკლავი დაგვიშვრა ხლმის ქნევით, გარდაყრითა და ხოცითა,
ხან შევიბმოდი ოცდათით, ხან ცოტას ჯარის, ოცითა,
და ათს დღეს ლაშქარი დაგუბდა, ქართლი ველარ ყვეს მოცვითა!
205. ყველგნით წავიდა ხიზანი, რადგან ჩვენ გვექნა მარცხია,
რა ლისის ომი მოესმათ, საქმე ქნეს აღსარაცხია;
ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია,
და სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნარცხია!
206. ცოლშვილსა კაცი უჩინე, სამცხის გზას უყავ კეთება,
ვკთქვი: ერთხელ კიდევ დავხვდები, ხმალმა ეგებ ქნას მკვეთება?
ღართის კარს დავხვდი, სახმილი ჩემგან მათ წაეკეთება,
და კარგიც რომ კაცმა ბევრი ქნას, – მტერს მაშინც არ ეკეთება.
207. წიწამურის თავს დავხერგე, შეუკარ ღართის კარია,
თხრილი უწინვე წამევლო და გზები განაკარია,
სადავ ვიწონი, ვიბრძოდი, მათ აჩნდა დანაკარია,
და ავქალით ახალციხემდი შეკრეს არაგვი, მტკვარია.
208. სიმრავლითა მოგვერივნეს, რადგან მიხვდა პირველ ძლევა,
შუბი გატყდის, ხელი მივკვივით, მაშინ შევკქნით ხლმისა ქნევა.
იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა,
და რა გასჭირდის, უკეთ შევსძლო, ასრე მქონდა ომის ჩვევა!
209. რა იარაღი დავლიეთ, მაშვრალთ მიგვჭირდა ომია,
წეროვნისაკენ უკუვდეგ მოღალულ-დანაშრომია.
კარგად მიგდებდა პატრონი, – მეფე არ იყვის მწყრომია,
და მუხრანში დადგა ლაშქარი, სიმრავლით უსაზომია!
210. ავკეთს მიველ, იქივ დამხვდა მამაცი და მეფე ბრძენი.
მიბრძანა თუ: „როგორ მოჰხდა, ვინლა შეგრჩა, ან რა ჰქენი?“
„ზოგნი ცოლშვილთ მიეშველნეს, ზოგნი მახლავს კიდევ მხნენი,
და მაგრა თქვენი წასვლის დროა," – ეს სიტყვანი მე ვით ვთქვენი!
211. მე დავდეგ, ხალხი გავგზავნე, შევიქენ ჯართგან სუბანი;
სამოცი კაცი კიდევ მყვა, გვეცვა შალისა ჯუანი,
ზოგი მშვილდ-ისარ-თოფითა, ოცსა გვაქვს ცხენზე შუბანი,
და კიდევ გიამბობ, ქსანზედა ვადინე სისხლის გუბანი!

212. სპარსთ ზურაბს სიტყვა აჰკიდეს: „მოგვეც მართალი პირია, არშიდან ქალს გამოვიყვანთ, მოგვეცე, არ გიყო პირია; – ხემწიფის შვილი, თვის ტომი, ძვირად და დიდ საღირსა, და თვალად ტურფა და კეკლუცი, თმა მოგრძე, ამბარ ხშირია!
213. ერისთავმა თქვა ფიცითა: „აქვს ჩემგან დაუშავება!“
ჯარი გაგზავნეს მრავალი, ზურაბ თქვა: „არა შევება!“
გიორგი გულში ამბობდა: „ხვალ ბევრი მე მეშოვება“. –
და მეორეს დღესა ლაშქარმან, იცით, თუ რა იშოვება?!
214. მთიულნი ავლეს, არშასა მივიდნენ შიშნეულობით;
მათ ქალი გამოიყვანეს, წამოვლენ, ვით სნეულობით.
ქსნის გზაზე გამოემართნეს, შეიქნეს არეულობით,
და რაც მოჰხდეს, ახლა ისმინეთ, დღეითგან აწ წასულობით!
215. მათ ქალი მოჰყავს, გარდმოვლეს უწყინრად ხევი ხადანი,
უკან გიორგი მოსდევდა, – ვალს უნდა გარდახადანი; –
მეც მიველ, წინ გარდაუდეგ, ვიყავ იასეს ხადანი,
და რომელსაც მოვხვდი, გუდურებ უყვი ტყავისა ხადანი!
216. მე ხუთი ქეში ისარი დავლიე მათზე სროლითა,
გზის ასაქცევი არ ჰქონდათ, ქარჩოხით, არც ისროლითა,
ამოვსწყვიტეთ და დავჰხოცეთ, ქსანს სისხლი შევასწორითა,
და ალაგს და უადგილოსა კაცი ეყარის გორითა!
217. სისხლი რუდ მოდის კაცისა, ქსნის წყლისა არის მდებელი.
როდეს ისარი დავლივე, ხლმისა ვარ ამომღებელი;
რაც რომე იმათ დათესეს, თავს ექმნა გამომღებელი,
და კარგს იარაღთ და ცხენების ვიქმენით წამომღებელი!
218. ქსანი შეიქნა ორს კვირას სრულად სისხლისა ფერადო.
ხევები მძორით აივსო, კაცი ვერ მორჩა ვერადო,
რომელიც მორჩა ცოტა რამ, შეიქნენ გასამტერადო:
და უკვირდათ ჩემი საქმენი, ვის თვალნი ჰქონდა მზერადო!
219. ყაზახის ხანი შევიპყარ, არ მოგჰკალ, იქ დავაბია,
სამი სულთანნი მასთანა ერთმანერთს გარდავაბია,
მათად სასროლად გსმენია, მშვილდსა თუ სად ავაბია,
და ოქრო შეკაზმულს ცხენს შევჯე, მაგარი სადავაბია.
220. აბა მიბძანეთ, სხვის კაცის ეს სამსახური მეფეთა,
ხლმის განაკვეთსა სინჯევდით, თუ ხორცი როგორ მეფეთა!
გზას დამიგდებდეს მებრძოლნი, პირისპირ ვერვინ მეფეთა,
და ლხინს და გაცემას, ალერსსა, მიქებდეს სიიეფეთა!

221. უხვი მით მქვიან, ერთს დღესა ვარ ქართლ-კახეთის გამცემი,
საქონლის დაუშურვალი, მტერთა ლახვისა გამცემი;
ძალს იგი მაძლევს, ვინ არის ყოველთა უხვად მამცემი,
და ერთის ათასად გამხდელი და ბევრეულთა მამცემი!
222. სრულად ერანი მოვიდა, ქართლის ქვეყანა აივსო,
კაცს და ტყვეს ვერა ავნეს-რა გლეხთ სარჩო დიად დაივსო;
მეც ავიყარე, გაბრუნდენ, ნახავთ რა უყო ჩაისო,
და წლეულად ესე მივინა, ზოგი მიყურეთ გაისო!
223. მე სამძიმარი რაც მქონდა, ვსდევ თიკნაბერას ციხესა,
კაი მცველები დაუგდე, ხელი ვერავინ მიხესა,
იქ მდგომნი ყველა მიძრწოდა, მონებდეს ჩემსა რიხესა,
და ვერვინ შეუა მებრძოლი, კარები ჩაიმიხესა.
224. ალ, სურამი გავამაგრე, არ არს ადვილ ასაღები,
ფთხილობდეს და გუშაგობდეს, არ არიან სულ დამღები,
ადვილ ძალად ვერ წაართმენ, ვერ არიან ბარგთ წამღები;
და უთხარ: „ადრე მოელოდეთ, მალ გეწვევა სისხლთა მღები!“
225. ქართლიდამ წაველ, ცოლშვილი მივასხი ახალციხესა,
მესხთ ბძანეს: „იმა ლაშქართა შენგან ლახვარი იხესა,
ჩვენს მოდგომასა გაცნობებთ, ბაქსა, ძალსა და რიხესა,
და ამხანაგს, ვისც არ უნდოდე, მეფენიმც გაირისხესა!“
226. ზოგ-ზოგი ბარათიანი თან წამყვეს ცოლშვილიანად,
გიორგი ქავთარიშვილი, გერმანოზ მსახურ ყმიანად.
სხვა მსახურ მარჯვე კაცები, მსვლელნი არა თუ გვიანად,
და იმ თემის აზნაურშვილნი მოვლენ თამამად, ხმიანად!
227. ახალციხე და აწყვერი, ხერთვის და ფარავანია,
ყიზილბაშთ ჰქონდა ციხენი, შიგ ჭანი ან საკანია;
ზოგი მე ძალად წავართვი, ვიხმარე კარგ რაკანია,
და ზოგი იმათვე გაუშვეს, გასცვივდა თეთრ, დრაჰკანია.
228. გიორგი ქავთარიშვილი სიტყვა-პასუხის მთქმელია,
ხვანთქართან ამად გავგზავნე: „თქვენ იყავ ჩვენი მშველია!
ეს ციხეები ავიღე, თქვენ გამოგზავნეთ მცველია;“
და ხელმწიფემ ბძანა: „საქმენი უქნია კარგ საქნელია!“
229. ბძანა თუ: „ვერვინ წამართმევს, ჩემია სრულ სამცხენია!“
ხალათი გამოეგზავნა, კარგ ბედაური ცხენია!
ემბრი ებოძა: „გამაგრდი, არ გქონდეს სიმარცხენია.“

და გიორგის ბევრი ეშოვნა ქონება ურაცხენია.

34

230. მეფემან პირად არ ბძანა, გულშიგან შექნა წყენანი:
„როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი;
მე – მეფე, ამას – სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
და ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავითთ შესაშენანი!"
231. როსიტა გედევანის ძე, – ერდგულა, თავდადებული,
დემეტრე საგინაშვილი, – იყო ჩემთანა ხლებული;
მათარსი შიხაიდრის ძე, – ჭკუისა მქონე, ცნებული,
და პაპუნა ვაშაყაშვილი, – ჩემთვის მკვდარ თავწამებული!
232. სხვანიც ხომ ბევრნი მიახლნეს, ესენი გაუყრელია,
საათაბაგოს მივედით, მესხნი კარგ შესაყრელია,
მათი სიტკბო და სიამე სევდისა უკუმყრელია,
და რომელიც გაწვევს სალხინოდ, ხელის ხელ ჩასაყრელია!
233. დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად აქვს ციხისჯვარია,
მითხრა: „ხელთ მოგცემ ციხესა“, მან დაიფიცა ჯვარია.
აფიეთს დავდეგ, მე მახლდა კიდეც კარგა რამ ჯარია;
და მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჯარნია!
234. ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია,
თანუნა დიასამიძე, კაცი ბრძენი და წყნარია;
მან მითხრა: „თრიალეთისკენ ასპინძა ახლო არია,
და ყმა და ამბავი მოგწვდების, ავი თუ გასახარია!“
235. ხალხი ციხეში ავასხი, მე დაბლა – ძირსა ვდგებოდი;
რა იქ სადგურად დავდგინდი, მწადდა რომ მეფეს ვხლებოდი!
ვნადირობდი და ვიშვებდი, ხან მთაზე ვიარებოდი,
და სევდასა მოვიქარვებდი, კაეშანს გავეცლებოდი!
236. სრულ მესხნი ტკბილად მომეპყრნეს, ჩემთანა სადგურობდიან,
უფროსნი მიალერსებდენ, უმცროსნი კარგა მძღნობდიან;
რა ამბავს თავი ახსნიან, ხან ჩემს ქებასაც ჰხმობდიან,
და მათაც წყალობა უყვიან, ერდგულნი ვინც მე მყმობდიან!
237. შალიკაშვილი როსტომ და ელისბარ თავთირიძეო,
ყაენთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა, სხვა კი ვიძეო;
როსტომ თქვა: „იცი, აჭარას კარგა მამული მიძეო;
და იქ დადეგ, რადგან ქართლითგან ჯერხანად გამოიძეო!"
238. მე ვჰკადრე: „იმერეთს ჩავალ, გიორგი მეფეს მნახაო,
მათსა საქმესა ყველასა გულშიგან გამოვსახაო,

მასუკან იქით გარდმოვალ, ლხინი მაქვან თუ „ვახაო!“
და ცდას არ დავაკლებ საქმისას, ქართლს კიდევ დავინახაო!”

35

239. მე ყიზილბაშნი მეგიონა, გავლიდეს ჩვენსა ზღუდებსა,
რიდი აო მქონდა მტერისა, თავს მოვიხდიდი ქუდებსა,
ხან ზარმზამდისი ავიდი, ხან ჩამოვიდი უდებსა,
და ამაში ჯარი მოგვიხდა, ვნახავთ, თუ ცეცხლს ვინ უდებსა?!
240. მე მთაზე ვიყავ სათოფეთ, ციხეს ვთქვი ასვლა ძისანი,
დავხედე, არე მოიცვეს საფარა, ასპინძისანი,
დიასამიძის დახდომა, ომი თქვეს ორთავ ძმისანი,
და გავჰკვირდი, ნეტარ რა უნდათ კაცისა განაძისანი!
241. რა მოვიდენ, კარგა დავხვდით, ველარ გვიყვეს იმათ ბრძოლა,
დავჰხოცეთ და ამოვსწყვიტეთ, მათ შეექმნა ცხრო და თრთოლა,
ვინც ითავა, მანც ავად ქნა, ან ვის ექმნა წამოყოლა,
და გზის ბელადი, ასრე გვესმა, მთას გარდვიდეს, ჩაექოლა!
242. ასპინძამდი ასრე ვდივეთ, მათ ეგონათ ხევი ვაკეთ,
ნაშოვრისა დანაცვივნით ჩემს ყმას კიდევ კარგა ვაკეთ;
ჩვენს სევდასა უკუ ვიყრით, მათთვის ცეცხლსა უგზებ, ვაკეთ;
და იმ თვის ჩვენთვის მათი მოსვლა არ შეიქნა მოკლე, ნაკეთ.
243. ბეჟან მითხრა, თაქთირიძემ: „იმერეთს ვარ ბევრჯელ მსვლელი,
მეცა თანა წამოგყვები, მეფესთან ხარ თუ მიმსვლელი!“
მიველ, მეფის სიკეთისა ვერ ვარ თავის მე ამსვლელი;
და რაც მიბძანოს, იმას ვჰყოფდი, ვინ არს მცნების გარდამსვლელი?
244. დამხვდა კარგა, თავდაბლურებ, მან შემიწყო ტკბილად ხელი,
პურადად და გულ-კეთილად მწვე გასლოდა მას სახელი;
დადიანსაც ეს ებძანა: „მეც ვარ მკვიდრად კაცი ძველი,
და მიმცემი და მოალერსე, დაჭირებულთ კაცთ მიმშველი.“
245. მეფემ მიბოძა დასტური, ვლე არე ოდიშისანი,
იგიცა კარგა დამიხვდა, ქება არ ძალმიც თქმისანი;
ყმათ ორთავ მომიპრიანეს, ველარ ვჰქენ ყმობა სხვისანი,
და ისევ მეფესა ვიახელ, დამხვდა, არ თქმულა ძმისანი!
246. სულ იმერელნი მომაკრფეს მეგობარ ამხანაგებად,
მომგონდა ჯერნის სროლანი, როდეს ჩავიდი ნაგებად;
ცეცხლი მამედვის წყენისა, შემექნის გულსა დაგებად, –
და რაც რომ სახლები დამექცა, როდისლა შევსძლო აგებად?!
247. მეფესა ვსთხოვე დასტური, გარდმოვლე მთანი ოცხეო.

მთას აქათ წყალი გაუდის, დიად ცხელი და მოცხეო;
გულს უთხარ: „ისრევ გამაგრდი, ხმაღს კიდევ სისხლი მოსცხეო;
და გამოძებული რას ვარგხარ, ან იცხე, ან შემოსცხეო!“

36

248. ინაშვილი მყვა მსახური, მის დროს მტრის კარგა მცემელი,
ნახშირის გორით მოვიდა ციხისა გამომცემელი,
მიამა, შევჯე, წამოველ, არ ნალარათა მცემელი,
და სხალნარში მოველ დაფარვით, არ მაღლა გარდამცემელი.
249. ქალაქს ჯაშუში ჩავგზავნე, მწადდა ციხისა აღება,
შიგ მყოფთა ყველას დახოცა და საქონლისა გაღება;
გუშაგთა გვიგრძნეს, შეგვიტყვეს, ველარა ვჰქენ რა წაღება,
და წაველ იმ ზამთარ სამცხესვე, იქ დავჰყავ მარხვა, აღება!
250. გაზაფხულ ქართლში ჩამოველ, მეფევ, ქვენც ჩამობძანდია,
როგორ გმსახურე, გაამე, ტახტზედა რა დაბძანდია,
თუ მაშინ ყმადა გყოლოდი, ხვანთქართან არ წაბძანდია!
და მზას დაგახვედრე ქვეყანა, გკადრე, თუ მალ მობძანდია!
251. რაც ქართლისათვის მე ვჰქენი, ცოტა რამ გკადრო მცრობილი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, ამისთვის არს ბევრი კაცი სწრობილი;
მეც მემკვიდრე ვარ ამ ალაგს, არ შემოსწრებით ხმობილი,
და ზოგჯერ უქნელი საქმე ვჰქენი, გავჰტეხი რაზმი წყობილი!
252. ეს ასრე იქნა, რაც მოჰხდა, თქვენ ყველა იცით სრულებით;
ვისცა ვხლებივარ პატივით, ზვერვა ვსჯდომივარ სრულებით;
ჩემნო მებრძოლნო, შეგიპყრობ, აღარ აგიშვებ, სრულ ებით,
და მე თუ გარდავჰხდე პატრონო, თქვენმცა ნუ დაესრულებით!
253. თქვენთვის ვსძრევდი მე, მეფეო, თავსა, ხელსა, გულსა, ტანსა,
შამხალამდი მივაწივე, მე მიუხე დაღისტანსა,
მოვარბევდი ქვეყანასა, მოვიღებდი მოსატანსა,
და უშიშარად მტერს ვებრძოდი, მაგრა უდეგ მე სატანსა!
254. ხმლითა გავჰტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხეები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხეები,
ჩემის შიშითა შეწუხდეს, დაისვეს გულსა მიხეები;
და მტერნო, თქვენც იცით, ჩემის ხლმით მრავალჯერ დაიწინიხეები!
255. მე შევაშინე, შეშინდეს სულა ქვეყანა ოსისა,
ვახტანგ რომ მოკლა თარაყან, ბალათარ ორნივ დროსისა.
ვინ მომივიდნენ, ხალათით აივსნენ სრულად მოსისა,
და ვით ისრაელთა არ შერჩა გარდაკიდება მოსისა.

256. პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ, ვინ ქარციძეობდა,
წინა მიმიძღვეს მამაცად, არ ვიც, რომელი ზეობდა,
კაცები დარჩა დიდგვარი, ესენი მათზე მძლეობდა,
და თამაზს მაჩაბელს ისარი მიკრეს, ვინ მშვილდსა ზეობდა!

37

257. მელიქ ათაბეგ მჩხუბევდა, ენას ჰხმარობდა გველადო,
ლორის სიმაგრეს შემიდგნენ, ვერ მოვიხელე გულადო,
მელიქს და ზაქუმს ჯაშუში მე დავაყენე მცველადო,
და მიუხე, ველარ დამაგრდა, კლდეს ექმნა შიგ გამძვრელადო.

258. საქონელი და ცოლშვილი ყველა ხელთ დამრჩა სულობით,
იგი გარდმეჭრა, წავიდა, იარებოდა სულობით,
ვეჭვ, მათი ხმალი დაჟანგდეს, პირი წაუხდეს სულ ობით,
და შევსთვალე: „ძებნე ცოლშვილი, როდეს მოხვიდე სულობით!“

259. ქაიხოსროს ჰყვა მოყვარედ როსტომხან სპასალარია.
მრავალჯერ გამოუგზავნა ოქრო, ვერცხლი და ლარია,
მაგრას იმათგან შოვება ბოლოჟამ ერთობ მწარია,
და არ დაადგრების სამკვიდროდ, აღუტყდეს სითმე ქარია!

260. ხუთასი კაცი მეთოფე მან გამოგზავნა ბირთვისა,
ამან ციხეში შეუშვა, თვითან გარ კაზმით ირთვისა;
იმათგან ამან ფეშქაში თავთავად კვლავ მიირთვისა,
და გარ მოდგომილის მტრისაგან ადვილად არ წაირთვისა!

261. შემოუთვალე: „ნუ გვიზამ, ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია!“
ეს ეთქვა: „მათ მეტს სხვას ჩემთვის ნეტარ თუ ვის რა ურგია?“
ვჰთქვი: „სასახლეში მოვნახავ, სად რომე ცაცხვი ურგია,
და რად გვიშვებს ამხანაგებსა, სამანი გარდაურგია?“

262. გორიდამ წაველ სალამოს, ტბისს მიველ, რომე ინათა;
სასახლეს გარ შემოვერტყი, გალავანს გარ და შინათა,
გარ გამოვიდა დილაზე ულვაშლებული ინათა;
და შევსძახე: „კარგა დაგვიხვდი, ღვინო დაგვისხი მინათა!“

263. კვლავ უთხარ: „რადას უშველის ხელისა გამოღებანი?
მოდო, შევრიგდეთ, ერთადვე ვჰქნათ ხმისა ამოღებანი;
ციხე კარგვარად ამართვი, ვჰქნა იქ მდგომთ სისხლთა ღებანი,
და იგინი მამეც, საქონლის შენვე ქენ კვლავ წაღებანი!“

264. რა ღონე ჰქონდა არ ექნა იმ დღესა ჩემი ნებანი?
გამოიტყუა ერთპირად, იხმარა კარგი ცნებანი;
თოფები ყველას წავართვი, უყავ ერთს ადგილს დებანი!
და მათ მოუიდა იმ დღესა დღე აღსასრულის, ვებანი!

265. სულ გამოვასხი ერთ პირად, სიმაგრე დავაგდებინე.
ხუთასსა კაცსა იმ დღესა მე თავი გავაგდებინე,
ციხეს მეთოფე შეუშვი, მათ კარი მოვაგდებინე,
და მძორები ხევში ჩავჰყარე, თავები გარდვაგდებინე!
266. იქ დავიჭირე ხოსია, არ უყავ ტკბილად ხმოზანი,
თიკნაბერასა დავაბი: „იყავ, ვირ მოვლენ ცნობანი!“
მეფიცხოლდეს ყოველნი: „აწყა ვჰქნათ მწვე დანდობანი,
და აღარ გავიტებთ ნამუსსა, თუ გვწამს აღდგომა, შობანი!“
267. სისხლის და ცოდვის, – ორისავ მწვე დიდად ვიყავ კრძალული,
მაგრა ქართლისა მიწოდდა რგება და მწვე სიხარული!
მათ მოჰფენოდა კეთილად, მზეს ემზო დარი დარული,
და მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ, როს ვიყავ გაუმწარული.
268. ქველს წერეთელსა ებძანა ადვილად ჩემი მუქარა;
მიუხე, დავსწვი, დავდაგე, ადვილ წაუხდა რუქა რა.
წამოველ, უკან მამდივა, ნიავმან ველარ უქარა,
და შევსძახე: „ცუდათ გაგიცვდა გლახ შენი ბაქი-ბუქარა!“
269. ახლოს მომმართა საბრძოლად, იყო კარგისა ბედისა,
ორი ისარი გულსა ვჰკარ, ხსენება შექნა დედისა,
მამაცი იყო, გულსრული, საომრად შემომხედისა,
და ისივ გაბრუნდა, შეტყორცა რა ნახა ზედიზედისა!
270. სად მოვსთვალო ჩემი ბრძოლა, ანუ ომთა ჭირნახული?!
მე, მეფეო, შენთვის დავდე თავგაწირვით ტკბილი სული,
რალას მარგებს ცრემლთა დენა, ანუ საქმე გარდასული,
და რას არგებდა მახიზღართა ჩემი მოკვლა, აღსასრული?!
271. არვის მივსცემ თავს საკვდავად, რაცა გწადდა იგი ქენით,
ამ საქმეთა გამბედავი როგორ მოვჰკვდე ცუდის ენით,
ერთს აზნაურს ვის უქნია ჩემოდენი ხლმისა შენით!
და რად გამხადე ვალდებული მუდამ სისხლის ცრემლის დენით?
272. მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არვისაგან,
რაცა შევსძლი, ერთს არ ძალუც, არ გამოვა არვისანან;
ლომთა ვიყავ მე მებრძოლი, არა გვარი არვისაგან,
და შუბის წვერთა რკინა ექმნის, გული ჩემი არვისაგან!
273. თუ სიკვდილი ჩემი გწადდა, რასთვის მტერსა არ მისივე,
მათ მოვეკალ, ხემწიფეო, იქნებოდი თქვენ ისივე,
ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორის სიტყვა ამისივე,

კარი მეთე

274. მეფემ შესთვალა: „რაც გითქვამს, სრულ მართალია ყოველი, მაშინვე გითხარ ფიცითა, როს მოგეგზავნა მროელი, არც არას სისხლსა გადევებ, არც რას ავს შენგან მოველი, და თავდებათ მოგცე, არ მოგკლა, უცილოდ ძელი ცხოველი!“
275. აღარად მოჰხდა, არ იქნა შეწება, ცუდად რიგება, გაყრა შეექნათ, ველარ ქნეს ერთად სიტყვისა მიგება; რა მოიშალა, ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგებ? და ვინ მოაშორვა, მის გულსა ლახვარიმც ადრე იგება!
276. ბძანება არის ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია, ბატონი რომე ტყუოდეს, ისრევ ყმას დამარცხებია, თვარ უხლმოდ როგორ დავდგები, რომ ვიყო სრულ ნარცხებია, და ბევრთა მებრძოლთა თავები მიწათა მინარცხებია!
277. რაცა დაწერეს პირველად, იქნების, არ ასცილების, პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების; რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების, – და ესე მსმენია, ამისთვის ცეცხლი წვად გამიხშირდების!
278. გამარჯვება ხომ მას ხვდების, ეს სიტყვა მწვე მართალია, მამაცი არის, უებრო, არვინ არს ნაათალია; ეგებ მაბეზლარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია, და ბატონისას კი არ ვლირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!
279. ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია; რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია, მაბეზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია! და ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მექამა პურია?!
280. როს ყმა გარდაჰყვეს პატრონსა, მსახუროს ღარიბობასა, პატრონისათვის კვდებოდეს, იქმოდეს სახლის თმობასა. მამულს და ალაგს განშორდეს, თვისა ტომსა და ძმობასა, და მასზედან მისი პატრონი რად არ იქს იაფობასა?!

281. რა მეფე სვიმონ შეიპყრეს, კაცი მხნე, სახელ დიდითა, ქართლს ხმალი იმან შეარტყა, მტერნი გახადა კიდიითა, სხვანი მებრძოლნი ყველანი თავს მდაბლად მოუხრიდითა, –

და მას აქათ, თათარხნამდისი ომით სისხლს არვინ ღვრიდითა!

282. კაცი რომ ავად გახდების, აქიმს უქადებს მრავალსა,
უთუოდ მოგცემ, დამჯერდი, როს ფეხზედა მყოფ მავალსა,
მუდმად თავს შენტვის ვამყოფებ, მეც რასმე დაგდებ კვლავ ვალსა,
და დამიხსენ სალმოზისაგან, ნუ მყოფ სულ ამომავალსა!

283. აგრევ კიდევ, ვის სადმე, რომ ჰქონდეს დაპირებანი,
რგებას გაჰპირებ მაშინვე, დაგიწყოს შესხმა, ქებანი,
გეტყვის: „ვირემდის ვსცოცხალვარ, ვჰქნა შენი სიამებანი,
და ბოლოჟამს დაავიწყდების საქმისა გარიგებანი.“

284. აბა, რა ვჰქენი, მეფეო, რა დავსდევ თქვენზე ვალები?
თქვენისა ერდგულობისთვის ნება ვჰქენ, ზოგი ძალები,
რა შენ პატრონად შეგმზერდი, გამხიარულდის თვალები,
და სადაც მიბრძანი გახევა, გული მიმქონდის სალები!

285. ესეცა თქმულა, რომელიც კაცი თუ მართლა კაცდება,
ხდალი, უღონო, რომელიც მიიწევს, მას ვერ ასცდება,
იარად მოშლილ ჯაზანი რას ესვრის, ყველა დასცდება,
და მამაცს და პურადს უძრახავს, იტყვის: „მალურებ გაცვდება!“

286. ამხანაგთ მისთვის მაბიზლეს, იტყოდეს: „კაცი ვარგია!“
ქართლ კახეთისა მამრჩენი, მიკვირს, რად დავიკარგია?
პატრონის შემმატებელი, ამხანაგთათვის მარგია, –
და გვერც გისხდენ მაბეზლარები ჩემთვის ეს როგორ კარგია?

287. ზურაბს შევსთვალე: „რაც იცი, სრულ ჩემი ნასწავლებია,
ოსტატის არ ჰხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია,
როდესაც მე დავიკარგო, გაჩნდების, ვით დასდგებია!
და ორთავე სწადდათ სიკვდილი, აწ მარტო გარდაჰხდებია.“

288. მოყვარე ხარ გულითადი, რა მიქნია შენზედ თავი!
მამათქვენმა რა ქნა ჩემზედ, ვით გარდადვა საკვდად თავი!
მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი?
და მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენის დღისაც გასათავი!

289. ვირ ცოცხალ ვიყო, შენც გქონდეს იმედი სიცოცხლისაო,
ესე სიტყვანი გახსოვდეს სიძის მონახულ ბრძნისაო,
ვირემ სული მითქს, სიკვდილი შენი სხვამ ვერ იგრძნისაო,
და შენ სადავე საკვდავად ჩემზედა ნუმც იძვრისაო!

290. რა მე მამკვლენ, ან დამკარგვენ, დაგიწყებენ მიზეზებსა,
სიტყვით თავსა ვერ აუხვალ, პასუხისას შეჰკვრენ გზებსა.

ახლა მგონი მუხრანს გაძლევს, შეიშურვებს მთას და ზეგსა,
და როდესაც რომ გიხელთებენ, აბნელებენ შენთვის მზესა!

291. ზურაბს ეთქვა: „მოყვარეც ხარ, მერმე კარგი ამხანაგი,
ჩვენსა შუა არ ყოფილა წყენა რამე, ერთი დანგი,
მაგრა ბატონს მოვდგომივარ, რაც რომ ძალ მიც, მე ვარ მარგი
და მზის მამას რომ არ უშველო, მე რას მეტყვის პირი მანგი?

292. ზურაბს რაღას შეუთვლიდი, ის მიუდგა მაგრა, ბურჯად,
ცოტას ხნისა სიძე არის, შეიტყობთ, თუ იქნას ურჯად,
დაუწყებენ ბეზლობასა, სისხლს წითლად ჰქმენ, ხორცსა ლურჯად;
და ავსა კაცს ავი სიტყვა და ბეზლობა უჩანს უნჯად!

293. სპარსთ ველარ ვნახავ, მათზედა, იცით, ვარ დამნაშავია.
როდეს ლუარსაბ დამმოყვრდა, ისიმც დღე არის შავია!
კეისრის ტახტსა მივმართო, კარგი მექნას თუ ავია,
და შუა ნუღარვინ ჩამოვა, აღარ მოჰხდების ზავია!

42

კარი მეთერთმეტე

294. თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერდგულო,
და აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაზ, სტამბოლს დაკარგულო!

295. ვაი, დაგაგდებ სახლ სამყოფო, სად კარგო და სად ავებო?
შორგვარ დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სა დავებო:
ავჟანდათა სიმაგრენო, მე სად გმრევდი სადავებო?
და რამდენს მოვრჩი ძნელს ზადესა, ახლა კიდევ სად ავებო?

296. ვინ იცის, თუ შენ რამდენჯერ მტერი შენი განაზია,
რომელიც რომ იწადინი, აღარ მოჰკლი, გან აზია;
ლხინობდი და იხარებდი, ხელთ გეჭირის განა ბია,
და თუ გავარდი სამყოფთაგან, ქვეყნის სიგრძეს განაზია!

297. თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა,
რას დალაზავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა;
მოშორდები მოყვარეთა; შენ ხარ ვისსა სამარებსა? –
და სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა!

298. ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა აროს,
ვინც იყვენით, ძნელი საქმე მაშინ უყავ იცით აროს;
აწ მეფეთა გაწყრომილმან თავმან ჩემმან სითკენ აროს?
და მე წავიდე, დავიკარგო, მტერმან ამით გაიხაროთ!

299. ვინ მაბეზღებს ენა ყბედი, მოაგონდა იმას ის რით,
რა მე მეფეს მომაშორვებს, მას დაამცრობს იმას ის რით?
ჩემნო მტერნო, თქვენი გადის, რაც რომ გინდა, იმას ისრით,
და თუ ჩემიც რამ გავიდოდეს, სცნობთ, რას უზამ იმას ისრით!

300. ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა,
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდგამს ბუდეებსა;
ვერ მიფერებს ვერას საქმეს, თავსა გაიცუდაებსა,
და მეფეს ტყუილს მოახსენებს, უმგზავსოს და მრუდაებსა!

43

301. აქ სხვა სიტყვა შემოვიღო, ნუ გამკიცხავთ, მიგდეთ ყური:
კაცობასა მოვდგომოდი, გულში მქონდა არვის შური.
თუ ქორი ზედ აღარა ზის, კაცს რას არგებს მარტო თური,
და ვერ დავსწყვიტე ცრემლთა მილი, თვალთა ჩემთა მონაწური.

302. რაც დავსწერე, მომიგონდეთ, განა თუ ვსთქვი საკვეხნელად,
რად მოვიკლა ცუდათ თავი, ანუ სისხლი იქცეს ველად,
რალას მარგებს, მოყვარეთა ღაწვი შექნან ცრემლით სველად,
და რა ღალატით სიკვდილს ვესწრა, ვინ იქმნების ჩემად მშველად?

303. ნაბოთე მოკლეს უბრალოდ, ექმნეს სისხლისა მხვრეტადო,
იოსებ ძმათა გაყიდეს, თორმეტ ჰქმენ მეთერთმეტადო.
რაქ[ა]ელ შვილსა სტიროდა, რომ აღარ არის მჭვრეტადო, –
და აგრევ დედა ჩემს მოუვა ტირილი მეტის-მეტადო!

304. ყოვლთ ხემწიფეთა უდიდე, ვინ რომ არს კეისარადო,
მაკედონელის ტახტსა ზის, ციხენი აქვან სარადო;
მებრძოლნი იცით, ვერ გავლის ახლო ან იმის არადო,
და თუ წყენა ვინმე გაბედა, იტყვიან – იასარადო:

305. ჯაზაირ, ვლახი, ბუღდანი, – უჭირავს – იამანია,
ურუმელი და მისრეთი, შავი და თეთრი ზღვანია,
ბასრა, ბაღდადი, მადინა, მაქა, აზრუმ და ვანია,
და ვერ ავნებს, რომე დაცოცხლდენ ამირან ძმობილ-ძმანია!

306. დასავლეთი და სამხრეთი არს სრულად იმის ხელადო;
ყენიც, დიდი ხემწიფე, მაგრამ ეს უფრო ძველადო, –
ინდოთ საზღვრამდი ის იპყრობს, სად მზეა ამომსვლელადო,
და მათი პატრონი, მეგონა, არსო ბაქაჯარ ქველადო!

307. სულთან მურად და შააბაზ ერთჟამად იყვნეს მჯდომია,
ორთავ გაახელ, გარდამხდა მათთან ლხინი და ომია,
მაპატივებდეს, მაძლევდეს, რისაც რომ ვიყავ მდომია;

და რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია მე კაცი შემომკდომია?!

308. ესენი მისთვის ვახსენე, გასინჯოთ ჩემი თქმულები,
სიტყვის მალამა მიძებნოთ და გამიმთელოთ წყლულები;
კაცი ვინ იყოს, მიბმანეთ, ორისავე შესწავლულები,
და ორთავ პატივმცეს უღირსად, მათ გამიემრთეს გულები!

309. ორთავ ახლდეს დიდი კაცნი: კახები თუ ქართველები;
ვინ გამოჩნდეს ჩემად სწორად, სიტყვით დამდვან იმათ ლები;
რა შააბაზს მე ვიახელ, არ გამიყვის ნატალები,
და რა მობოდის, რა მიბმანოს ტკბილის სიტყვის სათქმელები!

44

310. მათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავსდევ თავი სულა,
შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა;
ბედმან მიყო, რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გარდასულა.
და სადაური სად მოჰკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა?

311. რა უკულმა ჩარხი გადრკა, წალმა აღარ დაბრუნდების,
რა დოვლათი კაცს მიადგა, აღარსაით გაბრუნდების,
მე რომ მესმის, თქვენი გული ჩემზე აღარ მობრუნდების,
და გზა კაპნად მაქვს, ჩემი ფეხი დაღმა ვეღარ ჩაბრუნდების.

312. უჩემობით მებრალები, ვაიმე, ქართლო, სუსტობისთვის:
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის;
ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?
და ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის!

313. ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუბი, ლახტი, ხმალი, მკვეთი,
მით მიყვარდა, ბევრჯელ შევჰქმენ მტერი შუა განაკვეთი,
ამხანაგს და მიღმა მბრძოლსა ბევრჯელ სადმე მე ვეკვეთი,
და გავამდიდრე სულა ქართლი, უღონო ვჰქმენ განაკვეთი!

314. სად მიუხედი, სად ვებრძოდი, რას მთებს ვიქმნი გარდასული,
გაცემა და ლხინთა ნახვა აწ რა იქმნა გარდასული;
არ მინდოდა წასახედნად ხორცსა კიდევ გარდა სული;
და სისხლს დავღვრიდი, ანგელოზნი რომ მომრტყემოდა გარ დასული!

315. თავს ვეტყოდი ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება,
ვინ სჯულს რყვნიდენ, გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი ა წამება,
მათგან ბევრი დავასუსტე, ავხსნი ზოგი აწ ამება, –
და ბოლოს ნახეთ ჩემი ბედი, თუ რა მამხვდა აწ ამება?!

316. მე არ მაკლდა ორღანონი, ბობღანი და წინწილები;
ახლა მახამს ეს სოფელი, უწინ დამდვა წინ წილები,

კაცობის და სახელისა კარგად მამხვდა წინ წილები,
და აწ აემვით, ჩემნო მტერნო, ვინ რომ ჩემგან წინ წილ ები!

317. რაც რომ მრუდი ვსთქვა სიტყვანი, გამკიცხეთ, ნურვინ მაქებსა.*
მწადდა წამება, სისხლთა ღვრა, არ თაყვანება მაქებსა;
ბატონს რა ვჰკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი მაქებსა!
და გამოვსცდი მათსა ძალ გულსა და თავსა კარგად საქებსა!

318. ვის რას ვაბრალებ. ეს ყველა ჩემი წერა და ბედია;
უღოთ არავის არ ძალუც გასწყვიტოს სუსტი მკედია,
დავსცადო, კიდევ გამაგრდეს ჩემი ავჰანდის ღვედია, –
და პატრონზედ ხმალი არ გაჰკვეთს, ამით ვარ უიმედია!

* დედანში: მაქეფსა.

45

319. როდეს გასჭირდეს, საქმისა კაცი ხამს გამაბედავად,
საქმეს მოახდენს კეთილად, თუ სულ არ არის ბედ ავად;
არც ნამეტნავად ის ვარგა, მირბოდეს დაუხედავად,
და ლალობით წახდეს ბოლო ჟამ, მტერს ველარ ექმნას მედავად.

320. კაცი რომ იყოს სიმაღლით გოლიათ, დიდად გორებით,
მრავალთ მეზრძოლთა თავები მას ექმნას განაგონები თ;
კიდევ მაშინც სჯობს საქმენი ჭკუით და მოსაგონებით,
და თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არა თუ განაგორებით.

321. თუ კაცი იტყვის გულშია: „მტერს რომ შევება ომებად,
ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდათ მშრომებად,
ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად,“ –
და ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

322. მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: „გავსწიროთ თავი და!
დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი და;
ანუ მტერს ვსძლიო, შევმუსრო, ან ვიქმნე გასათავი და!
და კარგს კაცს ვექებდე საომრად, რომელმაც მთხოოს დავი და!“

323. კაცობა გწადს, მზასა გქონდეს მიწყვი შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთ წყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოთქმა, ზარი,
და ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპყრას რომ ხაზარი!

324. ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა;
ვირემ მტერი არ წაახდენს, კაცთა რჩევას არას ჯერა.
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნუღარა გაქვს გულის ძგერა,
და მას კაცობა ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა ძალ შებგერა!

325. გული ჩემი სევდით სასვე შეჭირვებას გავს ებასა,
მთვარე ბადრად აღარა ზის, აღარც ელის გავსებასა,
დაშრტა სანთელთ სინათლენი, მიეწურა გავს ებასა,
და ქართლის ბალი მოიკრიფა, აღარ ვეჭობ გავს, ებასა!
326. უჩემობა დააჩნდების, ბალი იქმნას აბაღება,
ცრემლმან ჩემმან ღაწვი ჩემი ჩამოღვარა, აბა, ღება;
მძლავრს მტერზედა გაგიჩნდების, ვის გაქვს ხმლისა აბა, ღება;
და მარხვა მწადდა ვედრებითა, ლხინით მექმნა აბაღება!
327. მე მეფეთა გაწყრომამან, ნეტარ ვით არ დამასულა,
ბედმა მიყო უკულმართმა, მერმე ჩემა დამა სულა;
ეტლი წაღმა აღარ წადგა, დახვანჯულა, დამასულა;
და ქართლს შენახვა როგორც უნდა, გაგიჩნდებისთ დამა სულა!

46

328. აქანამდი სად მკვიდრობდი, თაო, აწ სად ილაღები,
გახსონს, თავზედ ჯილა გქონდის, აღმასი და ი ლაღები,
შენ და შენი ამხანაგნი, ზოგ-ზოგები ილაღები,
და დაიჩაგვრი დანასული, დაიღვევი, ილაღები!
329. სულ ქართველთა კარგად იცით, ქვეყნისათვის რა მიქნია:
ოთხგნით მტერი შევაშინე, ზოგი ფეხით გამიქნია;
დუმმანთ გული გაუტეხე, ხლმის ქნევითა ამიქნია,
და ვერ დაუღეგ მეფის წყრომას, რადგან თავი დამიქნია!
330. აქამდის მტერთა ვერ მჯაბხნეს, იგინი ჩემგან სულ ება;
ზოგთ გაქცეულთა მივსდევდი, ზოგთ ამოვართვი სულემა,
მტერს როდეს რიხით შევსძახი, მან მე ვერ მითხრის ნულემა,
და პატრონსა ვსჭკრეტდი ერდგულად, მაზედა მქონდის სულემა!
331. გული არ მამღევეს უთქმელად, თვარ მწადს დუმილი ბაგისა,
მუდამ სახმილი მედების, ალი მეხვევის დაგისა,
მას უხარიან, რომელმაც ჩემი დაკარგვა აგისა,
და წავალ, მივმართო სადგურად, სად თემი ათაბაგისა!
332. მას უნდა დიდად გარდაჰხდეს, ვინც ჩემი თავი წაგყარა,
არ მოაგონეს გარჯანი, მე მემსახურა რა გვარა,
ვეჭობ, დავაკლდე ბოლოჟამ, ვინ მე ჯარიდამ გამგვარა,
და რადგან მათ დამთმეს, მოყვასნო, თქვენ ჩემი ნურა გაგვა რა!
333. მშვიდობით, თვისნო, მოყვრებო, გამოვესალმო სალამით,
მეგობარო და შემცნენო, ცრემლი დავსთხიოთ სალამით,
თქვენ ნუ დაიჩნევთ გაყრასა, გული შემქნია სალა მით,

და ვინ გაირჯების სიმხნითა, მან შეიდაროს სალა მით.

334. ყველას რამ გარგე, თქვენც იცით, ვირ ვიყავ თქვენი მჭვრეტია,
კარ კაცობა და ნამუსი, ვისაც გიქნიათ მეტია,
იგი შემოგზდავს, ვინ მოსეს უძღვანა ნათლის სვეტია,
და გული მწვე ღონობს გაყრასა და თვალნი განარეტია!

335. თქვენსა ვერ ვიტყვი, მოყვასნო, ძვირსა და ძრახვას ამ ენით,
რადგან მე დავრჩი შორ გვარად თქვენ ხემწიფესა ამენით,
თუ ჩემთვის კარგი ვინმე თქვას, თქვენცა იყვენით ამ ენით,
და ლხინსა ნახევდით, ღვინოსა, თქვენ მიიღებდით ა მენით.

336. გაგიჩნდებისთ ქვეყნისა გაწყობა და გარიგება,
თქვენცა იცით, ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი, ჩემგან ახლა არ იგება,
და თუ კაცი კაცს აღარა სჭვრეტს, მტრისგან იში არ იგება!

47

337. რად, სოფელო, სამუდამოთ ჩემზედა იქ ას ავსავით?
არ დააცხრო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავით,
ჭირნი ჭირსა დამისართა კვლავ დამიწყო, ასავსა ვით.
და დამიშრიტა ბრწყინვალეა და ნათელი ა სავსავით!

338. დამემოწმე, თუ მართლა ვკთქვა, თქვენცა ბძანე,—ეგ არია,
შინ რომ კაცი გამოარჩევს, არ მოჰხდების, ე გარია,
რადგან უკვდად არვის გინდი, დაუტეო ეგ არია!
და ვარდი დაჭკნეს, ჩამოცვივდეს, რაც დარჩების – ეგ არია!

339. ერთს ალაგს, რომ ერთი კაცი გამოვიდეს ჭირთა მხდელი,
რა გაგვათ, რომ მტერს შეაკლათ, ან ჰყოთ მისი სულთა მხდელი?
ინაპიროს, გარ გიაროს, ველთა იყოს ჩამომხდელი,
და თავს ეხუროს მუზარადი, ძვირად იყოს პირ ამხდელი.

340. უმტრო კაცი არ იქნების, რომ არ ჰყვანდეს არა სითმე,
მემუქარეს ხამფოლადად მიპყრა ხამს და არა სითმე,
ჯაბანს კაცსა გულოვანი გაჰხდის, გვანდეს არა სითმე!
და გულსა სევდით შეპყრობილსა აწ დამიჭრის დანა სითმე!

341. არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუზარადი ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვით ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით ქელევდეს,
და მაშინ რას აქნევთ გიორგის, თუ მისებრ მოგეშველევდეს?

342. ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა მიკვირს, ვერავინ ხედავსა,
რაც საქმე შევსძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბედავსა?

ქართველნი დავხსენ მოსპოლვას, მით მიზმენ ზედიზედ ავსა,
და რაგინდ რომ თავი ვაწამო, მეტყვიან კიდევ ბედ ავსა!

343. გული მქონდა მტერთ უშიში, გეგონა თუ მიდგა ისო,
სამსალასა, საწდეველსა, პირი ჩემი მიდ გაისო,
გულმან ხელმან, სევდიანმან, აწ ლახვარი მიდგა ისო,
და თქვენ უჩემოდ რასაც შესძლებთ, მეცა ვნახავ მიდ გაისო!

344. ლხინი, ზმა, სიტყვის გაგონა, მქონდა მუდამად პურობა,
ამხანაგთ კარგ მეგობრობა, მიცემა, დაუშურობა;
კარგ კაცთა წყობა, ალერსი, მდიდართა მე უშურობა,
და ვეჭვ, ზოგს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა!

345. რა ცისკრის ლოცვა გარდასწყდის, ვნახი მფრინველი ცხენია,
შეგჯდი, მფრინვლით და ძაღლითა შევექცი, ვირ სიცხენია;
მოვიდი, წირვა ვისმინო, ან ლოცვით ცრემლთა მრცხენია,
და დავჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია!

48

346. როს მოვიცალო მტერთაგან მიყვარდა ნადირობანი.
ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მჭირს უთვალღებო ბჭობანი,
ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგის კაცისა ცნობანი;
და დაბალს კაცს ბევრი შევმატო, არ უყვი დიალ მცრობანი;

347. ვის რომ რამ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდის ხალისი,
ცხენ იარაღით შევამკვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვჰკაზმი, მერმე ხვალ ისი,
და კაცობის სწავლას ევლტოდეს, ვით ოქრო დავახალისი!

348. ვისაც სიჯაბნე შევატყვი, მასცა შევმატი გულია,
მემკვიდრე მკვიდრზედ მოვიდეს, ვინ იყვნეს დაკარგულია,
სიხარულისა დღე გვექონდის, ვით წყლისპირს ალვა რგულია,
და ამ დღეებისა შემსწრობი სევდით ვარ დადაგულია!

349. ჩემს სახლში იყვის მუდამად: წირვა, ლოცვა და გალობა,
უღონოთ ღონე, იმედი, გლახაკთ მიცემა, წყალობა,
ყმის სამსახური სამართლით, არავის სჭირდა ძალობა,
და აწყა დამიგზო სახმილი, სოფელმან შექნა ალობა!

350. სტუმართა სუფრა წინ ედგის, მის მის დროს აუღებელი,
ვინ დამეთხოვის, წავიდის, არ დარჩის წაუღებელი,
მომდერალთ ლხინი, თამაში იყვის სულ დააღებული, –
და აწ რასთვის ვჰკვდები, ამისი მე ვარ კვალ გაუღებელი!

351. ქართლში უფროსნი ვინც იყვნეს, ითქმევდეს თავადობასა,

ყველა მოყვრად მყვის ბძანებდეს ჩემს მეგობრობა-ცნობასა,
მეცა მივდევი, მომდევი, ვიქმოდით კარგსა ძმობასა,
და ბედსა ვემღურვი და მერმე, ვაი, ჩემის დისა შობასა!

352. ყველამ იცით რომე ქართლი ჩემის ხლმითა დახსნილია,
თვარ შეიტყობთ ამას უკან, მტერი ისევ ახსნილია,
ჩემის ხლმისას ნაშოვრისას გუდის პირი წახსნილია;
და ქვეყნის გზას ხომ ვერ შემიკრავთ, ჩემთვის მაშინც გახსნილია!

353. ერთი სიტყვა მამაგონდა, – არ ვსთქვამ ამას საკვებელად;
სად რომ საქმე გაგვიჭირდის, ამხანაგთა ვიყვი მშველად;
მე იმათ თან ვერ მივიწევ, რომ მასმია კაცნი ძველად,
და ერთის კაცის მემუქარის თავს სისხლის ვარ გარდამსხმელად!

354. ბაზალეთის ომსა შიგან მე მამეპყრა ედიშ ავით,
ამაყობდა იგ თამამად, შემომძახა: „მოდო, შავით!“
მას გაუპე თავი შუა, გინებით არს დამნაშავით,
და მის ცოლს უთხრას დედამთილმან: „აწ მიბძანდი, შედი შავით!“

49

355. სხვაგან წერა დამწერელმან ხვანთქართანა წასვლა მისი,
სოხტაების ამწყვეტა, სისხლთა დენა, ყათლა ვისი,
ბევრი ბრძოლა, ციხის რთმევა, ნებად, არა წართმევისი,
და ან მოყვრების გამოჩენა, შესწავლილი ზოგან თვისი;

356. ხვანთქრისაგან როგორ ცნობა, ანუ დიდად პატივცემა,
მტერთ გავლენის დამადლება, წყალობა და კვლავ მიცემა,
მის დუშმანთა ამოწყვეტა, მისხის მისხალ, რა მიცემა,
და იტყოდა თუ: „სად მოჰკვდები, ლახვრისა მაქვს სად მიცემა?“

357. ვით გაუძლებ კაეშანსა, გულო, ლახვრის აბა სმითა,
ყოფა ჩემი ჩრდილად იქცა, იგ შეიქნა აბასმითა,
გახსონს, ოდეს ნოსტეს იყავ, ცაცხვს ქვეშ იჯდი აბა სმითა!
და უხვად გასცი საბოძვარი, წაილებდენ აბაზს მითა!

358. ვინ იცის, თუ სოფლისაგან რა ლახვარი დამეშენა:
მიჯობდა, თუ სულისათვის გლახ სამყოფი დამეშენა,
ვინ მიმადლის ქვეყნისათვის, თუ რა მტერნი დამეშენა,
და ვინ რომ ჩემთან ვერ შეიბა, ნურას მეტყვი და მე შენა!

359. თუ რამდენნი ჭირი შევსძლო, სოფლის მახე ამედგა რით,
სახლსამყოფი სავანენი ჩემნი იყვნეს ამედგა რით.
ლხინში, გულო, მეფეთ მონე და მსახურე, ამედგარით,
და კიდევ ხმალი მოიგონე, უშიშ, გულ-სრულ ა მედგარით!

360. ოდეს ლხინსა დავემოყვსი, აწ ეს სევდა მას არევდა,
ჭმუნვა მრჯის და სევდა მაწვევს, მუშაკობს და მასარევდა,
ბოროტი და ავი ენა წყალს მღვრევს წმინდას, მას არევდა,
და რაც სოფელმან ეტლად მამცა, ჩემთვის კიდევ მას არევდა!

361. უბრალოდ ჭირსა არ მიმცეს, მე ეტლსა ამას ველია,
თვალთა ნაკადი მომადლოს, ღაწვნი მით ამასველია,
მკლავნი რომ ცუდათ არ დაშვრეს, ფეხს ჰქონდეს ამასველია,
და მართალი ვიყო, ნუ დამსჯის, მუხლს არ ხედეს, ამას ველია!

362. ჩემთა სასჯელთა აღრიცხვა ენას ვით ძალუც აგება,
ცუდათ შვრებიან მშენენი, ხელოვანთ ვისრ აქვს აგება,
მარტო რას ვმდურობ სოფლისგან, ვეჭვ სხვანიც ვინმე აგება,
და რამდენს კაცს მიხვდა, ვერ ვრიცხავ, ჩემის შუბისა აგება?!

50

363. ვინც მიცნობთ, ბძანეთ, თუ ვიყავ ერთის კაცისა დარული?
ლხინი და შვება უღრუბლო მქონდა, მის შუქი დარული,
განსვენება და სიამე, სმა, ჭამა, ძილი და რული,
და აწ ცრემლთა რად მდის ნაკადი, ღვარნი არ გასწყდა დარული.

364. ბრწყინვალება და ნათელი, თვალნო, სევდითა დაგვესა,
შენთვის სახმილი აღტყინდა, გულსა სამუდმოდ დაგვესა;
სიტკბო გამწარდა სოფლისა, სამსალა სასმლად დაგვესა,
და გულო, ვით გასძლებ სევდასა, ან პირსა ნიადაგვესა?!

365. თავსა ვეტყოდი, სამუდმოდ ვის გვერც ახლავხარ, მას ამე!
ერთი არ მამეც, სოფელო, ჭირი, მიორე, მასამე,
სევდა მიმატე წყენისა, აღარ მალხინე, მას ამე,
და ვერსით გაგისწარ, დამაბი, გარ შემომხვით მასა მე!

366. ხანდახან მამცა სოფელმან, საწუთრო მიქმნა დარადა,
ზოგჯერ მიმუხთლა, მიხვია, იქით და აქათ დარადა,
ზოგნი მე მჯობდეს, ზოგზოგნი იტყოდეს: „ვექმნათ დარადა,“
და ბედსა ვეტყოდი: „სოფელმან ნეტარ შენ მოგცა და რადა?!“

367. ეტლმა მამცა ბედკრულობა, ნეტარ ყურსა ესმას ვისა,
ლხინი დამრჩეს განშორებით, აწ უყურებ ესმას ვისა? –
არა მქონდა გარიდება მე ლახვრისა, ესმას ვისა,
და რამინისებრ შევებრალდე, ჭირნი ჩემნი ესმას ვისა!

368. თუ გსმენოდესთ, მე ლახვარი თუ რამდენი დამეცა რა!
ბედი წაღმა წაგრეხილი აწ უკულმა დამეცარა,
ვაი, სოფელო, უხანოო, დრონი აღარ დამეც, არა,
და ჩემთვის იქმენ გამომცდელი, ვით ბელიარ დამეცა რა!

369. ამდენს ხანს ხომ ვეღარ გავსძლებ, რაც ხანი მაქვს განასული,
არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, მენი და გან ასული,
თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, გან ასული?
და თუ უბრალოდ სისხლს დამიღვრით, ვიქმნა ზეცად გან ასული!

370. თუ ამ სასჯლებს მოველოდი, მიმძიმს ჩემი დაბადება,
გლახ უბრალოდ განსაცდელი, სოფლისაგან ცეცხლთა დება,
რაები ვჰქენ ქვეყნისათვის, საკვდად თავის გარდადება;
და თავი არვის მოვაკვილო, არც ვჰქნა ხმლისა ჯერ დადება!

371. მეფეთ წინა სამსახური მე მინდოდის ყოველთვის დიდად,
ამხანაგთა ვსათნობდი, ვიყავ კრძალვით, მომარიდად;
მიღმა წყენა არვის ვჰკადრი, ვმთავდადლობდი მყურროდ, მშვიდად,
და მე ეს მიყო ამ სოფელმან, თქვენცა გექმნას ბარგის მზიდად!

51

373. წახდა ჩემი კარკაცობა, დაისწავლა არვინ არა,
როგორ დავგმო ამასწინათ მეფეთათვის ვინც მამკვდარა,
მოწმად მყვანან ბევრი სული, ჩენს თავს თუ რა გარდამხდარა,
და წაღმა სხენან ჟამნი დღეთა, მზე ჯერ სრულად არ დამხდარა!

374. ვერსით მოვრჩები სიკვდილსა, დღეს მოვა ხვალე ისევ და;
უბრალოდ უნდა გარდაჰვხდე, ამით მაწუხებს ი სევდა,
თაო, ღალატად ვინ მოგკლავს, ცუდს კაცებს რასთვის ისევდა!
და მან წამახდინა თავიდგან, აწ მომაგონდა ისევ და!

375. სოფელს სჭირს პირველ სიამე, საწუთროს პყრობა, შვებანი,
რასაც ინებებ, განებებს, იტყვი თუ: „მიყო ნებანი,"
მაგრა არა ქნეს მიყოლა, ვის ჰქონდა ჰკვა და ცნებანი!
და მივჰყევ სოფელს და სახელსა, კარგთ კაცთა მქონდა ხლებანი.

376. ხედავთ კაცთა დაბადებულს, არვისა აქვს ერთი სახე,
მე სოფელმან ოთხის კუთხით დამაბა და მიდგა მახე,
არ გავიდა სამსახური, რაგინდ ბევრი ჭირი ვნახე,
და ცუდად წახდა გარჯილობა, ბედი ამაღ გავიჩმახე!

377. მეც შემეძლო ამხანაგთა მახეზლართა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
ამისთვის ვჰქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი,
და მაგრა ყველამ მოიჭირვა ჩემი გაჭრა, ხელობანი!

378. ერდგულობა – ეს მგონია პატრონზედა სამსახური,
რომ ინდომო ამხანაგი, არა გქონდეს კარგთ კაცთ შური,
არ დაჰკარგო მეგობარი, არ ჰყო მეფის მოსამდური,

და ჩემი იცით, ყველას გახსონსთ, რას ოფლთა ვარ მონაწერი!

379. თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი,
ცეცხლი მისთვის მოდებული აგრეც იყოს შენთვის დაგი,
ამოსწოდო მისთვის ხმალი, არ თუ ქარქაშს ადრე აგი,
და თუ გაიჭრა სამყოფთაგან, თავი მისთვის გარდააგი!
380. რაც თვისთვის სწადდეს, მოყვსისთვის კვლავე მას აჯობინევდეს,
ცრემლთანა ცრემლი დაღვაროს, მოხარულთანა ლხინევდეს,
სწყურობდეს მანცა იწყუროს, თუ დათვრეს – ისიც ღვინევდეს,
და ჭირთანა ჭირნი იტვირთოს, სევდასთან მოიწყინევდეს!
381. კაცმა კაცს გული მიანდოს ერთ პირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად, გაუშრობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერზედა დასაშრობელად,
და თავი გასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად!

52

382. ჩემნი ჭირნი სხვათა საქმეს, არ ვეჭვ, ვისმეს გან არევდეს,
სად დავკთესე კარ კაცობა, ახლა ისიც განარევდეს,
ვიცი, რომე სხვათა ძალი დღეს ჩემს მკლავსა განა რევდეს,
და გახსონსთ, ოდეს ჩემნი ხმანი, თუ ჯარს როგორ განარევდეს?
383. მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვჰქენ თავის გაწირვანია,
მოწამედ მყვანან მრავალნი, არა თუ შვიდი, რვანია,
არა მაქვს ჟამი სიტყვისა, საჩივრის ცუდი თქმანია,
და მაგრა მართლისა სიტყვის თქმა ჩემგან რა უკუთქმანია?
384. ბატონს ჰყვანდეს ერთგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს, დავსებულსა ცეცხლსა კიდევ აუნთებდეს,
რაც უჯობდეს იმას ბჭობდეს, მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
და საჭურჭელსა წარმოცლილსა სალაროსა დაუდებდეს!
385. რაცა სწადდეს, ის აამოს, დაერიდოს საწყინარსა.
ძმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მისთვის სთმობდეს ორსავ
მკვდარსა,
მებრძოლს მიღმა მიეგებოს, იგ ჰხმარობდეს ხმალს და ფარსა,
და დაფანტულსა წინ უძლოდეს, უგროებდეს კარგსა ჯარსა;
385. პატრონის წყენა წყენად სჩნდეს, ლხინისთვის გაიხარევდეს;
სახელსა გამოაჩენდეს, უკადრის საქმეს ჰვარევდეს,
საკვდავად თავი გარდადვას, როდეს რაზმშიგან გარევდეს,
და რაგინდ სხვა რამ თქვან, მაშინცა მისსა ქებასა წარევდეს!
386. ცოტა მიცემა დიდად სჩნდეს, მწვედ იყოს მადრიელადო.

თუ საწყენი რამ შეატყოს თვალნი ქნას ცრემლით სველადო,
გასჭირდეს – ადრე ინაღვლოს, მსწრაფლ იქმნას მისაშველადო, –
და ასრე მასმია პატრონის მე სამსახური ძველადო!

387. არ დაიშურო რაც გქონდეს, შენ იყო მის მიმრთმეველი,
ცოტაც გიბოდოს – ხარობდი, მით იყავ გამომრთმეველი,
უსამართლოთ და ურიგოთ არვისი არ წამრთმეველი,
და საწყენის წყენის რიდება, არრა ჰქნა უმართეველი!

388. პატრონყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა,
სოლომონ და დავით – ორნივ თვალით მეფედ კვლავ ნახულა,
როგორც ყმისა სამსახურთ ყმა პატრონთგან შენახულა,
და უბრალოს ყმის წახდენანი პატრონზედაც მწვე ძრახულა! –

53

389. ეს ყველა მჭირდა, ისმინეთ, მეფეთა ერდგულობანი,
დიდად შევმატი, ვარგებდი, ვისიც რომ მქონდა ყმობანი,
ადრე მივმართი ბძანებას, სადაც მიყვიან ხმობანი,
და აწ მეფე ცუდათ გამიწყრა, ან მე აღარ მაქვს ცნობანი!

390. სად წავიდე, სად დავლახო აწ ქვეყნისა კიდით კიდე,
დედა-წულნი, საუნჯენი წავილო და რას ავჰკიდე, –
მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულ მესისხლედ წავეკიდე,
და ვადა რყეულს ხმაღს ნუ აგდებ, თაო, ხელი კიდევ ჰკიდე!

391. რადგან წახდა გარჯილობა, რადლა მმართებს თავის ტკენა,
რად ვიუბნა ძველი საქმე, ვით დავაშურო თქმადლა ენა,
აღარ მმართებს საჩივარი, ანუ ცუდად ცრემლთა დენა,
და ვით მიქნია ერდგულობით მტერთა სისხლის გარდადენა!

392. რომ წამიხდა სამსახური, ცრემლი თვალთა მისთვის მდინდა,
ან სოფელმან ჩემი კერძი შუქი რასთვის დააბინდა,
გახსონსთ, უწინ მტერნი თქვენნი ჩემს ხმაღს როგორ შეუშინდა?!
და გაყრა მიმძიმს, თვარემ დავრჩე, მე რომ ვიყო, სადაგინდა!

393. არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი
აწ რად იქმენ ხემწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი;
რა გერგების, ეს არ ვიცი, მომიშალოთ რომ სათავი?
და ეტლმან ჩემმან მე მამგვარა ბედკრულობა ასათავი!

394. რომ მასმია, ასრე თქმულა პატრონისა კვლავ სიამე,
რაც უბძანოს – აღასრულოს, არ იკვნესოს, არც თქვას: „ვამე“!
მოახსენოს: „ხემწიფეო, შენთვის დღენი გამიწამე,
და რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!“

395. გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ კვერთხის რგვანი,
სად გვიბძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვვლოთ, ანუ განი,
თავს საზღვარი ეს დაუდვა, ვერვინ იყოს ჩემი მგვანი,
და არ ავმალდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი!

396. რაც გვიბრძანოს, თავს შევიდვათ, ადრე გვმართებს დაჯერება,
მას ვმონებდით, არ გარდვიგდოთ პირიდამე მისი ქება,
წაუწყმედლად ყოვლის გზითა გავათაოთ პატრონთ ნება,
და მეფის მტერთ რომ მე დავმართე, ნეტამც თქვენგანც ისრე ება!

54

397. სოფლის ჩარხთ ბრუნვა, ეტლთ ქცევა ხანდახან მოვა, ხან არა,
ხან ხელი ვარდით ავავსი სოფელმან, ზოგჯერ ხან არა,
დაყმუნდა, აღარ მომართა, ჩემზე განაგრძო, ხანა რა,
და მტერმან იშეგი მამიგეს გულისა მოსაფხანარა!

398. ახლა მარყევს ეს სოფელი, უწინ მამცა, მაშინება,
მძლავრმან მტერმან ვერსად მიყო, იცით, გსმია მა შინება?
მეფის, ქვეყნის უნებელნი ავხსნი, ზოგი მაშინ ება,
და სჭვრეტდეს თვალნი უდუხჭიროდ, კამკამებით მაშინ ება!

399. მიმძიმს ამხანაგთ მოშორვა, გულსა მაქვს მუდამ ზრუნვანი,
შეჭირვება და ოხრანი, მწუხარება და ურვანი;
სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი,
და თუ რამდენრიგად მამიხდა სისხლის ცრემლისა წურვანი!

400. ვინ რომ ფეხსქვეშ მელახოდეს, აწ მათ მე მქნეს დაცემული;
მაზეზღარნი უწინ მე მყვეს დატუქსული, დაცემული,
ზოგნი იყვნენ განაკეთნი, ზოგნი ბევრის მიცემული, –
და შენვე მიგაქვს, ეტლო ჩემო, რაც შენგნით მაქვს მოცემული!

401. სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განა ჭერით,
მეფეს ტკბილად ველარ ვნახავ, თვარ არ ვრიდობ განაჭერით,
ვის მომწევენ, შეიქმნების გაკვეთილ და განაჭერით,
და ბედო, კრულო, უკულმართო, თავი ჩემი განაჭერით!

402. ზოგს კაცს რომე გაუჭირდეს, უსუსურად დაღონდების,
ვინც რას ეტყვის, – არას ჯერა, კარგს რჩევასა გარდაჰხდების;
ვირემ კაცი ცოცხალიყოს, ადვილ მტრისგან ნუ წახდების,
და ბედი, სვე და გამარჯვება იქნას, კაცზე რაც მოჰხდების!

403. გაჭირების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჰკვა და გონება,
ვისაც რომ ახლდეს უტყუვრად სიამე, ტკბილად მონება,
რომ მოშლით იყოს, ცუდია, რას არგებს მწვე დაღონება?
და აღარ დაზოგოს მის დროსა სალარო, ანუ ქონება!

404. კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა,
მეც მქონდა დარბაზს წინ დგომა და ამხანაგთა წილობა,
მე არა მჭირდა ტყუილი, არც ცუდი სიტყვის ცილობა;
და აწყა სოფელმან ნაკადი და მამცა ცრემლთა მილობა!

405. ზოგჯერ მეც მითქვამს თავისა, თუ რასთვის დავიბადეო,
ანუ მტერები გარშემო ვიხვივე, რად ვიბადეო,
მაშ ხომე ცუდათ გაქრების, მაქვს რამე ან ვიბადეო,
და გულმკრთალნი მტერნი, ჯაბანნი რასათვის აიბადეო?

55

406. ყველამ გასინჯეთ შეტყობით, თქვენ ჩემნი სამართლობანი,
როგორ ვჰქენ თავის დადება, მეფის ტახტისა მკობანი,
აწ ვისლა უთხრა ლიქნითა, ფერობით სიტყვის ღმობანი,
და ზოგნი შევფრფინავთ სოფელსა, ზოგთა დავსწყივით შობანი!

407. რომე კაცმა ბევრი რამ თქვას, ხოტბა გრძელი, სიტყვის თხრობა,
თვისტომს თავსა მოაძაგებს მას მიხვდების ცუდი შრობა,
არც ის ვარგა, არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა,
და გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა!

408. ვჰთქვა, არა ვჰთქვა ერთი საქმე, ორსავე ვლონობ დიალ ძნელად,
პატრონის ხამს გამარჯვება, პირველვე ვჰთქვი სიტყვა ძველად;
ბევრი კაცი მოვიხმარე მწედ, იმედად, ჩემად მშველად;
და მაგრა მევე დამიმარცხდა, მით შევიქმენ ცრემლით სველად!

409. ლაშქრად მამყვეს იმერელნი, მამეხმარნეს ზოგნი სამცხით,
ზოგს ქართველთაც გვერც ვიახელ კაის ჯარის აღსარაცხით,
მაგრა ეტლმან არ გვიბედა, მით ვიქმენით იმ დღეს მარცხით,
და გამარჯვება მეფეს მიხვდა, ზოგი ჩვენც ვჰქნით მიწას ნარცხით!

410. შეწეულთა ლაშქართ მიყვეს, ვერ უჭერდი იმა თავსა,
სტუმართა და თვით მოსრულთა, რას ვეტყოდით იმათ ავსა,
დგომასა და გაძლებასა მე ვჰკადრებდი თუ მეთავსა,
და ზოგმა მეც მწვე დამიმარცხა, მათი სახლი ავა თავსა!

411. ეგრე მითხრეს: „ან შეგვაბი, ან გაგვიშვი ჩვენსა, შინა!“
მე მათ დაბლა მოველოდი, მას ვზრახვიდი გულსა შინა;
ვჰკადრე: „ომსა გაპოვნინებ, თქვენთან არც მე შემემინა,“
და შუბი გატყდა, ედიშასა, იცით, ხმალი ვით ეშინა?

412. ბაზალეთის ომი მოჰხდა, მეფეს მიხვდა გამარჯვება,
იმათ დიდი გახარება, ჩვენ ჭმუნვა და ბევრი ვება;
ბატონიშვილს გვერც ვიახელ, ერისთვისაც მქონდა ხლება,

და უღონობას ღონევე სჯობს, ცდა საქმისა ბევრ შეძლება!

413. რაცა მოჰხდა სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი,
ყმა არ უნდა პატრონისა ბრძოლისა და შებმის მდომი!
თავს მოღალავს, ან მოკვდების, ცუდათ არის მკლავის მშრომი;
და ქვეითი ხომ მუხლს დადაღავს ვერც იქნების ცხენს შემეჯდომი!

414. სამცხეს წაველ, წამოვიდნენ ესე კარგნი დიდებულნი,
ყველაკასა მრავლად მივეც, რაცა მქონდა მუნ დებულნი,
საქონელნი, ბარგნი ჩემნი, არ დავჰკარგენ კიდებულნი,
და გაეხარდათ მახეზლართა, ვინც მყვეს გარდაკიდებულნი!

56

415. ცოლშვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევედეს,
ბატონიშვილსა მე ვახლდი, იესე ჩემი მარევედეს,
ხვანთქრის კარზედან წავედით, გზად ჩვენთვის დარნი დარევედეს,
და ყაზახ მეკობრე, ჯალალი, ჩვენს ვერას მოიპარევედეს!

416. ადრეც ვაცნობეთ ვეზირსა ხემწიფის ტახტს წინ რეზანი,
ყაფუჩი ბაში ებოძა, მით ექო ჩვენნი ცნებანი,
გვითხრა ხემწიფემ: „იცოდეთ, თქვენ გიყოს გულის ნებანი;“
და მე უთხარ: „მის ხმალს მოვენდევ, მით ვჰქენ შორის გზით რეზანი!“

417. ჩვენ მიგვიყვანეს, ებძანათ: „მოჰფინეთ კარგა სახლები;“
ასრე გვსმენია ეგენი, არიან კარგი სახლები!
ჩვენთან მოვიდეს ფაშები, აქვსთ ფართოდ ტყავის სახლები,
და ძველით ვერავის ვნახევედით, ტანს ეცვა ყველას ახლები!

418. ულუფა მრავლად გვიბოძეს, სიუხვე ჰქონდა ზღვებისა,
ურჩისგან ხმლით და ძალითა, მას არა არ ეზღვებისა;
არვის არ ძალუც ძალითა გარდავლა იმის მზღვრებისა,
და მასწინ არ ძალუც მთქმელებსა, ამხანაგთ დაბეზღებისა.

419. მეორეს დღესა მიგვასხეს, შეგვაველეს კარნი სრისანი,
გავჰკვირდით მორთულობასა, – ნეტარ ქნილია რისანი?
ხელმწიფეს მუხლსა ვაკოცე, სიტყვა მიბძანა თქმისანი, –
და ვჰკადრე: „თქვენს ხმალსა მოვენდევ, ყმობა ვერა ვჰქენ სხვისანი!“

420. მიბძანა: „ჩემი წყალობა შენზედა უშურველია,
სამცხეს რაც ციხე აიღე, მთქმია, არც ხანი ძველია,
რაცა გწადს, იმას დაგმართებ, მე ვით ვარ შენი მშველია,
და მოგცე ციხე და ქალაქნი, ქვეყანა აზრუმელია!

421. რაც ხანი დავჰყავ, მამაჰყრა პატივი დიდ საფერია,
ცხენსა შებძანდის, გვიბძანის, შევსხდით, ჩვენც ვნახით ერია;

მიბრძანოს: „ნუ შეგწყინდებათ, აქ არვინა გყავსთ მტერია,“
და ვკადრი: „რომ გიჭკვრეტო, ის გვალხენს, ვართ თქვენი ფეხთა
მტერია!“

422. ენგიჩარ აღას უბძანა, აჩვენე თოფხანანია, –
წაგვიძღვა, ყველა დაგვაველო, რა უცხო, რა ხანანია!
გვითხრა: „ხემწიფე გაგიშვებს, გამოვა რა ხანანია,
და აწ ვისლა ახსონს, რა ვნახეთ, ბეგლარბეგ, რა ხანანია?“

57

423. თიქმატაშ, აისოფიო, გვიჩვენა ზღვისა ზღუდები,
ზღვის პირს ალაგი არსად ჩნდა ზარბაზნებისგან უდები,
მათ კაცთ ყაუხი ეხურა ბერძენთა, ჩვენებრ ქუდები,
და მისსა მეზრძოლსა შიშითა, როგორ არ ჰქონდეს რიდები?

424. ბევრი რამ უცხო გვაჩვენეს, – ლომ-ვეფხთა სადგურიო,
გასინჯეთ, ვისცა გენახოს, სად ისი, სად გურიო?
სრულ მარმარილოთ ნაშენი, არსად ჩნდის აგურიო,
და ზოგს კარგს სახლებსა მივადგით, გვეტყოდეს აგურიო!

425. პატრიაქთანა მივიდით, ვისმენდით წირვა ლოცვასა,
ერი მოვიდის ურიცხვი, ალაგს ჰყოფდიან მოცვასა;
იქ ღირსნი კაცნი დაგვხედონ, იქმოდენ ცრემლთა ხოცასა,
და ლიტრაპოლიტნი გვერც უდგენენ, ხან უფრო, ხან ვჰთქვამ ოცასა.

426. ხანი დავჰყავით ზამთრისა, ზაფხული იქცა ჟამებად,
ხემწიფემ ბძანა: „თქვენ თავი არა გშურსთ ჩემთვის წამებად,
ერთი ქვეყანა სოხტათა აქვს, არ არიან ამებად,
და მაზედ გაგისევ, მარბათი თქვენ შეუქმენით შხამებად!“

427. კარგად უნდა მოაგვაროთ, ნურც ადვილ გჩანსთ მათი ბრძოლა;
ქვეყანა აქვთ მწვე მაგარი და მეომართ კარგთა ყოლა;
მწვე ფთხილობენ ღამე თევით, სრულ არა აქვთ მუდმად წოლა,
და გუშაგები იძახიან, როგორც მწუხრს და ცისკარს მოლა!

428. თემს თქვენ მოგცემ ოჯახობით, გარეშემოც თქვენი იყოს,
მათი განძი, საქონელი, არა მშურს რა ვინც გაიყოს;
ჩემი ყმა რომ გამიმაგრდეს, ნეტარ რა ვჰქნა, ეს რა იყოს?"
და აწ გიორგიმ ძველ ნაქნევსა კიდევ ხმალსა ხელი მიჰყოს!

429. სხვაც გვიბოძა მამულეები, სარჩო კარგი სანჯახები,
საქონელი აურაცხი, ხმალ, ლახტ, აფთ და ნაჯახები,
მაგრა ვისაც მიგვისივა, იგ არიან ანჯახები,
და მტრისა ადვილ წინ მიმგები, შემძგერი და დამჯახები!

430. წამოვედით, ყაფუჯები ჩვენ თან მოგვდევს მთად და ბარათ;
სადაც მოგვცეს მამულები, ჩვენად საყმოდ, მოსაბარათ,
რადგან კაცი თან გვიახლა, შენ რას გაქნევ წიგნობარათ,
და ვის სამძღვარზედ ბრძოლა შევჰქენ, გამისინჯეთ თქვენ აბა რათ?

431. მოვედით სოხტას, გვითხრობდეს თუ: „სახლი შვიდ ათასია,
სახლი ასეთი არ არის, არ ჰქონდეს სურა, თასია;
მათ ყარაულად გარ უვლის სამუდმოდ კაცი ასია;
და ზოგთ მითხრეს: „რომ დავიხოცნეთ, რა ვჰპოოთ თავის ფასია?“

58

432. ვჰტქვი, ჰკუთით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო,
დავდგეთ აქ, ყური მიუგდოთ, რაც რომ იმათა თქვიანო,
ფრთხილობას გარდაიგდებენ, უფრო და უფრო გვიანო,
და თვარემ თუ ახლავ შეუტევთ, მებრძოლნი დადაგვიანო!

433. ბოლოს დავდექით, დავიწყეთ ჩვენ მათში ვაჰრობანია,
ზოგნი მეგობრად ვიჩემეთ, ზოგთ ძმობილ, ვითა ძმანია,
დაწყნარდეს, იარებოდეს მათში სულ ჩვენი ყმანია,
და მიხდომის აზრი გარდაგდეს, არ დავიყარეთ ხმანია;

434. ხესა ფურცელი გასცვივდა, მთაზე თოვლმან ქნა დებანი,
ხემწიფეს წიგნი ებოძა: „მაქვს შენგან იმედებანი,
ნულარა ჰყოვნი, მიუხე, ქენ თავის გარდადებანი!
და ჯავრს ნუ შემარჩენ მაგათსა, ცეცხლურებ უყავ დებანი!“

435. იგი კაცი გავისტუმრე, მე ესენი დავამაშე,
პირველს ღამეს შევეკაზმე, მშვილდს აუბი, თოფი ვმაშე.
დავის სიტყვა გაუთავე, გულსა ჩვენსა „ვაშა, ვაშე“!
და მე დავიჰყარ, დავიმონე, იქ აღარვინ გავაფაშე!

436. შეუხედით დანდობილთა, ოთხგნით გზანი შეუკარით,
გარდუედით სიმაგრესა გალავნისა ციხის კარით,
მხრით თემოსა ხმალი ვასვით, ვინ ფეხ დადგმივ შემოვჰკარით,
და ვირემდისი არ გავსწყვიტეთ, განძს არვინ ვჰყავ მინაკარით!

437. შიგ დავდეგით, იქ ვიზამთრეთ, საქონლითა ავივსენით.
ხემწიფესა მოვახსენეთ წიგნითა და კაის ენით:
სიტყვა თქვენი გავათავეთ, რაც გვიბძანეთ, ისე ვჰქენით,
და განდგომილნი ამოვსწყვიტეთ, ჩვენ შევჰქენით სისხლთა დენით!

438. ოცს არაბაზე დავაწყევ იქ თოფი ნაშოვარია.
ხემწიფეს წინა გავგზავნე: „ამათი მჭერი მკვდარია!
ქვეყანა გაუტიალე, აღარ აქვთ მოსაფარია,
და დავჰხოცე, ზოგი დავჰფანტე, ვედარ შეგროვდენ ჯარია!“

439. წყალობის წიგნი ებოძა მწვე დიდად განათებისა:
არ გაგაკეთო დიდებით – ჩემგან ეგ არ იქნებისა!
ხალათი კარგი ებოძა, ტკბილ სიტყვა, ენა ქებისა;
და „ჩემნი მტერნი და ორგულნი ყველანიმც აგრე კვდებისა!

440. შენ ყოფილხარ მამაცურად, მოგხდომია გამარჯვება,
ეგრე თქმულა, ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება;
რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა, წინ დახვდება,
და კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდაჰხდება!“

59

441. დავისადგურეთ იმ ზამთარ, ჩვენ ლხინი გვექონდეს ამონი,
ვლხინობდით გამარჯვებულნი, რომ გვეპყრა ალაბ შამონი:
მებრძოლთ გაუხდა შარბათი სასმელად მწარე შხამონი,
და შეიტყვეს ჩვენთა მებრძოლთა, არა ვართ უთამამონი?

442. თქვენცა იცით სამუდამოდ, არ მინდოდა აქა ყოფა,
მამული და სამყოფელი რა კაცს შუა გაეყოფა, –
კაცის გული ვერ გაძლება, ბევრი ვის აქვს, – არ ეყოფა,
და ცოტას ქონა მწვე მერჩინა, რაც რომ მქონდა უწინ ყოფა!

443. თუ კაცი დასჯერდებოდეს იგ მისსა საყოფინარსა,
მას უმაღლებდეს რაც მისცეს, პირველ ქვეყანა ვინ არსა,
იგია მიმცემ წამრთმევი, სხვა იმას გარე ვინ არსა,
და ვინ ცხოველად ჰყოფს მომკვდავსა, ანუ ვინ შეიქს მძინარსა!?

444. რანი მამიხდეს, ვინ იცის სოფლისა საცთურებია,
რამდენჯერ გახდის დალებით ჯაჭვისგან ბეჭი, მხრებია,
ხან მარტო დავრჩი სადაგინდ, ხან მყვანდეს მე მომხრებია,
და სამყოფინარი გამიხდეს ვერანად, ნაოხრებია!

445. რაცა გარდამხდეს სოფლისგან, ყველას ვერ ვიტყვი მა სულა!
მას ვმონებ, ვაქებ, ვადიდებ, ვინ რომე მიწა შასულა,
სრულ განსაცდელმან შემიპყრა, მახე მამხვია, მასულა,
და მიწითგან ცხოველად შემზილა, ისრევე იმან მა სულა!

446. შურითა მოჰხდა, ცთომისთვის სამოთხეს შევა გველია,
პირველმან მამამ უსმინა, ჩვენ შევება ამად გველია,
მან ძველმან მტერმან მიუთხრა: „არ მოგცე მე ეგ ველია!
და ცეცხლი აანთო სასარჯლო ხორცისა დამდაგველია!

447. იმავე შურმა გამოჰხადა სამოთხიდან მამა ჩვენი,
სარჯლად მოგვცა ეს სოფელი, სარკის მსგავსად მაჩვენნი,
კაცთა ბოლოს არ გამთავი, დასაგმობ და შესაჩვენი,

და სწრაფლ წაგვართვა ფეროვნება და ნათელი თვალთა მჩენი!

448. ეს სიტყვები რად მოვიღე, გასინჯეთ და ყურად იღეთ,
კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ!
ჩემგან ქნილი რაცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
და ავი შორად განუტყვეთ, კარგი თქვენკენ წამოიღეთ!
449. აწ გიამბო ჩემზე შურით, თუ რა მოჰხდა გულის ზრახვა;
რაც სახელი მე სადმე ვჰქენ, შექნეს კვნესა, ზოგთა ახვა:
ზოგთა კარგა შეიწყნარეს, ზოგთა შექნეს ჩმახვით ძრახვა,
და ვჰთქვი, დავჰკარგე სამკვიდრონი, აღარ მამხვდა თვისთა ნახვა!

60

450. ვეზირ ასიმი ხემწიფის თავს დაიწერდის სიძობით,
სულთან მურადას და ედგა, არ მეყვისობდა ბიძობით,
ქალთან ქებინის დალოცვით, ართუ მრუშობა მსიძობით,
და ვეზირსა ცოლმან მოსწერა: „მეფეთგან თქვენ გაიძობით!“
451. ცოლს მოეწერა ვეზირთან: „სად არის შენი სახელი?
აქ მოურავის ქება არს, თქვენნი არიან მძრახველი!
ხემწიფე ბძანებს: „ყმა არ მყავს უკეთეს, ან მის მსახველი,
და მაგას რამ საქმე უგვარე, თუ თვალნი გქონდეს სახელი!“
452. ის იაზაბელ შეექნა, ნაბოთეს ბალის წამლები,
ან იროდიას ემსგავსა, სისხლთ ნათლის მცემლის დამლები,
ევდუქსიასა ტახტს იჯდა, ეროდეს კარის გამლები,
და რჯულისა შემარყეველი, მრავლის ცოდვისა წამლები!
453. ვეზირმან თქვა: „სხვათ აქებდენ, მე სახელი გამიქარდეს,
ჩემი საქმე არ გამოჩნდეს, სხვის სახელზე მეფე ხარდეს!
სიკვდილი და ხმლის გაბედვა მისი მეცა დიად მხარდეს,
და თუ ეს ბედი წაღმა მესხნეს, ვჰთქვი: „მიწათა რად გამზარდეს?“
454. კაცი ვნახე, რომ მოვიდა ჩემთან წიგნით ვეზირისა,
ებრძანა თუ: „შეგვეყარე, აქ ჰაერი კარგი ქრისა!
ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი, არ სიტყვა ვჰთქვათ მუქარისა“!
და ხმოზა, შეყრა, ალერსობა, ვერ შევიტყვე, იყო რისა?
455. მე შევჰთვალე: „უხემწიფოდ ვერა გნახავ, არ იქნება!
ხემწიფე თუ წიგნს მიბოძებს, ძალია თუ ან იქ ნება,
მაშინ გვერცა გიახლები, მტერი ფეხსქვეშ გაიქნება.
და ხემწიფეზე დამნაშავე ასო-ასოდ აიქნება!
456. რა არ ვნახე, მწვე ეწყინა, გულში იქნა ნაღვლიანად,
შემოსტუქსა მოციქული პირქუშად და ჯავრიანად:

„ჩემს ხმას მონებს საკეისრო, სიგრძე სად აქვს განიანად!
და მე არ მნახა მოურავმა, ესე იყოს, თქვა, ჯერხანად!“

457. ხემწიფესთან ჩაფრად კაცი მან გაგზავნა მეტად ჩქარად,
ცოლს მისწერა: „შენ მაცნობე აწ ამბები დასაფარად;“
მან მოსწერა: „ეს ხემწიფე შენზედ არის გულში მწარად,
და მოურავის გამარჯვება მწვედ იამა გასახარად!“

458. მოსწერა თუ: „ორისაგან ერთი წინ გიც, იყავ მქნელი!
მოურავის ხმლით სიკვდილი, გვესმის, არის დიად მნელი,
ან შეაკვდი, თავი დადევე, შენს ლაშქართა იყავ მსვრელი,
და ან მოკალ და მოერიე, მისის სისხლით იყავ მსვრელი!“

61

459. შენს ხელთ იყოს მისრ ბაღდადი, ალაბ-შამი ბასრამდისა,
ისპა ოღლანს, რაც უბძანო, ენგინჩარნიც იქ მიდისა;
ნილოსს მყოფნი შენ გიძრწიან ანუ შადი სადა დისა,
და შენს ხელთ არის ვეზირობა და ქმარი ხარ მეფის დისა!

460. ვეზირმან თქვა: „მოურავთან მე არა მაქვს მტერობანი,
მაგრა რა ვჰქნა, ხემწიფის დის მმართვეს სიტყვის ჯერობანი,
რაცა ბძანოს, – მე ისი ვჰქნა, მას დაუწყო ფერობანი,
და მაგრა მიკვეთს ბორცვ გორათა, შენ ქენიო ძგერობანი!“

461. კიდევე წიგნი გაუგზავნა, შიკრიკს მისცა, მალე ვლიდე!
მიეწერა: „ხემწიფისას წყალობასა ვერ დავსთვლიდე,
მაგრა ძნელსა საქმეს მიკვეთ, თავი ამად გავაფლიდე,
და რა ღონე მაქვს, ამა სოფლით ან ის გავა, ან გავლიდე?“

462. ეს გასინჯე, ყური უბყარ, იყავ კარგი მომსმენელი,
მტერნი მყვანან ხემწიფესთან, იქნებიან დამსმენელი,
ხმა გამოვა მოურავის სიკვდილისა გამსმენელი,
და რა ხემწიფე გაიწყრომოს, რაღა უთხრა მასმენელი?

463. ხემწიფესა დიდადა სჩანს, მისთვის არის დიდად კარგი,
ხაზინადარ სიძეთა ჰყავს, ხემწიფისა დიდად მარგი,
რომ შევაკვდე, ანუ მოვჰკლა, ვის მივართვა მისი ბარგი?
და ბძანეთ, რომე ჩამომეხსნა, მშვიდობისა მორჩი დარგი!“

464. მან მოსწერა: „სიჯაბნითა ვერ აპირებ მორევასა,
მაგით უფრო ჩავარდები სიღრმის უფსკრულს, მორევასა,
ერიდები ქვეყნისასა აშლასა და მორევასა,
და მე გვერც აღარ მოგეწურვი, მალმალ გეტყვი მორევასა!“

465. ხემწიფის დობით თამამობს, თვარ როგორ სტუქსოს ქმარია?

ცოლმა ქმარს: „მოკვდი!“ – ეს უთხრას, იგ მიწას დასანთქმარია!
ვეჭობ, რომ სძულდეს ვეზირი, ომარე ვჰთქვათ, რა საქმარია?
და ამ რჩევა-ვეზირობისთვის საკვდავი ასაქმარია!

466. ცოლმან კვლავ კიდევ მოსწერა სიტყვა ცხარი და მწარია:
„ერთის ქართველის კაცისა სახელი დიდათ არია!
შენი ხსენება დადუმდა, თქვეს: „ცოცხლივ ანუ მკვდარია?“
და მწვე გაუჭირდა ვეზირსა, საქმე აქვს შესაზარია!

467. ვეზირის გულსა დამკვიდრდა რჩევითა ღალატობანი,
თუ მათი საქმე სადმე სჯობს, არა აქვს კაცთა ნდობანი,
ერთს კაცსა არვის შეეძლო საქმენი ჩემოდნობანი,
და მე უყვი მტერთა მრავალჯერ დაწვა და ჩამოდნობანი!

62

468. რა მოვა კაცზედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ბედადო,
შუქურ მასკვლავი დახვდების პირდაპირ შემომხედადო!
ჩარხებსა ფრთანი დასცვივის, ზე მყოფი იქმნას ქვედადო,
და დღე მოეწურვის სმისაგან, გახდების უიმედადო!

469. ამა სოფელმან მაბრძოლა აღმოსვლით დასავლეთამდი,
ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ მყო ხლმისა კვეთამდი;
ჩრდილოთ ლეკთა და ოსეთსა, კიდით სრულ ჩერქეზეთამდი,
და ლხინიც მამცა და წუხილი, ურვა და სევდა კვენესამდი!

470. კაცსა გასცდის და აღორებს სოფლისა ნივთთა წესია:
ხან იშვებს, იტყვის, „რა მიშავს“, ხან ტირის ცრემლთა მოესია;
ხან ეს გონია „უკვდავ ვარ“, ხან სნეულ არს და მკვენესია,
და თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!

471. რაც მე გარდამხდა სოფლისგან, წერით ვინ გაათავებსა?
ანაზდათ კაცთა გვიმუხთლებს, მოშლის კარგს ტანს და თავებსა,
არ შეგვიწყალებს სიკვდილი, მოწეულს შეიქს შავებსა,
და არ მოგვეცემს დროსა ჟამამდი, არცა გვთხოვს დასაზავებსა.

472. ბევრი მსაჯა, სად წამავლო, მამიყვანა სადამდისა;
სად მმართვედა მე ტირილი, აწყა ცრემლი სადა მდისა?
ცეცხლმან კვამლი შემომხვია, აწ უყურეთ, სად ამდისა,
და მეფემან და სიძემ მკარგა, მდურვა მქონდეს სად ამ დისა?

473. ყანდაარს ბრძოლა და ბაღდადს, მე ვინ მიწურვა მოსრისა,
სტამბოლს ხანისა დაყოფა, ნახვა, გასინჯვა მისრისა;
არაბისტნისა ჭაბუკნი მაჯამან ჩემან მოსრისა,
და აწყა სევდისა ლახვარი გულსა მიწყლულებს, მისრისა!

474. გავათავე ჩემი სიტყვა, წავალ თქვენგან სალამითა,
ვისცა გესმას ჩემი გავლა, ცრემლი ქენით, სალა მითა;
უკანასკნელს ანდერძს მოგცემ, საქმე იმას ალამითა,
და აწ საფლავად თან მამყევით, მამაყარეთ სალა მითა!

63

ეპილოგი

475. ნათესავ მოდგამ გვარ ტომმან მისმან ეს ვიწყე წერებად,
ამად მეშინის მოშურნე პირველივე მყავს მტერებად,
რომ უქმი სიტყვა მამხადოს, არ იყოს ჩემზე ფერებად,
და ვინ არს ცოდვილთა შემწყნარე, ვედრივარ, მექმნას ტერებად!

476. ქართლის ცხორება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალევადა,
რომ დამეკარგა ამბავი, ქნილიყო შესაბრალევადა!
წყარო ტკბილი და ამონი ქნილიყო გასამშრალევადა;
და ეგებ ვერ მეთქვას გაწყობით, მაშინც ნურვინ ხართ მწყრალევადა.

477. სიკვდილი ამად არ ვსწერე, არ ვაჯობინე ხოცანი,
ვის გესმისთ მისი დაკარგვა, იქნებით ცრემლთა მხოცანი,
ნაქნარსა მისსა გასინჯავთ, ჰოქვათ, ცხადია თუ ოცანი,
და რაც ექნა, ვეჭვ ძლივ დავსწერე, ათისთავად ვჰოქვა ოცანი!

478. თქვენ გევედრები, ვინცა ხართ, სიტყვისა გამსინჯავია,
სიტყვა ყბედ ძრახვა არა ხამს, რაგინდ რომ მეთქვას ავია,
სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქმენ დამნაშავია!
და მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით ავსო ნავია!

479. უქმი სიტყვა ცუდსა ჰქვიან, მეც ვარ მუდმად უქმის მთქმელი,
კაცი რომე უქმს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნთქმელი?
ჭკვა მათ ჰპოვეს, სადთოს წიგნის ვინცა იყვნეს გარდამთქმელი,
და მე შევიქმენ ენა ყბედი, სოფლის სიტყვის სამ წამთქმელი!

480. ესეთი სიტყვა არა ხამს, თუ ბერი წესზე ბერევედეს,
სინანულისა სვიფონსა საკუთრად მისთვის ბერევედეს,
ჭაბუკნი მხეცთა ერთოდეს, მხცე გასრულებით ბერევედეს,
და ვინ სწვრთიდეს, ყურსა უპყრობდეს, არა თუ გულსა ბერევედეს!

481. მე სოფლისა საქმეს მივჰყევ, მე ვინა და ამის წერა?
ის მიჯობდა, მოციქულთა რაც თქვეს, ყველა დამეჯერა,
სულის ღვწით და სინანულით ანგელოზნი შემეჯერა,
და თაო ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა?!

484. ეს არის ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა,
ზოგი რამ საღმთოც დავსწერე, სიტყვა ვჰთქვი წმინდათ ქებისა,
საღლოს ქებისა მთარგმნელი სული რჯას აღარ ებისა,
და მე ამის წერით მეშინის, ვაითუ ხმა მესმას ვებისა?!